ალმანახი 2022

ISSN 2346-8416

ამქალანი

ალმოსავლური ჟურნალი

გამოდის წელიწადში ერთხელ

თბილისი

2022

„**არმალანი** – შორით მოსულისაგან მოღებული
მის თემის ძღვენი” (საბა).

ჟურნალი დაარსებულია 2016 წელს

მაგალი თოდუას

მიერ

რედაქტორი

მზია ბურჯანაძე

სწავლული მდივანი

ნანა ჯანაშია

დამკაბადონებელი

ნანა ყანდაშვილი

მომკაზმველი

ირაკლი უშვერიძე

-

რედაქციისგან

მკითხველი ყურადღებას მიაქცევდა, რომ, დროის გასვლასთან ერთად, „არმაღანის“ ნომრების რიცხვი შემცირდა და, გამოცემის პირველი წლისგან (2016) განსხვავებით, როცა წელიწადში ხუთი ნომრის გამოცემა შევძელით, 2022 წელს მხოლოდ ერთი ნომრის დაკომპლექტება გახდა შესაძლებელი. სამწუხაროდ, ძალიან იკლო მთარგმნელთა ენთუზიაზმმა და ჟურნალში საკუთარი თარგმანების დაბეჭდვის მსურველთა რაოდენობამ.

ამისი მიზეზი, შესაძლოა, სხვადასხვა ფაქტორი იყოს, რომელთა გაანალიზებას, ცხადია, აქ არ შევუდგებით. უბრალოდ, ამ საკითხის დასმა ჩვენი ერთგული ავტორებისა და მკითხველების წინაშე საჭიროდ მივიჩნიეთ.

ვფიქრობთ, თუკი წელიწადში ერთხელ მაინც იქნება შესაძლებელი აღმოსავლური ლიტერატურის საინტერესო ნიმუშების კარგი თარგმანების თავმოყრა და გამოცემა, ურიგო საქმე არც ეს იქნება.

რედაქცია მომავალშიც ელის თარგმანებს და წინასწარ მადლობას უხდის მთარგმნელთა ძველსა და ახალ თაობებს თანამშრომლობისთვის.

-

არაბული ლიტერატურა

ატ-ტაიბ სალიჰი
(1929-2009)

ატ-ტაიბ სალიჰი ცნობილი სუდანელი მწერალია, რომელსაც ბედმა აღმოსავლეთ-დასავლეთს შორის ცხოვრება არგუნა. ხართუმის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ის სწავლის გასაგრძელებლად ლონდონში გაემგზავრა, სადაც 12 წლის განმავლობაში ბი-ბი-სი-ს არაბულ განყოფილებას ხელმძღვანელობდა. მისი სამუშაო გამოცდილება საკმაოდ მრავალფეროვანი იყო და, აღმოსავლეთ-დასავლეთს შორის მოქცეული, მუშაობდა ჯერ სუდანში, შემდეგ კატარის საინფორმაციო სამინისტროში გენერალურ დირექტორად, შემდეგ უკვე სპარსეთის ყურის არაბული ქვეყნების წარმომადგენლად იუნესკოში, პარიზში. ოჯახურადაც აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი იყო. ჰყავდა ინგლისელი ცოლი და სამი ქალიშვილი. ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ და მუდმივმა მოგზაურობამ აღმოსავლეთ-დასავლეთს შორის მწერლის მხატვრულ შემოქმედებაშიც ჰპოვა ასახვა. მას მსოფლიო მნიშვნელობის სახელი სწორედ ამ კულტურათა კონფრონტაციის თემაზე დაწერილმა რომანმა, „მიგრაციის სეზონი ჩრდილოეთში“, მოუტანა. ატ-ტაიბ სალიჰის ცნობილი ნოველა, „ვად ჰამიდის პალმის ხე“, შესულია ამავე სახელწოდების ნოველათა კრებულში, რომელიც 1961 წელს გამოიცა ცალკე წიგნად.

ვად ჰამიდის პალმის ხე

– ტურისტად რომ ჩამოსულიყავი ჩვენს სოფელში, შვილო, ასე მგონია, დიდი ხნით არ დარჩებოდი. ზამთარში თუ მოგვინახულებ, პალმის ხეების დამტვერვის სეზონზე, სოფლის თავზე ჩამოწოლილ შავ ღრუბელს დაინახავ. ყვავილის მტვერი არ გეგონოს, შვილო, არც ნისლი, წვიმის შემდეგ რომ ჩამოწვება ხოლმე. ეს ქვიშის ბუზების მთელი არმიაა, რომელიც გზას უღობავს ჩვენს სოფელში შემომსვლელებს. შენ, ალბათ, ადრეც გინახავს ეს მავნებელი მწერი, მაგრამ მერწმუნე, ამ სახეობას ჯერ არ იცნობ. ეს ბადე აიღე, შვილო, და თავზე დაიფარე. მართალია, ამ ეშმაკებისგან ვერ დაგიცავს, მაგრამ ასე ცოტათი მაინც მოიგერიებ მათ. მახსოვს ერთი წლის წინ, ზუსტად ამ დროს, ჩემი შვილის კლასელს ვუმასპინძლეთ ქალაქიდან. ერთი ღამე გაათენა აქ და მეორე დილით ცხელებით, სურდოთი და გასიებული სახით გაიღვიძა. დაიფიცა, რომ მეორედ ჩვენთან აღარასდროს დარჩებოდა.

ზაფხულში თუ ჩამოხვალ, უზარმაზარ ბუზანკლებს ნახავ, გაზაფხულის ბატკნებივით დიდებს, როგორც ჩვენ მათ ვუწოდებთ ხოლმე. ამ უბედურებასთან შედარებით ქვიშის ბუზები ათასჯერ უფრო მარტივი ასატანია, თუმცა მათი თავიდან მოშორება მაინც რთულია, შვილო; მწარედ იკბინებიან და გაუთავებლად ბზუიან, განსაკუთრებული

სიყვარული აქვთ ადამის მოდგმის მიმართ. როგორც კი იგრძნობენ მათ სურნელს, აღარც სცილდებიან.

– თავიდან მოიშორე, შვილო, ღმერთმა გაწყვიტოს ეს ქვიშის ბუზები!

თუ ისეთ დროს ჩამოხვალ, როცა არც ზაფხულია და არც ზამთარი, მაშინ აქ ვერაფერს ნახავ. დარწმუნებული ვარ, შვილო, შენ ყოველდღე კითხულობ გაზეთებს, უსმენ რადიოს, კვირაში ერთხელ ან ორჯერ კინოში დადიხარ, როცა ავად ხდები, შეგიძლია საავადმყოფოში იმკურნალო, თუ შვილი გყავს, განათლებას სკოლაში აძლევ. ვიცი, რომ გეზიზღება ჩაბნელებული გზები და გიყვარს ღამის განათება. ისიც ვიცი, რომ არ გხიბლავს ფეხით სიარული და არც ვირზე ჯდომა გსიამოვნებს. ნეტავ, შვილო... ნეტავ აქაც იყოს დაგებული გზები, როგორც ქალაქებშია, თანამედროვე სატრანსპორტო საშუალებები, ლამაზი, კომფორტული ავტობუსები... მსგავსი არაფერი გვაქვს. იმით ვცხოვრობთ და ვკმაყოფილდებით, რაც ღმერთმა გვიბოძა.

ჩვენი სოფლიდან ხვალ წახვალ, დარწმუნებული ვარ ამაში. მართალიც იქნები. აბა რა გესაქმება ამ გაჭირვებაში? ჩვენ სქელი კანი გვაქვს, სხვებისგან განსხვავებული, შევეჩვიეთ ასეთ მძიმე ყოფას. მეტიც, სინამდვილეში, მოგვწონს კიდეც ის, მაგრამ არავის ვთხოვთ, რომ იგივე გამოსცადოს. ხვალ წახვალ, შვილო, ამაში დარწმუნებული ვარ, მაგრამ ვიდრე წახვიდოდე, ნება მომეცი, გაჩვენო ერთი რამ, რითიც ჩვენ ვამაყობთ. თქვენ ქალაქებში მუზეუმები გაქვთ, ადგილები, რომლებიც ინახავს ქვეყნის ისტორიას და წარსულ დიდებას. ის, რისი ჩვენებაც მე ახლა მინდა შენთვის, ჩათვალე, რომ ჩვენი მუზეუმია, ერთადერთია, რის ნახვასაც დაჟინებით ვთხოვთ ხოლმე ჩვენს სტუმრებს.

ერთ დღეს მქადაგებელი მოვიდა ჩვენთან, მთავრობას გამოეგზავნა მთელი თვით. იმ სეზონზე ყველაზე დიდი ბუზანკლები გვყავდა. კაცს პირველივე დღეს სახე დაუსივდა, მაგრამ მოითმინა, მეორე ღამეს ჩვენთან ერთად ილოცა და ლოცვის შემდეგ პირველყოფილი ცხოვრების სიამოვნებაზე გვესაუბრა. მესამე დღეს დაავადდა მალარიით, დიზენტერიით, თვალებს ვეღარ ახელდა. შუადღეს ვესტუმრე, ჩაწოლილი დამხვდა, თავთან ბიჭი ედგა, რომელიც ბუზებს აშორებდა. მივმართე:

– შეიხო, ამ სოფელში არაფერია განსაკუთრებული, მაგრამ მინდა ვად ჰამიდის პალმის ხე გაჩვენოთ.

არაფერი უკითხავს ვად ჰამიდის პალმის ხეზე, ვიფიქრე, რომ იცოდა მის შესახებ. განა არის ვინმე, ვისაც არაფერი სმენია ვად ჰამიდზე? გაწითლებული სახე ასწია, თვალებს კი ვერ ახელდა. ვიცოდი, რა სიმწარეც იმალებოდა წამწამებს მიღმა, მითხრა:

– ღმერთმანი, თქვენი პალმის ხე სულ რომ ალ-ჯანდალში იყოს და თქვენ, მუსლიმები, ალისა და მუავიასთან ერთად იბრძოდეთ, მე გასამართლებდეთ და თქვენი ბედი ჩემს ხელში იყოს, ამ ადგილიდან ერთ ნაბიჯსაც არ გადავდგამდი. – მიწაზე გადააფურთხა, თითქოს მწყევლიდა და სახე მომარიდა. ამის შემდეგ კი შევიტყვეთ, რომ შეიხს დეპეშა გაეგზავნა მთავრობისთვის, რომელშიც იუწყებოდა:

„ბუზანკლებმა კისერი გამომჭამეს, მალარიამ კანი დამიწვა, დიზენტერია ნაწლავებში ჩამისახლდა. მაპატიეთ ჩემი შეცდომა, ღმერთი თქვენ შეგიწყალებთ. ამ ხალხს არც მე ვჭირდები და არც სხვა მქადაგებელი.“

კაცი გაემგზავრა და მას შემდეგ მთავრობას აღარ გამოუგზავნია ჩვენთვის სხვა მქადაგებელი, მაგრამ ჩვენმა სოფელმა, შვილო, ღმერთს ვფიცავ, ბევ-

რი ყოვლისშემძლე დიდი ადამიანი იხილა, რომელთა სახელი მთელ ქვეყანაში ქუხდა. ვერც კი წარმოვიდგენდით, რომ აქ მოვიდოდნენ, მაგრამ კი ჩამოდიოდნენ ჯგუფ-ჯგუფად.

უკვე მოვედით... ცოტა მოითმინე, შვილო. ერთი საათიც და საღამოს ნიავი ამ გაცოფებულ მავნებლებს სახიდან მოგაშორებს.

აი, ისიც... ვად ჰამიდის პალმის ხე. შეხედე, როგორ ამაყად ცად აზიდულა, ფესვები მიწაში ღრმად გაუდგამს, ტანსავსე ქალის წელს მიუგავს ღერო და გაუხედნავი კვიცის ფაფარივით ტოტები მაღლა აუშვერია. საღამოსკენ, როცა მზე გადაიწვერება ხოლმე, პალმის ხის ჩრდილი ამ მაღალი ბორცვიდან მდინარის მეორე ნაპირს სწვდება. გაღმა სანაპიროზე მყოფი ადამიანი ამ პალმის ჩრდილში ისვენებს.

როცა მზე ამოდის, ხის ჩრდილი სახლებსა და ნაკვეთებს ფარავს და სასაფლაომდე აღწევს. მითიურ არწივს არ გაგონებს? თავისი ფრთებით მთელ სოფელს რომ იცავს?

ერთხელ მთავრობამ პალმის ხის მოჭრა გადაწყვიტა რაღაც სასოფლო-სამეურნეო პროექტის ასამუშავებლად. თქვეს, რომ ეს ადგილი საუკეთესო იყო წყლის ჭაბურღილის გასაკეთებლად. ჩვენი ხალხი, როგორც ხედავ, ყოველდღიური საქმიანობით არის დაკავებული. არ მახსოვს, რომ რამეზე ხმა აემაღლებინოთ, მაგრამ როცა ხის მოჭრის შესახებ შეიტყვეს, ყველა ერთ მუშტად შეიკრა და გზა გადაუკეტა ოლქის ინსპექტორს. ეს ხდებოდა უცხოური მმართველობის პერიოდში. ბუზანკლებიც კი ხალხის მხარეს იყო. დიდი აურზაური ატეხეს, კაცს უყვიროდნენ: „თუ პალმის ხეს მოჭრით, სისხლის ბოლო წვეთამდე შევებრძოლებით მთავრობას“. ბუზებმაც თავისი საქმე გააკეთეს და კაცის სახეს შეესივნენ. ინსპექტორის ფურცლები წყალში ტივტივებდა, საწყალი გაჰყვიროდა: „კარგი... საკმარისია... პალმის ხე რჩება... პროექტი აღარ იქნება...“.

ასე რომ, არც ჭაბურღილი გაკეთდა და აღარც პროექტი გამოვიდა... სამაგიეროდ, ჩვენი პალმის ხე ისევ დგას.

ახლა კი სახლში უნდა წავიდეთ, შვილო. გარეთ საუბრის დრო აღარ არის. მზის ჩასვლამდე ცოტა ხნით ადრე ქვეშის ბუზების არმია განსაკუთრებით აქტიურდება დაძინებამდე. მათ ასეთ დროს ვერავინ იტანს, თუ ჩვენსავით კარგად მიჩვეული და სქელკანიანი არ არის. შეხედე მას, შვილო, პალმის ხეს, ამაყსა და დიდებულს, თითქოს... უძველესი კერპია. სადაც არ უნდა იყო ამ დასახლებაში, ის ყველა მხრიდან ჩანს. მეოთხე სოფლიდანაც კი შეგიძლია მისი დანახვა.

ხვალ წახვალ ჩვენგან, ეს ეჭვგარეშეა. ჩვენი დღევანდელი პატარა გასეირნების კვალი აგერ შენს სახეზე, კისერსა და ხელებზეა, მაგრამ ვიდრე წახვალ, მოგიყვები ვად ჰამიდის პალმის ხის ისტორიას ბოლომდე. შებრძანდი, თავი ისე იგრძენი, როგორც საკუთარ სახლში.

შენ მკითხე, ვინ დარგო პალმის ხეო?

არავის დაურგავს ის, შვილო. ის მიწა, რომელზეც ხე იზრდება, სახნავიაო? თავადაც ხედავ, რომ კლდოვანია და მდინარის ნაპირიდან მაღლა, ქანდაკების კვარცხლბეკივით დგას. წყალი კი ქვემოთ ისე ბრუნავს, თითქოს წმინდა გველიაო, ეგვიპტელთა უძველეს ღვთაებათაგან ერთ-ერთი. ხე არავის დაურგავს, შვილო. ჩაი მოსვი, მოგიხდება მძიმე დღის შემდეგ... ალბათ, თავისით გაიზარდა, მაგრამ არავის უნახავს ეს ხე სხვა მდგომარეობაში, ყველას მხოლოდ ისეთი ახსოვს, როგორსაც ახლა შენ ხედავ. ჩვენმა შვილებმა თვალები რომ გაახილეს, მაშინაც ასეთი უზარმაზარი

იყო სოფლის თავზე და ჩვენი ბავშვობის წლებშიც, აი, ასე დგას უცვლელად სანაპიროზე ჩვენს გონებაში იმ დღეებიდან მოყოლებული, რასაც კი მეხსიერება სწვდება. თითქოს ჩვენი თილისმაა, ზღვარია დღესა და ღამეს შორის, ის მკრთალი ნათელია, რომელიც წინ უსწრებს გარიჟრაჟს. ნეტავ თუ გესმის, რასაც გეუბნები, შვილო? ან იმავეს გრძნობ, რასაც მე? ამის სიტყვებით გადმოცემა არ შემიძლია.

ყოველი ახალი თაობა თავიდან პოულობს პალმის ხეს, თითქოს ხე მათთან ერთად იბადება და იზრდება. ჩამოჯექი ამ სოფლის ხალხთან და მოუსმინე, რას ჰყვებიან თავიანთ სიზმრებზე. იღვიძებს კაცი და მეზობელს უამბობს, რომ ვითომ ის ვერცხლისფერ უკიდეგანო ქვიშიან მიწაზე იდგა, სიარულის დროს ფეხები ეფლობოდა და მაღლა ძლივს სწევდა. დადიოდა და დადიოდა, სანამ წყურვილმა და შიმშილმა არ შეაწუხა. ქვიშა კი არა და არ სრულდებოდა. შემდეგ ბორცვზე აცოცდა და მაღლიდან პალმების ტყე დაინახა, რომლის შუაში იდგა ერთი მაღალი ხე. ისე განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან ეს მაღალი პალმა და დანარჩენი ხეები, როგორც აქლემი და თხის ფარა. კაცი ბორცვიდან დაეშვა და იგრძნო, რომ მიწა ფეხქვეშ ეცლებოდა... ერთი ნაბიჯი, მეორე, მესამე... და უცებ ვად ჰამიდის პალმის ქვეშ აღმოჩნდა. რძით სავსე ჭურჭელი იპოვა, ქაფით დაფარული, თითქოს ახალმოწველილი იყო და ბოლომდე დალია. მეზობელმა კაცს უთხრა: „გიხაროდეს, უბედურებისგან განთავისუფლდები“.

აქვე გაიგონებ, ერთი ქალი რას უყვება თავის მეგობარს:

„თითქოს ნავში ვიჯექი და ზღვაში მივცურავდი სრუტის გავლით. სრუტე კი იმდენად ვიწრო იყო, რომ, ხელებს თუ გავშლიდი, ორივე ნაპირს ვწვდებოდი. აღმოვჩნდი უზარმაზარი ტალღის თავზე, რომელმაც ისე მაღლა ამწია, ლამის ღრუბლებს შევეხე. შემდეგ ღრმა ბნელ ორმოში ჩამომაგდო. შემეშინდა და ყვირილი დავიწყე, მაგრამ თითქოს ხმა ყელში გამეჩხირა. მერე წყლის გასასვლელი შევნიშნე, ცოტათი ფართოვდებოდა. ორივე ნაპირზე შიშველი, შავი ხეები იდგა, ხეებს ქორის ნისკარტივით წვეტიანი ეკლები ჰქონდა. დავინახე, რომ სანაპიროები დავიწროვდა და ხეები თითქოს ჩემკენ მოიწევდნენ, შიშმა შემიპყრო და მთელი ხმით დავიყვირე: „ო, ვად ჰამიდ“. და უცებ კაცი დავინახე, ლამაზი სახე ჰქონდა თეთრი გრძელი წვერით, ქათქათა სამოსი ეცვა და ხელში ქარვის კრიალოსანი ეჭირა. შუბლზე ხელი დამადო და მითხრა: „ნუ გეშინია“. დავმშვიდდი. სანაპირო გაფართოვდა, წყალი მშვიდად მოედინებოდა. მარჯვნივ ხორბლის მინდვრები დავინახე, მწიფე თავთავებით, სარწყავი წყლის ბორბლები ტრიალებდნენ, პირუტყვი ბალახს ძოვდა, ნაპირზე კი ვად ჰამიდის პალმის ხე იდგა. ნავი ხის ქვეშ გაჩერდა. ჯერ კაცი გადავიდა, ნავი მიამაგრა, შემდეგ ხელი გამომიწოდა და მეც გადამიყვანა. თავისი კრიალოსანი მხრებზე მსუბუქად შემახო, მიწიდან პალმის ხის ნაყოფი აიღო და ხელში ჩამიდო. მოვიხედე და კაცი აღარსად იყო“.

მეგობარმა ქალს უთხრა: „ვად ჰამიდი იქნებოდა... ისეთი ავადმყოფობა შეგხვდება, რომელიც სიკვდილის პირას მიგიყვანს, მაგრამ გამოჯანმრთელდები. შესაწირი უნდა შესწირო ვად ჰამიდს პალმის ხის ქვეშ“.

ასეა, შვილო. აქ არ არსებობს კაცი თუ ქალი, ბავშვი თუ მოხუცი, ერთხელ მაინც რომ არ ენახოს სიზმარში ვად ჰამიდის პალმის ხე.

შენ მკითხე, რატომ დაერქვა პალმის ხეს ვად ჰამიდის სახელი და ვინ იყო

ის? ცოტაც მოითმინე, შვილო, და გეტ-ყვი. კიდევ ერთი ჭიქა ჩაი დალიე.

ადგილობრივი მმართველობის პირველივე წლებში ჩვენთან ერთი ჩი-ნოვნიკი მოვიდა და გვითხრა, რომ მთავრობა აქ აპირებდა ორთქმავალი გემისთვის ნავსადგურის აშენებას და ამით ჩვენი დახმარება და განვითარება სურდა. ენთუზიაზმით სავსე იყო და სა-უბრის დროს სახე უბრწყინავდა, მაგრამ გარშემო ადამიანებს არანაირი რეაქცია არ ჰქონდათ. ჩვენ, შვილო, ბევრს არ ვმოგზაურობთ, მაგრამ, თუ აქედან წას-ვლა დაგვჭირდა რამე მნიშვნელოვანი საკითხის მოსაგვარებლად, როგორიცაა მიწის რეგისტრაცია ან განქორწინების საქმის განხილვა, შემოვასხდებით ხოლ-მე ჩვენს ვირებს დილაუთენია და მეზო-ბელ სოფელში ავდივართ ორთქლის გემ-ზე. შვილო, ჩვენ მივეჩვიეთ ასეთ ცხოვ-რებას. ვირებიც ამიტომ გვყავს. ხოდა, რა გასაკვირია, რომ იმ ჩინოვნიკმა ხალხს სახეზე სიხარულის ვერანაირი ნიშანწყალი ვერ შეატყო. ენთუზიაზმი გაქრა, კაცმა აღარ იცოდა, რა ეთქვა, ენა დაება. ცოტა ხანში ვიღაცამ იკითხა:

– სად აშენდება ნავსადგური?

– ამისთვის ყველაზე შესაფერისი პალმის ხის ადგილია, – უპასუხა ჩინოვ-ნიკმა. იმ მომენტში, ქალი რომ მიგეყვა-ნა იქ და დედიშობილა დაგეყენებინა იმ კაცების წინ, ისე არ გაოცდებოდნენ, როგორც ამ სიტყვების გაგონებაზე.

ერთ-ერთმა თქვა:

– გემი აქ, ჩვეულებრივ, ოთხშაბა-თობით დადის ხოლმე და თუ ნავსად-გურს ააშენებთ, ჩვენთანაც ოთხშაბათს გაჩერდება.

ჩინოვნიკმა დაუდასტურა:

– გემი ნავსადგურში შემოვა ოთ-ხშაბათს, ნაშუადღევს, 4 საათზე.

კაცი შეეპასუხა:

– მაგრამ ეს ის დროა, როცა ჩვენ ვად ჰამიდის საფლავს ვსტუმრობთ ხოლ-მე ცოლ-შვილთან ერთად და შესაწირს ვწირავთ მას. ასე ვიქცევით ყოველ კვირა.

ჩინოვნიკს გაეცინა:

– შეცვალეთ სტუმრობის დღე!

ამ კაცს ყველა იქ შეკრებილთათვის სულ რომ ნაბიჭვრები ეძახა, ისე არ გაბ-რაზდებოდნენ, როგორც ამ სიტყვების გაგონებაზე. ერთ მუშტად შეიკრნენ და თავს დაესხნენ ჩინოვნიკს. ალბათ, მოკ-ლავდნენ, მე რომ არ ჩავრეულიყავი და არ გამომეგლიჯა მათი კლანჭებიდან. ვირზე შევსვი, თავს უშველე-მეთქი.

ასე რომ, გემი არ ჩერდება ჩვენთან და, თუ საქმე მოითხოვს და გამგზავრე-ბა გვსურს, დილაობით ვირებით მივდი-ვართ მეზობელ სოფელში და იქ ვსხდე-ბით ორთქლმავალზე. სამაგიეროდ, ისევ ძველებურად ვსტუმრობთ ვად ჰამიდის საფლავს ცოლ-შვილთან ერთად, ვწი-რავთ შეთქმულ შესაწირს ყოველ ოთ-ხშაბათს, როგორც ამას ჩვენი მამები და ბაბუები აკეთებდნენ.

უკაცრავად, შვილო, ახლა უნდა ვი-ლოცო... ამბობენ, რომ მაღრიბის ლოც-ვა უცნაურია, უცებ გამოგეპარება, დრო თუ გაგექცა... „ალაჰის წმინდა მსახურ-ნო... ვაცხადებ, რომ არ არს ღმერთი, თვინიერ ალაჰისა და მუჰამედია მისი მოციქული... მშვიდობა თქვენდა და ალაჰის წყალობა... მშვიდობა თქვენდა და ალაჰის წყალობა.“

ვაი, ვაი... ერთი კვირაა, ზურგი მტკივა. როგორ ფიქრობ, რისი ბრალია, შვილო? თუმცა მეც ხომ ვიცი მიზეზი, სიბერე... ეჰ, რა კარგია ახალგაზრდობა... ჯეელი რომ ვიყავი, საუზმედ ნახევარ ცხვარს ვჭამდი და ვახშმად ხუთი ძროხის მოწველილ რძეს ვსვამდი, ფინიკის ტომა-რას ცალი ხელით ვწევდი. არ მოტყუვდე, თუ ვინმემ ჩემზე გითხრა, ჭიდაობაში და-ვამარცხეო. „ნიანგს“ მეძახდნენ. ერთხელ

ნილოსი გადავცურე, თან მკერდით ვაწვებოდი ხორბლით დატვირთულ ნავს, მეორე ნაპირამდე რომ გამეყვანა... ღამე იყო, წყლის ბორბლებთან კაცები იდგნენ. ეს რომ დაინახეს, შიშისგან ტანსაცმელი ძირს დაყარეს და გაიქცნენ. მე ვუყვიროდი: „ჰეი, ხალხო, რა გჭირთ? ფუი, ვერ მიცანით? მე ვარ, „ნიანგი“. რა სახეები გაქვთ? ღმერთო ჩემო, ეშმაკსაც კი შეეშინდება თქვენი.“

შენ მკითხე, შვილო, როგორ ვიქცევით, როცა ავად ვხდებით?

მეცინება ახლა... ვიცი, რასაც ფიქრობ... თქვენ, ქალაქელებს, სულ პატარა მიზეზი გინდათ და მაშინათვე საავადმყოფოებისკენ მიიჩქარით. თითიც რომ აგტკივდეთ, ექიმთან გარბიხართ და მერე კისერზე ჩამოკიდებული შეხვეული ხელით დადიხართ მთელი დღეები, თითქოს რამეს გშველოდეთ. ერთხელ მინდორში ვმუშაობდი, რაღაცამ მიკბინა თითზე, აი, ამ ნეკაზე... წამოვხტი, ბალახებს გავხედე და აი, ისიც, გველი, გეფიცები, ჩემი მკლავისხელა იყო. ხელი თავში წავავლე და ორ თითს შორის მოვიმწყვდიე, შემდეგ ნეკაზე ვიკბინე და შხამიანი სისხლი გამოვიწოვე. ავიღე ერთი მუჭა მტვერი და ჭრილობას გადავუსვი.

მაგრამ ეს უმნიშვნელო შემთხვევაა... როგორ ვიქცევით, როცა საქმე სერიოზულადაა?

ჩვენს მეზობელ ქალს ერთ დღეს კისერი გაუსივდა და საწოლს მიეჯაჭვა ორი თვე. ღამით სიცხემ აუწია, დილაუთენია თავს ძალა დაატანა, ადგა და ვად ჰამიდის პალმის ხესთან მივიდა. შემდეგ ეს გვიამბო:

– ხის ქვეშ ვიყავი, ფეხზე ძლივს ვიდექი. მთელი ხმით ვიყვირე: „ოჰ, ვად ჰამიდ. მოვედი და შენგან ვითხოვ შველას. აქ დავიძინებ შენს საფლავთან, შენი ხის ქვეშ. ფეხსაც არ მოვიცვლი, სანამ არ მომხედავ... ან მომკალი, ან მაცოცხლე.

შიშისგან მოვიკუნტე და ჩამთვლიმა. ძილ-ბურანში ყურანის კითხვის ხმა ჩამესმა. ისეთი მკვეთრი შუქი იყო, თითქოს დიდი დანის პირს მზის სხივი აერეკლა და ამ ნათებას ორივე ნაპირი დაეფარა. დავინახე პალმის ხე და პირქვე დავეცი. გული ისე გამალებით მიცემდა, მეგონა, საგულედან ამოხტებოდა. გამოჩნდა თეთრ სამოსში გამოწყობილი, თეთრწვერა კაცი. ჩემკენ მოდიოდა და იღიმოდა. თავზე კრიალოსანი ფრთხილად შემახო და დამიყვირა: „წამოდექი“. მე ავდექი და სახლში მოვედი, არ მახსოვს, როგორ. გამთენიისას დავბრუნდი, გავაღვიძე ჩემი ქმარი, ვაჟი და ქალიშვილები. ქმარს ვუთხარი, ცეცხლი დაანთე და ჩაი შემოდგიმეთქი. გოგოებს მოვუყევი ეს ამბავი და სიხარულისგან აკივლდნენ. მთელი სოფელი თავზე დაგვადგა. გეფიცებით, ამის შემდეგ არც არაფრის შემშინებია და აღარც ავად გავმხდარვარ“.

დიახ, ასეა, შვილო, ჩვენ ვართ ხალხი, რომელმაც საავადმყოფოს გზა არ იცის. უბრალო ამბებზე, მორიელის ნაკბენი იქნება ეს, ცხელება, ნაღრძობი თუ მოტეხილობა, საწოლში ვწვებით გამოჯანმრთელებამდე, რთულ ამბებზე კი ვად ჰამიდის პალმის ხესთან მივდივართ.

მოგიყვე, შვილო, ვად ჰამიდის ისტორია? დაწოლა ხომ არ გინდა? ვიცი, რომ ქალაქელებს გვიანობამდე გღვიძავთ. აბა, ჩვენ მაშინვე ვიძინებთ, როცა ჩიტები ჭიკჭიკს, ბუზები პირუტყვთან ჭიდილს და ხის ფოთლები შრიალს წყვეტენ, ქათმები ფრთებს აფარებენ თავიანთ წიწილებს, თხები კი წვებიან და ცოხნიან მთელი დღის ნაგროვებ საკვებს. აქ ჩვენს ცხოველებთან ერთად ვიღვიძებთ და ვიძინებთ, ჩვენ ცხოვრების ერთნაირი რიტმი გვაქვს.

მე მამაჩემმა მიამბო ეს ამბავი, მან კი თავისი ბაბუისგან მოისმინა:

„ძველ დროში ვად ჰამიდი ვიღაც უღმერთო კაცის მონა და ალაჰის გზაზე შემდგარ წმინდანთაგან ერთ-ერთი უპირველესი იყო, მაგრამ საკუთარ რწმენას მალავდა და ღიად ლოცვას ვერ ბედავდა, ცოდვილ ბატონს რომ არ მოეკლა ის. როდესაც ველარ გაუძლო იმ უზნეო კაცთან ერთად ცხოვრებას, ღმერთს სთხოვა დახმარება. მაშინ ხმა ჩაესმა: გაშალე შენი სალოცავი ხალიჩა წყალზე, გაჰყევი მას და, როცა ნაპირს მიუახლოვდები, გადმოდი. ხალიჩა იმ ადგილას გაჩერდა, სადაც ახლა პალმის ხეა. მაშინ ხრიოკი ადგილი იყო. ვად ჰამიდი განმარტოვდა, მთელი დღე ლოცულობდა. როგორც კი დაღამდებოდა, ვიღაც კაცს მასთან საჭმელი მიჰქონდა. შეჭამდა და კვლავ ღვთის მსახურებას განაგრძობდა განთიადამდე. ყოველივე ეს აქ სოფლის გაშენებამდე ხდებოდა. მერე თითქოს მიწა გაიპო და ეს სოფელი შვა თავისი ხალხით, წყლის ბორბლებითა და სახლებით. თუ ვინმე დაიჩემებს, რომ იცის მისი წარმოშობის ისტორია, მატყუარაა. სხვა სოფლები თავიდან პატარაა, შემდეგ იზრდება, ჩვენი სოფელი კი თავიდანვე ასეთია. მისი მოსახლეობის რაოდენობა არც იმატებს და არც მცირდება, გარეგნულადაც არ იცვლება. რაც ჩვენი სოფელი არსებობს, ვად ჰამიდის პალმის ხეც აქ დგას. არავის ახსოვს, როგორ აშენდა სოფელი, არავის ახსოვს, საიდან გაჩნდა პალმის ხე ამ კლდოვან მიწაზე, რომელიც სოფელს მაღლიდან გადმოჰყურებს მცველივით.

მის სანახავად რომ წაგიყვანე, გახსოვს, შვილო, ხის გარშემო შემოვლებული რკინის მოაჯირი? და მარმარილოს დაფა ქვის კვარცხლბეკზე, რომელზეც ეწერა „ვად ჰამიდის პალმის ხე“? ან საფლავის თავზე გუმბათი, ზედ მოოქროვილი ნახევარმთვარეებით? ეს ყველაფერი ერთადერთია ჩვენს სოფელში, რაც ყველას გვახსოვს, როგორ გაჩნდა ღვთის გაზრდილ ხესთან და ახლა ამ ისტორიას გიამბობ.

როდესაც ჩვენგან გაემგზავრები, – და შენ უეჭველად წახვალ აქედან შეშუპებული თვალებითა და დასიებული სახით, – გთხოვ, ნუ დაგვწყევლი, შვილო, არ თქვა აუგი, დაფიქრდი იმაზე, რაც ამ ღამით მოგიყევი და იქნებ მხოლოდ ცუდი არ გაგახსენდეს შენი სტუმრობიდან.

ხომ გახსოვს, წლების წინ დეპუტატები და პარტიები გვყავდა აქ. დიდი აურზაური ჰქონდათ, მაგრამ ვერც თავი გავიგეთ და ვერც ბოლო. ჩვენკენ მომავალ გზებს კარებთან ზოგჯერ უცნობები ისე მოჰყავდა, როგორც ზღვის ტალღა გამორიყავს ხოლმე სანაპიროზე უცხო საგნებს. არცერთი დარჩენილა აქ ერთ ღამეზე მეტხანს, მაგრამ დედაქალაქის დიდ ამბებს მაინც მათგან ვიგებდით. ერთ დღეს გვითხრეს, რომ ძველი მთავრობა, რომელმაც კოლონიზატორები განდევნა, ახალმა ჩაანაცვლა უფრო მეტი დეპუტატითა და ხმაურით. ჩვენ ვკითხეთ, ვინ იყვნენ ისინი, მაგრამ პასუხი ვერ მივიღეთ. მას შემდეგ, რაც უარი ვთქვით პალმის ხის ქვეშ ნავსადგურის მშენებლობაზე, აღარავის დაურღვევია ჩვენი სიმშვიდე. ორი წელი ისე გავიდა, რომ წარმოდგენაც არ გვქონდა ხელისუფლებაზე, არავის ვიცნობდით, არც მათი ფორმა ვიცოდით და არც ფერი. მთავრობის მოციქულები სოფელში კი მოდიოდნენ, მაგრამ არ რჩებოდნენ. მადლობას ვწირავდით ღმერთს, რომ მათი მიღებისგან გვათავისუფლებდა. ასე გრძელდებოდა, სანამ ოთხი წლის წინ ისევ ახალმა მთავრობამ არ შეცვალა ძველი. თითქოს ახალ ხელისუფლებას სურდა, რომ გვეგრძნო მათი არსებობა. ერთ დილას გავიღვიძეთ და ჩინოვნიკი დავინახეთ დიდი ქუდითა და პატარა თავით, ორი ჯარისკაცი ახლდა თან, რომლებიც პალმის ხესთან რაღაცას

ზომავდნენ და ანგარიშობდნენ. ჩვენ ვიკითხეთ, რა ხდებოდა. გვითხრეს:

– მთავრობას სურს, რომ ნავსადგური ააშენოს პალმის ხის ქვეშ.

– მაგრამ ჩვენ ხომ უკვე გიპასუხეთ ამაზე და რატომ ფიქრობთ, რომ დღეს შევცვლით გადაწყვეტილებას?

– წინა მთავრობა, რომელიც დათმობაზე წამოვიდა, სუსტი იყო, ახლა სხვა სიტუაციაა.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, ქოჩრებში ვწვდით და წყალში გადავყარეთ ისინი, შემდეგ კი ჩვენს საქმეს დავუბრუნდით. ერთი კვირაც არ იყო გასული, რომ მთელი ჯარი მოგვადგა იმ დიდქუდიანი და პატარათავიანი ჩინოვნიკის მეთაურობით. მან ბრძანა: „ეს აიყვანეთ, ახლა ეს, ესეც...“, – და ასე დააკავეს ოცი კაცი, მეც მათ შორის. მთელი თვე გავატარეთ ციხეში. ერთ დღეს სწორედ იმ ჯარისკაცებმა გაგვიღეს ციხის კარი, რომლებმაც დაგვაპატიმრეს. ვკითხეთ, რა ხდებოდა, მაგრამ არავინ გვიპასუხა. გარეთ ხალხის დიდი ჯგუფი დაგვხვდა. როგორც კი დაგვინახეს, შეძახილები და ოვაციები გაისმა. ვიღაც ადამიანები გადაგვეხვივნენ, სუფთა სამოსში იყვნენ გამოწკეპილები, მაჯებზე მოოქროვილი საათები უბრწყინავდათ და თავზე სუნამოს სუნი ასდიოდათ. დიდი მსვლელობით წაგვიყვანეს სოფლამდე და იქ ხალხის იმხელა ნაკადი დაგვხვდა, არც თავი ჩანდა და არც ბოლო. ეტლები, ცხენები, აქლემები იდგნენ. ერთმანეთს გადავულაპარაკეთ: „დედაქალაქის ხმაურს ჩვენამდე მოუღწევია“. ოცივე ერთ რიგად ჩაგვამწკრივეს და ხალხმა ხელის ჩამორთმევა დაიწყო... პრემიერ-მინისტრი... პარლამენტის თავმჯდომარე... სენატის თავმჯდომარე... ამ ოლქის დეპუტატი, იმ ოლქის დეპუტატი... ერთმანეთს გადავხედეთ და ვერაფერი გავიგეთ, რა ხდებოდა ჩვენს თავს, მკლავები გვეტკინა ამდენი ხელის ჩამორთმევით. შემდეგ წაგვიყვანეს დიდ ჯგუფად იქ, სადაც პალმის ხე და ვად ჰამიდის საფლავია. პრემიერ-მინისტრმა საზეიმოდ გახსნა ის დაფა, გუმბათი და მოაჯირი, რომელიც შენ ნახე. როგორც ქარიშხალი ამოვარდება ხოლმე უცებ და მერე ჩაწყნარდება, აი, ასე მოვარდა ეს ხალხი აქ და ისე გაქრა, რომ ერთი ღამეც არ გაუთევიათ. ბუზანკლების დამსახურებაა, იმ წელსაც ისეთივე დიდები და ზუზუნები იყვნენ, როგორც მაშინ, როცა მქადაგებელი ჩამოვიდა ჩვენთან პირველად.

მერე ერთ-ერთმა იმ უცნობთაგანმა, რომელიც ჩვენკენ მომავალ გზებს მოჰყავს ხოლმე, გვიამბო მთელი ამ აურზაურის ისტორია:

– ხალხი არ იყო კმაყოფილი ახალი მთავრობით და იცოდა, რომ ეს ხელისუფლება პარლამენტის წევრების მოსყიდვით მოვიდა სათავეში, მაგრამ შესაფერის მომენტს ელოდა ხმის ამოსაღებად, ოპოზიცია კი ნაპერწკალს ეძებდა ცეცხლის გასაღვივებლად. და როცა პალმის ხის შემთხვევა მოხდა და ყველანი ციხეში ჩაგსვეს, გაზეთები აჭრელდა ამ ამბით, წინა მთავრობის მეთაურმა კი პარლამენტში შთამბეჭდავი სიტყვა წარმოთქვა: „ამ ხელისუფლების ტირანია იქამდე მივიდა, რომ მათ ხალხის რწმენაში დაიწყეს ჩარევა, წმიდათაწმიდას შეახეს ხელი“. შემდეგ თვალები აუცრემლიანდა და ხმა აუკანკალდა: „ჰკითხეთ, ჩვენს პატივცემულ პრემიერ-მინისტრს ვად ჰამიდის პალმის ხეზე, როგორ მისცა თავს უფლება, იქ ჯარი გაეგზავნა თანმხლებ პირებთან ერთად და ეს წმინდათაწმიდა ადგილი წაებილწა“. ხალხი აჯანყდა და მთელი ქვეყანა აიყოლია ისე, როგორც არასდროს. ალბათ, იმიტომ, რომ ჩვენს ქვეყანაში ყველა სოფელს ჰყავს ვად ჰამიდის პალმის ხესავით დიდი თავისი მფარველი, რომელ-

საც ხალხი სიზმარში ხედავს. ერთთვიანი აურზაურისა და გულანთებული ხალხის ყვირილის შემდეგ მთავრობის ორმოცდაათი წევრი იძულებული გახდა გადამდგარიყო, პარტიებმა ისინი გააფრთხილეს, რომ ან ხმას ამოიღებდნენ, ან არადა, მათგან მხარდაჭერას ვერ ეღირსებოდნენ. ასე შეიცვალა ეს მთავრობა და წინა დაბრუნდა. ქვეყნის პირველი გაზეთი წერდა, ვად ჰამიდის პალმის ხე ერის გამოღვიძების სიმბოლო გახდაო.

იმ დღიდან მოყოლებული, თავს არ ვახსენებდით ახალ მთავრობას, არც აქეთ გვსტუმრობდნენ დიდი კაცები, როგორც ადრე. ღმერთს ვუმადლოდით, რომ მათთვის ხელის ჩამორთმევის ის ერთი ტანჯვა გვაკმარა. ძველებურ ცხოვრებას დავუბრუნდით. არც ჭაბურღილი გაკეთდა, არც სასოფლო-სამეურნეო პროექტი და აღარც ნავსადგური. დაგვრჩა ჩვენი პალმის ხე, რომლის ჩრდილი საღამოობით მეორე ნაპირს სწვდება და დილაობით სახლებსა და ნაკვეთებს ფარავს სასაფლაომდე. ქვემოთ კი მდინარე ისე ბრუნავს, თითქოს წმინდა გველიაო, რომელიღაც ზღაპრიდან გადმოსული.

ჩვენს სოფელს შეემატა მხოლოდ მარმარილოს დაფა, რკინის მოაჯირი და გუმბათი, ზედ მოოქროვილი ნახევარმთვარეებით.

***

როდესაც კაცმა საუბარი დაასრულა, შემომხედა, სახეზე იდუმალი ღიმილი დასთამაშებდა, ტუჩები ისე უკრთოდა, როგორც ლამპრის სუსტი ციმციმი. ვკითხე:

– როდის გაკეთდება აქ ჭაბურღილი, სასოფლო-სამეურნეო პროექტი და ნავსადგური? ცოტა ხნით თავი დახარა, შემდეგ კი მიპასუხა:

– როცა ადამიანები დაიძინებენ და სიზმარში პალმის ხეს ვეღარ ნახავენ.

– ეს როდის მოხდება?

– გითხარი, რომ ჩემი შვილი ქალაქის სკოლაში სწავლობს. მე არ წამიყვანია, სახლიდან გაიქცა თავისით. იმედი მაქვს, რომ იქ დარჩება და უკან არ დაბრუნდება. როცა ჩემი შვილიშვილი სკოლას დაამთავრებს და ჩვენ შორის მომრავლდებიან უცხო სულის ახალგაზრდები, შეიძლება მაშინ ავამუშაოთ ჭაბურღილი, სასოფლო-სამეურნეო პროექტი... იქნებ, გემიც გაჩერდეს ჩვენს სოფელში... ვად ჰამიდის პალმის ხის ქვეშ.

მე ვკითხე:

– ფიქრობ, რომ ერთ დღეს პალმის ხეს მოჭრიან?

დიდხანს მიყურა, თითქოს სურდა, მის დაღლილ, დაბინდულ თვალებში ამომეკითხა ის, რისი გადმოცემაც სიტყვებს არ შეეძლო:

– არ იქნება აუცილებელი პალმის ხის მოჭრა, არც საფლავის მოშორება. ეს ხალხი ვერ ამჩნევს, რომ ადგილი ყველაფრისთვის საკმარისია, პალმის ხეც დაეტევა აქ, სამარხიც, ჭაბურღილიც და ნავსადგურიც.

ცოტა ხნით დადუმდა. ისეთი მზერა მომაპყრო, რომლის აღწერა სიტყვებით არ შემიძლია, რაღაც ბუნდოვანი სევდა დამიტოვა. შემდეგ კი მითხრა:

– ხვალ აუცილებლად წახვალ ჩვენგან. როცა დანიშნულების ადგილს მიაღწევ, გთხოვ, კეთილად გაგვიხსენე და მკაცრად ნუ განგვსჯი.

არაბულიდან თარგმნეს
ნინო სურმავამ
და
თაკო ბეროძემ

მაჰმუდ დარვიში
(1942-2008)

მაჰმუდ დარვიში პალესტინელი პოეტია, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ახალი არაბული პოეზიის განვითარებაში. თუმცა მას უფრო ხშირად პალესტინური წინააღმდეგობის მოძრაობის სიმბოლოდ წარმოაჩენენ ხოლმე. თავად ბავშვობიდან იგემა ლტოლვილობის სიმწარე, როცა 1948 წელს, ისრაელის მიერ დასავლეთ სანაპიროს ოკუპაციის შედეგად იძულებული გახდა, სოფელ ბირვადან გადასახლებულიყო. ახალგაზრდობის წლებიდან აქტიურად ჩაება პოლიტიკაში, ჰაიფაში ყოფნისას ისრაელის მთავრობის მიერ შინაპატიმრობაც კი ჰქონდა მისჯილი (1967-1970). ამის შემდეგ ცხოვრობდა კაიროში, კვიპროსზე, ბეირუთში, ამანში, პარიზში... გარდაიცვალა აშშ-ში, საიდანაც პალესტინაში ჩამოასვენეს და რამალაში დაკრძალეს. მაჰმუდ დარვიშის პოეზია არაბული ემიგრანტული ლიტერატურის მნიშვნელოვან შენაძენად იქცა.

დავიწყებული ისე, თითქოს
არც კი ყოფილხარ

დავიწყებული ისე,
თითქოს არც კი ყოფილხარ –
ჩიტის სიკვდილივით,
მიტოვებული სალოცავივით,
წუთიერი სიყვარულივით,
ღამე ვარდივით
დავიწყებული...

მე გზას ვადგავარ...
ვიღაცას მივყვები ფეხდაფეხ,
ვიღაც აზრს მკარნახობს...
სხვამ მიმოფანტა საუბარი თავისებურად
იმისათვის, რომ მოხვდეს ამბავში,
ან რომ სიმღერის, მიხვედრილობის,
გამჭრიახობის, ინტუიციის
უკან მომავალს გზა გაუნათოს.

დავიწყებული ისე,
თითქოს არც კი ყოფილხარ
კაცი თუ ტექსტი...

ხარ დავიწყებული.
მივემართები სწორი, მართალი,
გონივრული გზით
და ისტორიას ვუწყალობებ საკუთარ ამბავს.
სიტყვებს მივყავარ –
მე მათ ვმართავ, მათი ფორმა ვარ,
ეს სიტყვებია თავისუფლების გამოვლინება.

რასაც მე ვიტყვი, უკვე ითქვა.
ჩემამდე იყო გარდასულის ხვალინდელი დღე.
მე ექოების მეფე გახლავარ.
წიგნის მინდვრებზე მიდგას ტახტი,
აი, ესაა ჩემი სავალი...
იქნებ აქამდე რამე გამორჩათ,
რამის აღწერა გადაავიწყდათ?
გზად გავაცოცხლებ ხსოვნას,
შეგრძნებას,
იმას, რაც იყო...

დავიწყებული ისე,
თითქოს არც კი ყოფილხარ
ცოდნა ან კვალი
ხარ დავიწყებული.
მე გზას ვადგავარ –
ვიღაც მომყვება უკან, ფეხდაფეხ
ვიღაცას აზრებს თავად ვკარნახობ...
ვინ იტყვის ლექსს და შეასხამს ხოტბას
გადასახლების გაშლილ ბაღებს
სახლის წინ ისე,
არ დამორჩილდეს წარსულ დროებას –
ჩემს ენასა და მინიშნებებს?!...
მე დავამოწმებ, რომ ცოცხალი
და ნამდვილად თავისუფალი ვიქნები მაშინ,
როცა სრულიად დამივიწყებენ.

არაფრის შესახებ

არაფერს მივყავართ არაფრისაკენ,
არაფერს ვაშტერდებით და მის მნიშვნელობას ვეძებთ...
არაფრის მსგავსმა რაღაცამ არაფერი წაგვართვა,
მოგვენატრა არაფერზე ხუმრობა,
რადგან ის უფრო მსუბუქია,
ვიდრე რაღაც, რაც არაფრად გვაგდებს...

მონას უყვარს ტირანი,
რადგან სწორედ არაფრის შიში აღმერთებს კერპებს!
სძულს კიდეც იგი,
რადგან თუ პატივი აღარ ექნება,
ხომ დაინახავს მის სუსტ, ჩვეულ
კაცობრივ სახეს?!
ამის მერე კი სხვა,
არაფრიდან მომზირალ ტირანს მიეკედლება.
ასე მრავლდება არაფერი არაფრისაგან...

და რა არის ეს არაფერი?
ხელი ხელახლა აღმოცენებული,
ქედმაღლური და მრავალფეროვანი,
ამპარტავანი, სასტიკი, წებოვანი...

და რა არის ეს არაფერი?!
სულიერი დაავადებაა,
დათრგუნვილი ენერგიაა...
იქნებ ჩვენი ცხოვრების აღწერაში
გამობრძმედილი ცინიკოსია
ის არაფერი?!.

დამასკოში

დამასკოში
აბრეშუმის ღობეებს მიღმა
მტრედები წყვილ-წყვილად დაფრინავენ...

დამასკოში
ხორბლის მარცვალზე
ქალის ნემსის წვერით დაწერილ
და გნოლის მიერ გასწორებულ
ჩემს ენას ვხედავ...

დამასკოში
არაბულ ცხენთა სახელები
ჯაჰილიიდან[1] აღდგომამდე,
და მერეც,
მოქარგულია ოქროს ძაფებით.

დამასკოში
ცა ფეხშიშველი დადის ძველ გზებზე...
რად უნდა პოეტს სხვა შთაგონება,
საზომი, რითმა?

დამასკოში
ფეხზე მდგომ მწირს
საკუთარ ჩრდილში სძინავს,
როგორც მინარეთს –
მარადისობის საწოლში,
არ ენატრება მას არავინ,
არც ერთი მხარე.

დამასკოში
ზმნის აწმყო დრო
ომაიანთა ღვაწლს აგრძელებს,
წარსულის მზეში დარწმუნებულნი
მივემართებით ხვალინდელისკენ.
აქ მცხოვრებნი ვართ მხოლოდ ჩვენ
და მარადისობა!

[1] ისლამადელი, წარმართობის ხანა.

დამასკოში
ყუდი[2] და ვიოლინო
ყოფიერების საკითხებზე მასლაათობენ.
ლაპარაკობენ თვით სიკვდილზეც:
იმ ქალს, ვინც მოკლა საყვარელი, ერეტიკოსი,
მეშვიდე ცაზე ელის ლოტუსი – *სიდრათ ალ-მუნთაჰ.*[3]

დამასკოში
იოსები[4] იზიანებს თავის თირკმელებს
მხოლოდ იმიტომ,
რომ ვერ ჰპოვა ადგილზე გული.

დამასკოში
დიალოგი საკუთარ ფესვებს უბრუნდება,
წყალს;
არც პოეზიაა პოეზია,
არც პროზა – პროზა...
ამბობ, რომ არ მიმატოვებ?
შენთან ერთად წამიყვანე!

დამასკოში
ქურციკს ქალთან
დიდსულოვნების საწოლში სძინავს,
ქალი გაიხდის თავის კაბას
და მას *ბარადას*[5] გადააფარებს.

დამასკოში
ბეღურა უნისკარტებს
ჩემს ხელისგულზე დარჩენილ მარცვლებს,
მიტოვებს ერთ ცალს,
რომ დამანახოს ხვალინდელი დღე.

დამასკოში
იასამანი მეარშიყება:
ნუ დამშორდები,
მოჰყევი ჩემს კვალს,
ბაღს კი ეჭვი კლავს:

---

[2] ტრადიციული არაბული სიმებიანი საკრავი.
[3] *სიდრათ ალ-მუნთაჰა* – უკიდურესი მიჯნის ლოტუსი, ყურანის მიხედვით, არის ხე მეშვიდე ცაზე.
[4] ბიბლიური იოსები.
[5] მდინარე, რომელიც დამასკოს ორად ყოფს.

ჩემს მთვარეში ღამის სისხლთან
ახლოს ნუ მოხვალ!

დამასკოში
მსუბუქ ოცნებას ვესაუბრები
ნუშის ყვავილზე,
ის კი იცინის და მეუბნება:
იყავი რეალისტი,
კვლავ რომ ავყვავდე
დამასკოს სახელის წყლის გარშემო;
იყავი რეალისტი,
ოცნებაში რომ შემოვიდე.

დამასკოში
მე მას საკუთარ თავს გავაცნობ
სწორედ აქ – ორი ნუშივით თვალქვეშ,
ტყუპივით ერთად გავფრინდებით –
საერთო წარსულს დავივიწყებთ.

დამასკოში
ალერსიანი ხდება ბაასი,
და მარმარილოს სქელ ძარღვებში
სისხლის ხმა მესმის,
პატიმარი ქალი მეუბნება:
ჩემი ვაჟისაგან მიხსენიო
ან... გაქვავდი ჩემსავით.

დამასკოში
საკუთარ ნეკნებს ვითვლი,
გულს საგულეში ვისვამ...
იქნებ, ვინც მის თავს შემაფარა,
მომკლა,
მე კი ყურადღება არ მივაქციე.

დამასკოში
მწირი ქალი ქარავანს უბრუნებს
თავის ტახტრევანს:
ამიერიდან
აღარ მოვალ მე ამ კარავში,
და ჩემს გიტარას
ლეღვის ხეზე აღარ დავკიდებ.

დამასკოში
ლექსები გამჭვირვალეა –
არც მგრძნობიარე,
არც აზრებით გაჯერებული,
არამედ – ექოების გადაძახილი...

დამასკოში
ნაშუადღევის ღრუბელი შრება,
და *კასიუნის*[6] ძირში ითხრის ჭას
შეყვარებულთა ზაფხულისათვის,
ფლეიტა ოხრავს, როგორც ყოველთვის,
რომ ამოიღოს ნაღველი, სევდა,
რომ ბგერას გული ამოაყოლოს,
ტყუილად იტიროს...

დამასკოში
ქალის დღიურში ვწერ:
ყველა იმ ნარცისს, რაც შენშია,
ძლიერ უნდიხარ.
ვერც ერთი კედელი დაგიფარავს
მომეტებული ხიბლის ღამისგან.

დამასკოში
ვხედავ, როგორ ნელა-ნელა მოკლდება
მისი ღამეები,
როგორ ერთბაშად იზრდებიან
ჩვენი ქალღმერთები!

დამასკოში
გზად მომავალი მოგზაური
თავისთვის ღიღინით გაითბობს გულს:
სირიიდან არც მკვდარი ვბრუნდები,
არც ცოცხალი,
არამედ ღრუბლად,
პეპელას ტვირთს რომ უმსუბუქებს
ჩემს ლტოლვილ სულს...

[6] კასიუნის მთა – თავს გადმოჰყურებს ქალაქ დამასკოს. მასზე განლაგებული რესტორნებიდან მთელი ქალაქის ხედი იშლება.

***

ციხეში დედამ მინახულა,
ყავა და ხილი მომიტანა...
არ მავიწყდება მისი სახე, დამწუხრებული –
მცველმა ჭურჭელი რომ წაართვა –
ყავა მიწაზე დაუღვარა...
არ მავიწყდება დედის ცრემლები...
ამიტომაც დავწერე მაშინ
სიგარეტის ძველ კოლოფზე
ჩემი პირადი აღსარება:
„მენატრება დედაჩემის პური,
მისი ყავა, მისი შეხება...
ერთ დღესაც ჩემში გაიზრდება
დედის მკერდზე თავმიყრდნობილი ბავშვობა.
მე მეყვარება ჩემი სიცოცხლე,
რადგან თუ მოვკვდი,
დედაჩემის ცრემლის შემრცხვება.“
მაშინ მეგონა, რომ ეს იყო
დედისათვის დაწერილი ერთადერთი მობოდიშება.
რას ვიფიქრებდი, რომ ეს სიტყვები
სიმღერად გადაიქცეოდა,
ისეთ სიმღერად,
მილიონობით არაბი ბავშვი
რომ იმღერებდა...

არაბულიდან თარგმნა
ნინო დოლიძემ



თურქული ლიტერატურა

აბდულჰაკ ჰამიდ თარჰანი
(1852-1937)

აბდულჰაკ ჰამიდ თარჰანი თურქი მწერალ-განმანათლებელია. მის შემოქმედებაში მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს დასავლური და აღმოსავლური კულტურის, პოეზიის ელემენტები. საოცარი პოეტური აღმაფრენით, მღელვარებით გამოირჩევა პოეტის ქმნილებები. ბუნებისა და სიყვარულის თემები ოსტატურად ენაცვლება ერთმანეთს. დიდი სულიერი ტკივილით, სასოწარკვეთილებით, წუთისოფლის ამაოებაზე ფიქრით არის გაჯერებული.

შთაგონების ადგილი

1

ზღვის სანაპიროს მივაშურე, ადგილს, რომელიც
სამყაროს არსში ჩასაწვდომად დიდებულია,
ქვაზე მჯდომარეს, ამა სოფლისგან განმარტოებულს,
თეთრ სამოსელში გახვეულს და ღრმად დაფიქრებულს,
გულს სევდა, როგორც ლოდი, გაქვავებულ ტალღას რომ მოჰგავს
და რომელზედაც დინჯად ვზივარ, ღრმად დამწოლია.
ეს ღრუბლები, ტალღები და ვარსკვლავები
თავს, ვით ხატი ღვთისა, დამფრქვევია,
სასწაული, ღმერთო, შენგან მოვლენილი,
ეს ხეები, მდინარენი, ეს ყვავილნი მხიარულნი,
ჩემდა გასაოცრად, მართლაც, რამდენია.

2

უკაცრიელს ადგილთ ირგვლივ როს შეხედავ,
არ იფიქრო, თითქოს იყოს ცარიელი,
აქ ეს სივრცე გაჟღენთილა ოცნებებით,
სულს სწყურია დარწყულება ამ ადგილას,
ჩემი ფიქრი ზევით-ზევით მიისწრაფის,
სურს გაგლიჯოს ცის სამანი ამ ფიქრებმა.
მაგრამ, ვაი, რომ უძლური ვარ ამისთვის,
უსუსური, უწეო და უუნარო,
მე არ ძალმიძს ამ უსასრულ სამყაროში
მივწვდე მიზეზს ყოველივეს, რაც არსებობს.
აი, ამით არის სავსე ეს მიდამო,

უმწეობით, დაბრკოლებით, წინაღობით,
მისწვდეს საწყისს სამყაროსას.
ეს ღრუბლები, ტალღები და ვარსკვლავები,
თავს, ვით ხატი ღვთისა, დამფრქვევია,
სასწაული, ღმერთო, შენგან მოვლენილი,
ეს ხეები, მდინარენი, ეს ყვავილნი მხიარულნი,
ჩემდა გასაოცრად, მართლაც, რამდენია.

3

ქალაქის ხმაურს განრიდებულს მმოსავს სიმშვიდე,
აქ ყოველივე საიდუმლოს იტევს, უდიდესს,
ხეებიდან რომ იღვრება ფიქრი, მოდი, უყურე,
მდინარეები რომ საუბრობენ, მათაც უსმინე,
აქ სამყაროს ხმას გაიგონებ, შენ ყური უგდე.
ეს ღრუბლები, ტალღები და ვარსკვლავები,
თავს, ვით ხატი ღვთისა, დამფრქვევია,
სასწაული, ღმერთო, შენგან მოვლენილი,
ეს ხეები, მდინარენი, ეს ყვავილნი მხიარულნი,
ჩემდა გასაოცრად, მართლაც, რამდენია.

4

შეეცადე, ფიქრი მისწვდეს უზენაესს,
რომლის წიაღშიც დაიბადა ეს ყველაფერი,
ეს ცა და მიწა ვისგანაც იშვა, ფიქრი მას სტყორცნე,
ზღვას დააკვირდი, თითოეულ წვეთს, უზარმაზარ ტალღებად ქცეულს,
და იგრძნობ იმ ხელს, უხილავს, მაგრამ ასე აშკარას,
ერთ ენაზე რომ ამეტყველებს თითოეულ სულდგმულს.
ეს ღრუბლები, ტალღები და ვარსკვლავები,
თავს, ვით ხატი ღვთისა, დამფრქვევია,
სასწაული, ღმერთო, შენგან მოვლენილი,
ეს ხეები, მდინარენი, ეს ყვავილნი მხიარულნი,
ჩემდა გასაოცრად, მართლაც, რამდენია.

5

საღამოა, ჰორიზონტი სიწითლეში ჩაკარგულა,
მისკენ მზირალს გიპყრობს სევდა უძირო,
წარსულიც და მომავალიც ამაოა, ბნელი, თანაც უმიზნო,
ამ სიბნელეს ცის სილურჯე ასხივოსნებს,
სიყვარულით დაღდასმული გადაშლილა სამყარო,
ამ კოსმოსში კი ღმერთს ვხედავ სათაყვანოს.
ეს ღრუბლები, ტალღები და ვარსკვლავები,
თავს, ვით ხატი ღვთისა, დამფრქვევია,

სასწაული, ღმერთო, შენგან მოვლენილი,
ეს ხეები, მდინარენი, ეს ყვავილნი მხიარულნი,
ჩემდა გასაოცრად, მართლაც, რამდენია.

6

ციდან ვენერამ მიწას აკოცა,
ცის ფრინველი, თევზი ზღვაში, ღამურა თუ მთვარის შუქი,
ერთ წესს ღვთისას დაემონა.
გირჩევ, დაჯდე აქ, ქვის ლოდზე,
ზღვა რომ აკრავს და ქცეულა ამბიონად,
ზღვას და ხმელეთს დაინახავ, შემოქმედის საჩინო ხატს.
ეს ღრუბლები, ტალღები და ვარსკვლავები,
თავს, ვით ხატი ღვთისა, დამფრქვევია,
სასწაული, ღმერთო, შენგან მოვლენილი,
ეს ხეები, მდინარენი, ეს ყვავილნი მხიარულნი,
ჩემდა გასაოცრად, მართლაც, რამდენია.

7

თანავარსკვლავედის მოძრაობა იდუმალი,
ჩრდილების მსგავსი დიდი საიდუმლო,
საით მიდიან პლანეტები, ნუთუ გაქრებიან უკვალოდ?
ყველა ქმნილებას შემოქმედის ფერხული გაუმართავს, უბადლო,
მაყრულს მოსძახიან, ბუნების ქორწილია,
ყველა ღმერთს ადიდებს უჟამოს.
ეს ღრუბლები, ტალღები და ვარსკვლავები,
თავს, ვით ხატი ღვთისა, დამფრქვევია,
სასწაული, ღმერთო, შენგან მოვლენილი,
ეს ხეები, მდინარენი, ეს ყვავილნი მხიარულნი,
ჩემდა გასაოცრად, მართლაც, რამდენია.

8

ხეობაში შორეთიდან ხმა მოისმის, იდუმალი,
ამღერებულან ნაკადულნი მორაკრაკენი,
უჩვეულო ფერს შეუმოსავს ირგვლივ ყოველი:
ცისფერია ბალახი და მთები – ფერადი,
ცხვარს ვხედავ, ვარდისფრად ელვარებს,
გარიჟრაჟს ოქროს კაბა ჩაუცვამს,
ზღვის ფერს სამყარო თვალებში შეგაფრქვევს.
ეჰ, ჩემო გულო, სევდით დადაღულო,
საყოველთაო მხიარულების ჟამს მოწყენილო.
ეს ღრუბლები, ტალღები და ვარსკვლავები,
თავს, ვით ხატი ღვთისა, დამფრქვევია,

სასწაული, ღმერთო, შენგან მოვლენილი,
ეს ხეები, მდინარენი, ეს ყვავილნი მხიარულნი,
ჩემდა გასაოცრად, მართლაც, რამდენია.

9

დანისლულ მთებს გოგონა მიუყვება, პატარა,
ღამენათევი, იდუმალი ვარსკვლავი ცისკრის ცას აკიაფდა,
ზღვა ღელავს ნელა, დილის ნიავი, მსუბუქი და ეგზომ საამო,
ქრის ჩემ გარშემო და ვგრძნობ ტკივილს უსაშინლესი მონატრების,
სამშობლოსგან განშორების ჭრილობებით დასერილ გულს
მძიმე დაღად რომ დასტყობია.
ეს ღრუბლები, ტალღები და ვარსკვლავები,
თავს, ვით ხატი ღვთისა, დამფრქვევია,
სასწაული, ღმერთო, შენგან მოვლენილი,
ეს ხეები, მდინარენი, ეს ყვავილნი მხიარულნი,
ჩემდა გასაოცრად, მართლაც, რამდენია.

თურქულიდან თარგმნა
ასმათ ჯაფარიძემ

რეშათ ნური გუნთექინი
(1889-1956)

რეშათ ნური გუნთექინი, ცნობილი მწერალი, თურქული ლიტერატურის კლასიკოსადაა მიჩნეული. ქართველი მკითხველი მას დიდი ხანია, იცნობს გახმაურებული რომანით „ნარჩიტა.“

ერთი ყლუპი წყალი

– მამა, დღეს ძალიან კარგი ამინდია... სასეირნოდ წამიყვან?

– კარგი, ნევინ... უთხარი, ეტლი მოამზადონ.

– არა მამა... მე ფეხით მინდა გასეირნება... შარშან სწორედ ამ დღეს, ჭალის მეორე მხრიდან, ვიწრო გზით ზღვის სანაპიროზე ჩავედით. ისევ იქ ჩავიდეთ.

– კარგი, მაგრამ...

– გეშინია, რომ დავიღლები, არა, მამა? მხოლოდ იმიტომ, რომ ნევინი ცოტა ავად გახდა, გგონია, დასაპყრდა?! ისევ ძველებურად შევძლებ სიარულს. ცოტა ხნის წინ სახლში უნდა ყოფილიყავი და გენახა... პიანინოზე დავუკარი, მიხაკები მოვრწყე. ის კი არა, ძაღლიც ვაბანავე აუზში... უკვე უკეთ ვარ, მამა! აი, ნახავ, ერთი თვის შემდეგ ადრინდელზე უფრო ძლიერი, მხიარული, უფრო ცელქი გოგო ვიქნები.

შუადღის მზის ოქროსფერი სხივები გოგონას მოკლე, ყავისფერ კულულებში ათასფრად ბრწყინავდა და მის ფერმკრთალ სახეს ღია ვარდისფერ შეფერილობას აძლევდა.

– გაისად, გაზაფხულზე ერთად შორეულ მოგზაურობაში წავალთ, არა, მამა?

– აუცილებლად, ნევინ.

ჰამით ბეიმ ქალიშვილის გამხდარი მაჯები ხელისგულებში მოიქცია, თვეების შემდეგ პირველად გაბედა, მისთვის თვალებში ჩაეხედა. იცოდა, რომ ნევინი ამა ქვეყნის სტუმარი იყო და ცოტა ხნის სიცოცხლეღა დარჩენოდა. ყვითელი ფერის მინდვრის ყვავილებივით ფერმკრთალი ქალიშვილის ყოველ გამოხედვაზე ერთი აბეზარი ფიქრი არ ასვენებდა. „ნევინი მოკვდება... ცოტა ხანში მომიწევს, კოცნით დავუხუჭო ეს ლამაზი თვალები ჩემს გოგონას, რომლის სიყვარულსაც მთელი ცხოვრება მივუძღვენი“.

***

ჰამით ბეი ექიმი გახლდათ. თუმცა ექიმობაზე უფრო პოლიტიკოსობა იტაცებდა. ახალგაზრდობის პირველი წლები სულ ციხეებსა და გადასახლებებში გაატარა. თუმცა იგი არ იყო ის კაცი, რომელიც პოლიტიკაში მტკიცედ ფეხს მოიკიდებდა. მართალი და ურყევი ზნეობის პიროვნება გახლდათ, კითხვა და ფიქრი ძალიან უყვარდა.

ამ დამსახურებების გამო იგი მალე მიხვდა, რომ პოლიტიკური ცხოვრება – ბანალური, მთელი ეს ბრძოლა და ჭორები უსარგებლო და ამაო იყო. ცხოვრების მეორე ეტაპზე ჰამით ბეი თავისუფალი აზრის მოციქული გახდა. დროდადრო ძველ კოლეგებს ეკამათებოდა ხოლმე:

– ხელმძღვანელების შეცვლა რას გვარგებს, უპირველეს ყოვლისა, მათი სული, შინაგანი სამყარო უნდა შეიცვალოს. ცრურწმენების ტყვეობაში მცხოვრები ადამიანები ვერასდროს იქნებიან კეთილნი და ბედნიერნი. ვისურვებდი, არაჩვეულებრივი ექიმი ვყოფილიყავი და ადამიანებისთვის ისეთი დიდი და მნიშვნელოვანი ოპერაციები გამეკეთებინა, როგორიცაა ამოკვეთა და გა-

დაგდება გულისა, რომელიც არის სათავე ყოველგვარი ვნებისა, ნაღველისა და მწუხარებისა; დაშრობა იმ ინფექციის წყაროსი, ოცნება რომ ჰქვია... მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებენ ადამიანები, ბედნიერებას ეწიონ. აბა, დაფიქრდით ბედნიერებაზე იმ ადამიანისა, რომელიც ამ პირობებში იბადება, ცხოვრობს და კვდება... ყველა ბავშვი წყვდიად სამყაროსავით იბადება. მისი გონების მოელვარე ჩირაღდანი ნელ-ნელა ნათდება, იწვის. მისი ცხოვრება ამ კაშკაშა სინათლეში სახალხო დღესასწაულს ჰგავს. მერე, ერთ მშვენიერ დღეს, ისე, რომ არც იცის, რა არის ვნება, მწუხარება, ფიქრი მარადისობაზე, მუდმივი საზრუნავი, ემშვიდობება ამ ნათელ სამყაროს.

ექიმი ჰამითის მშრალი, უხეში, მატერიალისტური შეხედულებები მის გარშემომყოფებს, ცოტა არ იყოს, აფრთხობდა. მაგრამ ღირსეული პიროვნება იყო. მისი გულიდან იდუმალ წყაროსავით გადმოღვრილი გულისხმიერება და თანაგრძნობა მას ამოუცნობ მიმზიდველობას ანიჭებდა.

40 წლის იყო, ცოლი რომ გარდაეცვალა. მისი ქალიშვილი, ნევინი, 12 წლისა დაობლდა. შეეძლო, თავიდან შეექმნა ოჯახი. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ ახალგაზრდა იყო, ცხოვრებას უკვე დაეღალა. გადაწყვიტა, მთელი ცხოვრება ნევინისთვის მიეძღვნა. სურდა, თავისი შეხედულებები შვილისათვის გადაეცა; იგი ათეისტ, კეთილსინდისიერ, ბედნიერ და მატერიალისტ ქალიშვილად აღეზარდა.

პირველ რიგში, ჩერქეზი გადია ჩამოაშორა, რომელიც ნევინს საოცნებო ზღაპრებს უყვებოდა და რელიგიის მასწავლებელი ქალბატონი, რომელიც ბავშვებს მწვანე თავსაფარს ახვევდა და საგალობლებს ასწავლიდა.

ნევინის შინაგანი მდგომარეობის გამოსაკეთებლად მამამისი სახლში ბავშვივით იქცეოდა. საათობით ნევინს ეთამაშებოდა. შემდეგ პატარა გოგოს კალთაში ჩაისვამდა და ნელ-ნელა თავის შეხედულებებისამებრ არიგებდა. ნევინი 18 წლის გამხდარიყო. მამამისს აღმერთებდა. ფართოდ მოაზროვნე, განათლებული, ზრდილობიანი ახალგაზრდა ქალიშვილი დამდგარიყო. შეხედულება და ქცევა ცოტა ბავშვური ჰქონდა, მაგრამ აზროვნებითა და სულიერებით ნათესავი ბავშვებისგან რადიკალურად განსხვავდებოდა. ჰამით ბეი, „ჩემი ლამაზი ქმნილებაო," ამაყობდა მისით, მაგრამ ამ „ლამაზ ქმნილებას" მხოლოდ ერთი რამ აკლდა: ხალისი და ინტერესი.

ნევინი ზამთრის მიწურულიდან ავად იყო. ყველა საჭირო ზომის მიღებისა და მკურნალობის მიუხედავად, ჭლექი დღითი დღე პროგრესირებდა. ჰამით ბეის სამყარო თავზე ჩამოექცა, მაგრამ მას მამის ერთი მოვალეობა კიდევ ჰქონდა შესასრულებელი: შვილი სიკვდილამდე ბედნიერი უნდა ჰყოლოდა... დროდადრო იმ ღამეზე ფიქრობდა, როცა მას მიწას მიაბარებდა და ცარიელ სახლში დაბრუნდებოდა. ეგონა, თუ ნევინს ყველა სურვილს შეუსრულებდა, იმ ღამეს ტკივილს უფრო ადვილად გაუმკლავდებოდა. მაგრამ ნევინს არაფერი სურდა. რაც არ უნდა შეეთავაზებინა მისთვის, თვალებს დაბლა ხრიდა და ამბობდა:

– შენ უკეთ იცი, მამა!

***

ხეებს შორის, ვიწრო გზით, ზღვის სანაპიროზე ჩადიოდნენ. ნევინი მამამისის წინ მიდიოდა და თავსაფარი მხრებზე ჩამოვარდნოდა. ხუჭუჭა, ბავშვური თმები საღამოს მზეზე უფრო ქერა მოუჩანდა, თვალები კი უფრო უციმციმებდა.

ხავსიან ძველ წყაროსთან, რომელიც ქვების გროვაღა დარჩენილიყო, ორ ღარიბ გოგონას შეხვდნენ. უფროსი – თორმეტის, უმცროსი კი შვიდი წლისა თუ იქნებოდა. პატარა გოგონამ, რომელსაც ხელში თუნუქის მათარა ეჭირა, წყაროდან წყალი აავსო და ფრთხილად, ერთგვარი შიშით ნევინს მიუხლოვდა.

ჰამით ბეიმ გაიღიმა, ჟილეტის ჯიბიდან ხურდები ამოიღო და ბავშვს გაუწოდა.

– აიღე, ჩემო გოგო... წყალი არ გვინდა...

გოგონა ფულს არ იღებდა და გაუგე-

ბარი სიჯიუტით ნევინს წყალს უწვდიდა.

ჰამით ბეიმ უფროს დას მიმართა:

– რატომ უნდა შენს დაიკოს, რომ წყალი აუცილებლად დაგვალევინოს?

მან მორცხვი ღიმილით უპასუხა:

– დედა გარდაგვეცვალა... აი, აქვე საფლავში წევს. ჰოჯამ თქვა, რომ გარდაცვლილები ღამღამობით წყურვილისაგან იტანჯებიან... თუ ამქვეყანად დარჩენილი მათი შვილები მწყურვალთ წყალს დაალევინებენ, ისინიც შვებას იგრძნობენ. როდესაც მგზავრებს წყალს ვასმევთ, იმ ღამეს აიშეს მწვანე თავსაფრიანი დედაჩვენი ესიზმრება... ასე არ არის, აიშე?..

უმცროსმა დამ, რომელსაც ნევინის კალთისთვის ხელი ჯერაც არ გაეშვა, თავის ქნევითა და ღიმილით დაუდასტურა.

უფროსი და აგრძელებდა:

– დღეს აქ არავის ჩაუვლია. უკვე წასვლას ვაპირებდით. აიშე ტიროდა:

– დედაჩვენი უწყლოდ რას იზამს?

ნევინი ძირს დაიხარა, რომ პატარას სახე ახლოდან დაენახა. ჰამით ბეიმ შეამჩნია, თუ როგორ მიიტანა ნევინმა ტუჩებთან მათარა ისე, თითქოს წმინდა რამეს კოცნიდა. მან შვილს მაშინვე მაჯაში წაავლო ხელი:

– რას აკეთებ, ნევინ, შეიძლება ამ ჭუჭყიანი წყლის დალევა? ავად გინდა გახდე?

ნევინმა ტირილით მიუგო:

– გამიშვი, მამა. აიშეს დედაც დედაჩემივით უწყლოდ არ დაიწვას.

– რას ამბობ, ნევინ... ეს შენგან მესმის? შენ თავისუფალი აზროვნების მანდილოსანი ხარ.

ახალგაზრდა გოგო ტირილით აგრძელებდა:

– რაში მჭირდება... რაკი აიშეს სჯერა...

ჰამით ბეი გაფითრდა...

ნევინის ფერმკრთალი ლოყებიდან ჩამოღვრილი ცრემლები მათარის ამღვრეულ წყალს ერეოდა და თხელი ტუჩების ნაპირებიდან აღმომხდარი მოგუდული სლუკუნით აკანკალებულ მკერდზე ეწვეთებოდა.

ჰამით ბეი მისთვის მათარის გამორთმევას აღარ ცდილობდა. ისე ეჩვენებოდა, თითქოს ნევინი ამ წყალს ოცნებისა და ნუგეშის მდინარიდან სვამდა. მისმა თანაგრძნობით სავსე მზრუნველობამ ისე ვერ გააბედნიერა იგი, როგორც ამ მღვრიე წყალმა. ეგონა, რომ ნევინი ამ წყლის დალევის შემდეგ ბედნიერი წავიდოდა ამ ქვეყნიდან.

ქალიშვილი წყაროდან პეშვით ამოღებულ წყალს სახეზე იპკურებდა, მაგრამ ეს მისი თვალებიდან ღვარად წამოსულ ცრემლებს ვერ ფარავდა. ჰამით ბეიმ შიშით და მორიდებით ხელები დაუჭირა და უთხრა:

– ამ ხელებით მეც დამალევინე წყალი, ნევინ... ნურც ჩვენი მიცვალებული დარჩება მწყურვალი!

როდესაც ჰამით ბეი პატარა ხელებიდან, რომელიც მალე მიწად უნდა ქცეულიყო, წყალს სვამდა, გრძნობდა, რომ სხვა სამყაროში დაიბადა. ახალგაზრდა გოგო მოგუდული სლუკუნითა და ტირილით მამას კისერზე მოეხვია. აკანკალებული სველი ბაგეებით მას განუწყვეტლივ კოცნიდა და კოცნიდა.

– მამა, უკვე შეგვიძლია, ერთმანეთს გული გადავუშალოთ... მთელ ჩემს გულისნადებს გაგიმხელ... იცი, რამდენი ვიტირე, დედა რომ გარდაიცვალა? მაგრამ ახლა, მხოლოდ ახლა ვხვდები... იმ ცრემლებს ტკივილიანი, როგორი განუმეორებელი სიტკბო ჰქონდა...

ყოველ ჯერზე, როცა კი ალოეს ხის სურნელით საკმეველი იწვის, მთელი თავისი სიმწარით ისევ მახსენდება დედის სიკვდილის დღე. მამა... ოჰ, ის დღე... მოხუცები, ახალგაზრდები, მთასავით კაცები, პატარა ბავშვები ერთმანეთს ეხვეოდნენ და ერთად ტიროდნენ. მთელი სასახლე ერთ მტირალ, მკვნესარე სულად ქცეულიყო.

მეტიც, გარდაცვლილიც ჩვენთან იყო, მამა... მჯეროდა, რომ სისხლით, სულით, სიყვარულის ძაფებით დაკავშირებული ადამიანები, სააქაოს მსგავსად, არც საიქიოში დაშორდებოდნენ ერთმანეთს.

ჩემი გადიას ზღაპრებისა და ჰოჯას სიტყვების მიხედვით, მეც, აიშეს დედის მსგავსად, დედაჩემს მწვანე თავშლით სამოთხეში მოსეირნეს ვხედავდი... სხვა გოგონები, მწვანე თავშლებით შებურულები, ჰო-

ჯას წინაშე გულში ჩამწვდომ საგალობლებს კითხულობდნენ, შენ კი მე მათ ჩამომაშორე... მითხარი, რომ გარდაცვლილები უკან აღარ დაბრუნდებოდნენ, რომ ერთმანეთის მოყვარული ადამიანები, რომლებიც დროდადრო ასე მწარედ და უდროოდ შორდებიან ერთმანეთს, ცალ-ცალკე საფლავებში გაიხრწნებოდნენ... თავიდან შენი არ მჯეროდა, მამა... მაგრამ თანდათან შენი ეჭვები ჩემს გულსაც შეეპარა და ღრღნა დამიწყო...

ერთ ღამეს ჩამლიჯადან ვბრუნდებოდით. ცა, ირმის ნახტომი, ვარსკვლავები დამანახე... მითხარი, რომ ცა ცარიელია, მოკაშკაშე ვარსკვლავები კი ჩვენი წარმოსახვაა და მეტი არაფერი. იმ ღამის შემდეგ მთელი ჩემი სამყარო, იმედები დაიმსხვრა. რა ძნელი იყო პატარა გოგონასთვის იმაზე ფიქრი, რომ გარდაცვლილი ადამიანები სხვადასხვა საფლავებში იხრწნებიან, მაშინ, როცა მას გარდაცვალების შემდეგ სხვა სამყაროში გაღვიძებისა და იქ საყვარელ ადამიანებთან შეხვედრის სჯეროდა.

ამ უიმედობას წლობით ვერ შევეგუე. წლების განმავლობაში განვიცდიდი იმას, რომ სიკვდილის შემდეგ ყველაფერი მთავრდება. დედაჩემის, ყველა ჩემი საყვარელი ადამიანის მსგავსად შენც დაგკარგავდი. ერთმანეთს უკვე ვეღარ შევხედავდით, ვეღარ გვეყვარებოდა.

როგორც იქნა, საბოლოოდ, ისეთი ქალიშვილი დავდექი, როგორიც შენ გინდოდა, მამა... მოაზროვნე, პატიოსანი, ღირსეული გოგო... უკვე აღარაფრის მჯეროდა... ჩემ ირგვლივ მყოფ ადამიანებს ზემოდან ვუყურებდი, მაგრამ რა ბედენაა ეს სიამაყე...

შენ ამას არ დასჯერდი, მამა... ეჭვი გეპარებოდა ყველაფერში, რასაც მე ნელ-ნელა შევეჩვიე: სიყვარულში, ერთგულებაში, დაბადებასა თუ სიკვდილში. ჩემთვის საკმარისი აღარ იყო ეს მარტივი იდეებით სავსე ქვეყანა. არ მყოფნიდა სამყარო, სავსე ადამიანებით, რომლებიც ერთმანეთს უგებდნენ, მაგრამ ერთმანეთი არ უყვარდათ; რომლებიც ერთმანეთის წინაშე მხოლოდ ადამიანური მოვალეობის მოხდით კმაყოფილდებოდნენ... მე მოვკვდები, მამა... ამის დამალვას აზრი აღარა აქვს... საფლავში როგორი ნუგეშით გამიშვებ... თუმცა ჩემი სიკვდილის გამო ძალიან ნუ გამწარდები. რატომ უნდა განიცადო უდროო სიკვდილი იმ ადამიანისა, რომელსაც რწმენა და სიყვარულის ბედნიერება დაუკარგავს?

ნევინი ისე გარდაიცვალა, ეს სიტყვები არ უთქვამს მამამისისთვის. ახლა ამ საყვედურებს ჰამით ბეი მისი აჩრდილის მკვდარი ბაგეებიდან ისმენს.

მოხუცმა ექიმმა იმ მიტოვებული ჭალისაკენ მიმავალ გზაზე წყარო შეაკეთებინა. ყოველ საღამოს იქ მიდიოდა და წყაროს თავთან ჯდებოდა. სოფლის ბავშვებსა და მოგზაურ დერვიშებს გზიდან აბრუნებდა და ამ წყაროდან ერთი ყლუპი წყლის დალევას ევედრებოდა.

თურქულიდან თარგმნეს
ნანა კაჭარავამ
და
გვანცა ღარიბაშვილმა

საბაჰათინ ალი
(1907-1948)

მე-20 საუკუნის გამოჩენილი თურქი მწერალი საბაჰათინ ალი 1907 წელს ოფიცრის ოჯახში დაიბადა. 1928-1930 წლებში ბერლინის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობდა. მოგვიანებით აიდინში, კონიასა და ანკარაში გერმანულ ენას ასწავლიდა. არაერთხელ იყო გასამართლებული თურქეთის მთავრობის მიმართ კრიტიკული აზრის გამოხატვისთვის. 1948 წელს სამშობლოს დატოვება და ევროპაში გაპარვა გადაწყვიტა, მაგრამ ახლო მეგობარმა პოლიციაში დაასმინა. მწერალი თურქეთ-ბულგარეთის საზღვარზე დააკავეს. ერთ-ერთი ვერსიით, იქვე დახვრიტეს, მეორე ვერსიით კი პოლიციაში დაკითხვისას მოკლეს.

მთვრალი

ქანუნი ქამილმა იმ დღეს ბაღის მეპატრონისგან დღიური ანაზღაურება მიიღო და კაზინოში კიდევ ერთი საათი დარჩენა გადაწყვიტა. საკმაოდ შეზარხოშებული მომღერალი მუჰსინე მზად იყო, ვინმესთან უმიზეზოდ ჩხუბი წამოეწყო. არც ქამილი იყო მთლად ფხიზელი.

მიმტანებმა ნელ-ნელა დაიწყეს ლამპების ჩაქრობა. დარაჯმა და ორმა პოლიციელმა ის-ის იყო, იქვე, ტირიფის ქვეშ, გაშხლართული მეწაღის შეგირდი ფეხზე წამოაყენეს, რომ კაზინოს მფლობელი მივარდა და ანგარიშის გასწორება მოსთხოვა. მთვრალმა შეგირდმა ტუჩები გვერდზე მობრიცა. თან გაუგებრად რაღაცას ბურტყუნებდა. კაზინოს მფლობელი იმის ჩიტი არ იყო, ვინმესთვის თავი მოეტყუებინებინა. შეგირდს საყელოში სწვდა. ის იყო, თავიდან ქუდი მოჰგლიჯა, რომ ბიჭი უეცრად გამოფხიზლდა, შარვლის ჯიბე გულდასმით მოიჩხრიკა, რაც იპოვა, მისცა, აქეთ-იქით მდგარი პოლიციელების მკლავებს მიენდო და მათი დახმარებით გარეთ გავიდა.

კაზინოს მფლობელი ბუფეტისკენ გაეშურა. დარბაზის იმ ადგილას, სადაც ბუფეტიდან გამომავალი შუქი მკვეთრად ეცემოდა, ქამილმა და მუჰსინემ მაგიდა დადგეს და ერთმანეთის პირისპირ დასხდნენ; წინ პატარა ბოთლით რაქი დაიდგეს. გოგო თავისთვის რომელიღაც მსუბუქ მელოდიას ღიღინებდა და შიგადაშიგ უმიზეზოდ იღიმებოდა, მაგრამ ეს ღიმილი სახის ძარღვების უცნაურ დაჭიმვას უფრო ჰგავდა. ქამილი უყურებდა და ფიქრობდა:

„კაზინოს მფლობელი აქაურობას ისე არ მოშორდება, თუ მუჰსინე სასტუმროში არ წაიყვანა. რა უნდა ვქნა, რომ ამაღამ სასტუმროში ერთად წავიდეთ?.. მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რა ვუყო ჩემს ცოლს?.. შუაღამისას ქუჩაში გავარდება, პოლიციის განყოფილებებს ფეხზე დააყენებს. მაინც, რა მოჩხუბარია ეს...“

ცოლის გამხდარი, ყვითელი სახე თვალწინ დაუდგა:

„ის ახლა სასტუმროში ზის, ფანჯრიდან ქუჩაში იყურება და მელოდება“, – გაიფიქრა თუ არა, შეცბა. სახეზე ხელი უცნაუ-

რი მოძრაობით გადაისვა.

კაზინოს მფლობელი მაგიდას მიუახლოვდა და დაიძახა:

– აბა, ჰე, მუჰსინე!

ქალი ადგა და ბაღში გავიდა, ქამილიც მას გაჰყვა. მიწა ფეხის დადგმისას ხრაშუნობდა. მიუხედავად იმისა, რომ ქამილი შავ შალითაში გახვეულ ქნარს მკლავს მთელი ძალით უჭერდა, არ გამივარდესო, ტირიფს რამდენჯერმე მაინც მიაჯახა და კინაღამ დაამტვრია. ხუთი-ათი ნაბიჯი გაიარეს. გზაზე მანქანამ ჩამოიარა. კაზინოს მფლობელმა ხელით ანიშნა და გააჩერა. პირველი მუჰსინე ჩაჯდა. ქამილს, რომელიც ქალის გვერდზე დაჯდომას ცდილობდა, კაზინოს მფლობელმა ხელი ჰკრა და თვითონ შეხტა; მანქანაც მაშინვე დაიძრა. ქამილი ბარბაცით გაემართა სასტუმროსკენ, სადაც ოჯახით ცხოვრობდა. გზად ფიქრი მოეძალა. თითქმის ყოველ ღამეს ასე ხდება, მაგრამ სულაც არ ბრაზობს. ქუჩაში მარტო დარჩენილს ფიქრი ჩვევად ექცა. ოთხსართულიანი სასტუმროს ზედა სართულზე ცოლის მკრთალ ჩრდილს მოჰკრა თვალი. ქამილი შეკრთა. ამ დროს ზემოდან ჩახრინწული ხმა გაისმა:

– მაწანწალა!... მდაბიო, მოხეტიალე ბოშა!... ერთი საათია, რაც ბაღი დატოვეს... ისევ იმ ძუკნა მუჰსინეს მისდევდი, ხომ, კუდში?

ქამილმა თავი ასწია, მაგრამ უეცრად წონასწორობა დაკარგა და ის იყო, ძირს უნდა გაგორებულიყო, რომ ქნარს დაეყრდნო და დაცემას გადარჩა.

– რა გაყვირებს ამ შუაღამისას, ქალო? ანგარიშს ვასწორებდით...

– ანგარიშს? მანქანას ძაღლივით უკან რომ მისდევდი, ვერ ვხედავდი, გგონია? უღმერთო, ურწმუნო ბოშა!..

ქალის ყვირილს ბავშვის ტირილის ხმა დაემატა. ქამილმა გულიანად შეიგინა, მაგრამ თავი ვერ შეიკავა და ძირს გაგორდა. შავ შალითაში გახვეული ქნარი უბეში ჩაიდო. მთელი ქუჩა ქალის გოდების ხმამ მოიცვა.

– აქ არ მოხვიდე, ნაბიჭვარო!.. შინ არ შემოგიშვებ!.. არ ამოხვიდე!..

თეთრთმიანმა ქალმა გადაწყვიტა, ფანჯარას მოშორებოდა, მაგრამ სიჩქარეში ჩარჩოს თავი მიარტყა, ხის ნაწილი მოძვრა და მთლიანი ფანჯარა, მთელი თავისი სიმძიმით, თავზე დაეფშვნა. ქამილმა მხოლოდ მინის მსხვრევის ხმა გაიგონა, ადგილიდან მოწყდა და სასტუმროს კარამდე კიბეები სწრაფად აირბინა.

სასტუმროს თანამშრომელი ასეთ სცენებს მიჩვეული იყო, ამიტომაც მომხდარისთვის დიდი ყურადღება არ მიუქცევია. საწოლიდან ადგა, ქამილს კარი მაისურის ამარამ გაუღო და სირბილით დაუბრუნდა საწოლს.

ქამილი ქაქანით შევარდა ოთახში, ქნარი კედელს მიაყუდა. საწოლის ფეხსა და ფანჯარას შორის დაკიდებულ საქანელაში ასე, ორ წლამდე ბავშვი იწვა და ქანაობდა, თან გულამოსკვნილი ტიროდა. ბავშვის დანახვისას ქამილს ფანჯრის ჩამოფშვნის ხმა და ცოლი სულ გადაავიწყდა და ბავშვისკენ გასწია.

– ჩუმად, ჩემო თვალისჩინო, გაჩუმდი, მამიკო.

საქანელასთან დაჩოქილმა, ბავშვს რწევა დაუწყო, თან იავნანას მელოდიაზე გაურკვეველ სიტყვებს ბუტბუტებდა.

– ოჰ, ის დედაშენი, ჩემი ცო... ოჰ... მეც სად ვიპოვე ის გამხდარი ძუკნა... შენი უბედურება ეგაა, შვილო, და ჩემიც... დაიძინე, საყვარელო, ნანინაო, ნანა...

ხმას ჟღერადობა და მელოდიურობა უფრო შესძინა და წაუმღერა:

– ერთ დღეს სტამბოლში თუ წავალთ, ნანინაო, ნანა,

ამ უბედურებას თავიდან თუ მოვიშორებთ, ნანინაო, ნანა,

მაშინ შენც გათავისუფლდები და მეც, ნანინაო, ნანა.

უეცრად გაჩუმდა. ირგვლივ გამეფებულმა სიჩუმემ გააკვირვა. მისი ცოლი არ ყვირის, თმას არ იგლეჯს... შეშინებული წელში გასწორდა. ოთახს თვალი მოავლო, ბავშვიც ჩუმად იყო... ცოლი ისევ ფანჯრიდან იყურებოდა. ქამილმა, ეს რომ დაინახა, ჩაიქირქილა.

– რას უყურებ, ქალო! – თქვა მან. – რა არის გარეთ? უბანი ფეხზე რომ დააყენე, იმას მისჩერებიხარ?

ქამილი იცინოდა, თან ნახევრად მოჭუტული თვალების გახელას ცდილობდა. უცებ სიცილი შეწყვიტა, თვალები ბოლომდე გაახილა, ნაბიჯი წინ გადადგა. ცოლი ფანჯარასთან დაჩოქილიყო და თავი გარეთ ჰქონდა გაყოფილი. კაცმა ეს ყველაფერი ჩამოვარდნილი ფანჯრისა და შუშის მსხვრევის ხმას ვერ დაუკავშირა, მაგრამ ხედავდა, როგორ გუბდებოდა იატაკზე სისხლი, ფანჯრის კიდესთან იწყებოდა, შემდეგ კედელზე მდინარესავით მოჩქეფდა და იატაკისკენ ნიაღვარივით მოედინებოდა. კაცს ხმა არ ამოუღია, ნელ-ნელა უკან დაიხია. სარეცხის კალათაზე ჩამოჯდა და თვალი გაუშტერდა. დილამდე ასე იჯდა და სისხლს უყურებდა...

თურქულიდან თარგმნა
ნატო ხარშილაძემ

აზიზ ნესინი
(1915-1995)

ცნობილი თურქი მწერალი-სატირიკოსი. მის კალამს ეკუთვნის უამრავი ნოველა, ფელეტონი, ესე, რომანი და პიესა. იუნესკოს მიერ გამოქვეყნებული *მსოფლიო თარგმანის ბიბლიოგრაფიის* მიხედვით, ორჰან ფამუქის, იაშარ ქემალისა და ნაზიმ ჰიქმეთის შემდეგ იგი მიჩნეულია მეოთხე თურქ მწერლად, რომლის ნაწარმოებები ყველაზე მეტ ენაზეა თარგმნილი. აზიზ ნესინი ნამყოფია საქართველოში.

სახლი საზღვარზე

ახალ სახლში ჩვენი გადასვლის მეორე დღე იყო. გზა ზედ მარჯვენა მეზობლის სახლის წინ გადის. იმ სახლის ფანჯარასთან მჯდარმა მოხუცმა კაცმა, დაგვინახა თუ არა, გადმოგვძახა:

– კარგი იქნებოდა, მაგ სახლში არ გადმოსულიყავით...

მოხუცს მკაცრად გავხედე:

– როგორც ვიცი, როცა ახალ სახლში გადადიან, ახალმოსახლეებს „მშვიდობაში მოიხმარეთ, ბედნიერად იცხოვრეთო," – ასე ეუბნებიან მეზობლები. „რომ არ გადმოსულიყავით, კარგი იქნებოდა" რას ჰქვია?! ახალგადმოსული მეზობლისთვის ამის თქმა შეიძლება?

მოხუცს წარბიც არ შეუხრია.

– მე კი გაგაფრთხილე და... მაგ სახლში ქურდი იპარება და იმიტომ გითხარი...

– ჩვენს სახლში ქურდი შემოიპარება და სხვა სახლებში – არა?

მოშხამული გუნებით სიგარეტის საყიდლად კუთხის მაღაზიაში შევედი.

– ამ ხალხმა ლაპარაკი საერთოდ არ იცის, – ჩავიბურდღუნე ჩემთვის.

– ხომ მშვიდობაა? – მკითხა ბაყალმა.

– ჩვენი სახლის გვერდით ერთი გამოჩერჩეტებული ბერიკაცი ცხოვრობს. მისი სახლის წინ რომ ჩავიარე, თქვენს სახლში ქურდი იპარება, კარგი იქნებოდა, არ გადმოსულიყავითო, გადმომძახა!

– მართალი უთქვამს... კარგი იქნებოდა, მაგ სახლში არ გადმოსულიყავით... მაგ სახლში ქურდი შედის.

სიტყვაც არ დამიძრავს, ისე გამოვედი გარეთ.

იმ დღეს საღამომდე მოშხამული დავდიოდი. საღამოს მოსალოცად და სამუსაიფოდ ჩვენ მარცხნივ მცხოვრები მეზობლები გვესტუმრნენ. შუაღამისას, როცა უკვე წასვლას აპირებდნენ, მეზობელმა გვითხრა:

– ეს კარგი სახლია, მაგრამ ქურდია შემოჩვეული.

ეს წინადადება რადგან ზუსტად კარიდან გასვლისას თქვა, ვეღარ ვკითხე: „რაღა მაინცდამაინც ჩვენს სახლში შემოვა ქურდი და თქვენს სახლში არა?"

ჩემმა მეუღლემ დაინახა, გუნება რომ წამიხდა და გაეცინა.

– უუჰ, როგორ არ გესმის? ახლა მოიჯარეების სახლიდან გასაყვანად ათას ხერხს მიმართავენ. ერთ-ერთი გზაც, ალბათ, ესაა. სახლში ქურდი შემოვაო, გვაშინებენ და უნდათ, რომ გაგვიყვანონ აქედან. და, რადგანაც ქირა იაფია, ან თვითონ გადმოვლენ, ან თავიანთ ნაცნობებს გადმოიყვანენ.

ჭკუაში დამიჯდა, მაგრამ მთელი ღამე თვალი ვერ მოვხუჭე. თითქოს ქურდთან შეხვედრა მქონდა დაჯავშნილი, ან ახლა მოვა, ან ახლა-მეთქი, ველოდებოდი. ამ დღეში რომ ვიყავი, ჩამძინებია კიდეც. რაღაც ხმაურზე წამოვხტი. წამოხტომასთან ერთად ბალიშის ქვეშიდან იარაღი გამოვიღე.

– არ გაინძრე, თორემ გესვრი-მეთქი!..

– წამოვარდნა და ამის დაყვირება ერთი იყო.

რადგანაც ახალი გადმოსულები ვიყავით, სინათლის ჩამრთველს ვერაფრით მივაგენი. ჩამრთველის ძებნაში ხან ამ კედელს მივეჯახე, ხან – იმ კედელს. ამასობაში ფეხებში რაღაც წამომედო და ზღართანით ძირს დავეცი. ქურდმა ფეხი დამიდო-მეთქი და ცოტა დამაკლდა, თორემ რევოლვერის მთელ ტყვიებს მუცელში დავაყრიდი... მაგრამ, ძირს რომ გავგორდი, იარაღი ერთ მხარეს გადავარდა, მე კი მეორე მხარეს აღმოვჩნდი.

– ჰა ჰა ჰა... – სიბნელიდან ისეთი ხარხარი მოისმა, კაცს თმას ყალყზე დაუყენებდა.

– ჰეი, ჩვენ რა, სამამულო წარმოების საშინელებათა ფილმს ვიღებთ? თუ ვაჟკაცი ხარ, გამოდი და დამენახე! – ვიღრიალე.

– ალბათ, სინათლის ჩამრთველს ეძებდით, ღილაკი კარის მარჯვენა მხარესაა. ახლად გადმოსულ მცხოვრებლებს სინათლის ჩამრთველის პოვნა ყოველთვის უჭირთ.

ეს ხმა სიბნელიდან მოდიოდა.

– შენ რა, მე მიცნობ? იცი, რას გიზამ?! – ვიყვირე ისევ.

– არ გიცნობთ, მაგრამ, თუ ნებას დამრთავთ, სინათლეს ავანთებ და დაგეხმარებით.

მიპასუხა კაცმა, რომელსაც სიბნელეში ვერ ვხედავდი. „ჩხაკ“... გაისმა სინათლის ჩართვის ხმა და ოთახი განათდა.

წაქცევისას მაგიდის ქვეშ შევგორებულვარ, ჩემი ცოლი კი შიშისგან საწოლის ქვეშ შემძვრალა. ზუსტად ჩემ პირდაპირ ჩემზე ორჯერ მაღალი კაცი გაჯგიმული იდგა. ფეხზე რომც ავდგე, მაინც ვერ შევაშინებ-მეთქი, გავიფიქრე. ასე გაგორებულმა ხმა დავიბოხე და ვკითხე:

– ვინ ხარ შენ?

– ქურდი ვარ.

– ეი, შენ, ერთი შემომხედე! მე არ ვხუმრობ, ვერ მომატყუებ! შენ ქურდი არ ხარ! გვაშინებ, რომ ქურდი ხარ და გინდა, სახლიდან გაგვყარო! აბა, ერთი აქეთ მომხედე!..

– ქურდი ვარ თუ არა, ამას ახლავე ნახავ.

თითქოს მამამისის სახლი ყოფილიყო, დაიწყო უჯრების გამოღება. კარადები მიჩხრიკ-მოჩხრიკა. რაც მოეწონა, ყველაფერი ჩაილაგა და თანაც არც გაჩუმებულა...

– ააა, ე.ი. თქვენ აქ საძინებელი ოთახი მოაწყვეთ, ხომ? წინა მდგმურებს აქ მისაღები ოთახი ჰქონდათ... იმათ წინ ვინც ცხოვრობდა, იმათაც ...

– ეი, შენ, გამომხედე!.. შენ მართლა ქურდობ!.. იცოდე, გიჩივლებ!..

წამიც არ დაუკარგავს და თავიც არ მოუტრიალებია, ისე მომაძახა:

– მამაჩემთანაც წასულხარ და გიჩივლია... სალამიც შეუთვალე...

– მაგრამ, სანამ პოლიციას მოვიყვან, გაიქცევი...

– არ გავიქცევი.

– ღმერთმანი, გაიქცევი! სახლში რაც მაქვს, ყველაფერს მოხვეტავ და გაიქცევი! ამიტომ დაგაბამ და პოლიციის განყოფილებაში ამბის შესატყობინებლად წავალ!

ამ დროს ჩემმა ცოლმა დაიყვირა: „გვიშველეეეთ!“ უბნელებიც, თითქოს, ჩვენი კარის წინ გამზადებულები იდგნენ, უცბად შიგნით შემოცვივდნენ. მეზობლებს არც კი გაჰკვირვებიათ.

– ააა, ამ სახლში ისევ ქურდი შემოსულა... აბა, ერთი ვნახოთ, რომელია? – ერთმანეთს ეკითხებოდნენ. ჩვენს მეზობლებს შორის აღმოჩნდნენ ისეთებიც, ამ ქურდს რომ იცნობდნენ. ერთი სალამ-ქალამი და მოკითხვა გაიმართა. ქურდს ძარღვიც არ შესტოკებია, აუღელვებლად განაგრძობდა თავის საქმეს.

– მეზობლებო, დამეხმარეთ, ეს ქურდი დავაბათ, შემდეგ წავალ და პოლიციას შევატყობინებ...

მეზობლებიდან ერთ-ერთმა ჩემი დამშვიდება სცადა:

– თქვენ უკეთ იცით, მაგრამ მგონია, რომ ტყუილად წუხდებით.

– ეს რანაირ სახლში გადმოვსულ-

ვართ?! – გაოცება ვერ დავმალე...

ჩემმა ცოლმა სარეცხის თოკები მოიტანა... ქურდს წინააღმდეგობა არც კი გაუწევია. კარგად დავაბით და ოთახში ჩავკეტეთ. მაშინვე პოლიცაში გავიქეცით. ჩემმა ცოლმა პოლიციელს ყველაფერი უამბო. კომისარმა სახლის მისამართი გვკითხა, ჩვენც ვუთხარით.

– ააა, ის სახლი?

– დიახ, ის სახლი.

– ჩვენ მაგ სახლში ვერ წამოვალთ, ჩვენი დაქვემდებარების მიღმაა, ჩვენ არ გვეკუთვნის.

– კარგი, ჩვენ რა ვქნათ?.. საწყალი კაცი ტყუილად დავაბით?!

– ერთი სახლით ზემოთ რომ ცხოვრობდეთ, ჩვენს რაიონში იქნებოდით და მაშინ ჩავერეოდით ამ საქმეში...

ჩემმა მეუღლემ მაშინვე მიუგო:

– ზედა სახლი თავისუფალი არ იყო, ვერ ვიქირავებდით... ახლა რა ვქნათ?

აღმოჩნდა, რომ ჩვენი სახლი პოლიციის ორი განყოფილების საზღვარზე მდგარა.

კომისარმა დაგვმოძღვრა:

– თქვენი სახლი მეორე განყოფილების დაქვემდებარებაში შედის და იმათ მიაკითხეთ.

მეორე პოლიციის განყოფილება საკმაოდ შორს იყო. სანამ ჩვენ იქამდე მივედით, გათენდა კიდეც. იმათაც ყველაფერი ვუამბეთ. გვკითხეს მისამართი, ვუთხარით. ერთმა პოლიციელმა იკითხა:

– ააა, ის სახლი?

– დიახ, ის სახლი.

– ეგ სახლი ცოტა ქვემოთ რომ ყოფილიყო, ჩვენ მოგაქცევდით ყურადღებას. თქვენი სახლი ჩვენი დაქვემდებარების მიღმა რჩება, ჩვენ არ გვეკუთვნის.

ჩემმა მეუღლემ დანანებით დაიჩივლა:

– ვახ, ვახ... კაცი რა ტყუილად გავკოჭეთ...

– ჩვენი სახლი რომელ რაიონს ეკუთვნის? – ვეღარ მოვითმინე მე.

– თქვენი სახლი ჟანდარმერიის რაიონს ეკუთვნის. ამ საქმეში პოლიცია ვერ ჩაერევა. თქვენ ჟანდარმერიის განყოფილებაში უნდა წახვიდეთ.

ისევ გზას დავადექით. მეუღლემ მითხრა:

– მოიცა, კაცო, ჯერ სახლში მივიდეთ. ქურდს დავხედოთ. გავიგოთ, მოკვდა თუ დარჩა... ასეა, იქნება ის ქურდი შიმშილისაგან მოკვდეს ან მაგრად გაკოჭვის გამო სისხლი გაუჩერდეს... ქურდი დავიჭირეთო და გინდა, მკვლელები გავხდეთ?!

სახლში დავბრუნდით. ქურდი როგორც დავტოვეთ, ისევე დაგვხვდა.

– როგორ ხარ? – ვკითხე.

– კარგად, მაგრამ მომშივდა...

მეუღლემ ქურდს საჭმელი გამოუტანა. დახე ბედის უკუღმართობას!.. ჩვენ ბამიის კერძი გვქონდა სადილად და ქურდი თურმე ბამიას[1] არ მიირთმევს! ჩემი ცოლი ყასაბთან გაიქცა, საბიფშტექსე ხორცი იყიდა, სასწრაფოდ მოუმზადა და ქურდს წინ დაუდო.

ჩვენ კი საჩივლელად ჟანდარმერიის განყოფილებაში წავედით. მათაც ყველაფერი მოვუყევით. ჟანდარმერიის უფროსმა სახლის ადგილმდებარეობა გვკითხა. ჩვენც ვუპასუხეთ.

– ააა, ის სახლი?

ჩვენი სახლი ყველამ იცოდა...

ჟანდარმერიის უფროსმა დამაჯერებლად გვითხრა:

– თქვენი სახლის საქმეში ჟანდარმერია ვერ ჩაერევა, ეგ პოლიციის საქმეა.

– ბატონო ჩემო, გაგვაგებინეთ, რა ხდება?.. პოლიციაში მივდივართ და, ეგ სახლი ჟანდარმერიის დაქვემდებარებაშიაო, გვეუბნებიან; ჟანდარმერიაში მოვდივართ და, პოლიციის საქმეაო, გვეუბნებით... ხომ უნდა იყოს ვიღაცა, ვინც ამ საქმეს მიხედავს?

ჟანდარმერიის უფროსმა რუკა გადმოიღო და გაგვიშალა.

– შეხედეთ, აბა, რუკაში ხომ ერკვე-

[1] ბოსტნეული მცენარე.

ვით? ეს ას მეორმოცე ჰორიზონტალია, აქ კი 208 მეტრის სიმაღლის მწვერვალია, ჟანდარმერიის რაიონის საზღვარი სწორედ აქ გადის. თქვენი სახლი ორი მეტრით უფრო ჩრდილო-დასავლეთით რომ აეშენებინათ, მაშინ ჟანდარმერიის რაიონის დაქვემდებარებაში შემოვიდოდა.

– ორი მეტრის გულისთვის, ხომ ხედავთ, რა დღეში ვართ! მოგვხედეთ, რა მოხდება?!

– რა მოხდება?.. ეს თქვენ კი არა, ჩვენ ვიცით, რაც მოხდება (გვიჩვენებს რუკაზე)! აი, ნახეთ, თქვენი სახლი აქ არის, ჟანდარმერიისა და პოლიციის რაიონების ზუსტად გამყოფ საზღვრზე დგას. გასაგებია? ჩვენს დაქვემდებარებაში შემოდის თქვენი სახლის ეზოს ორმეტრ-ნახევარი, მაგრამ ქურდობა ხომ ეზოში არ მომხდარა!

პოლიციაში წასვლის გარდა, სხვა გზა აღარ დაგვრჩენოდა.

გზად მეუღლემ მითხრა:

– ერთი, სახლში შევიაროთ და დავხედოთ იმ ქურდს. ღმერთმა ნუ ქნას, ხელში არ ჩაგვაკვდეს. უარესი უბედურება არ ავიკიდოთ.

სახლში მივედით.

– როგორ ხარ? – ვკითხე ქურდს.

– ვიწვი, ვიხრჩობი, ჩქარა წყალი დამალევინე...

დალია წყალი და მოგვიბრუნდა:

– ერთი მითხარით, რა უფლებით მიზღუდავთ თავისუფლებას?! აქედან თუ გავაღწევ, აუცილებლად გიჩივლებთ!

– კარგი, რას ვიზამთ, ძმაო! ჯერ არ არის გარკვეული, თუ რომელ რაიონს ეკუთვნის ჩვენი სახლი. როცა გავარკვევთ, მაშინვე გიჩივლებთ. განა შეიძლებოდა ასეთ შეჩვენებულ ადგილას სახლის აშენება? ზედ საზღვარზე აუშენებიათ.

– მე რა, არ გაგაფრთხილეთ? მე გამათავისუფლეთ, თორემ ჩემი თავისუფლების შეზღუდვის გამო თავბედს გაწყევლინებთ! დღე და ღამე სასამართლოში გაყურყუტებთ!

– საღამომდე გვაცადე, ერთხელაც მივალთ პოლიციაში.

– კი ბატონო, მისვლით მიდით, მაგრამ ჩვენ, კარგა ხანია, ეს საქმე ზეპირად ვიცით. ან უნდა მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება, თუ ვის დაექვემდებარება სახლი, ან კი პოლიციისა და ჟანდარმერიის პასუხისმგებელი რაიონების საზღვრები უნდა შეიცვალოს. მანამდე კი... უუუუჰ... ვირი ხეზე ავა...

ერთხელაც წავედით პოლიციაში. ერთი რუკაც კომისარმა გაგვიშალა.

– შეხედეთ, ჟანდარმერიის რაიონის საზღვარი აქაა. აი, ნახე, ეზო ჟანდარმერიის რაიონშია. გამოდის, რომ სახლის ერთი ნაწილი ჩვენ გვეკუთვნის და ერთი ნაწილი კიდევ – ჟანდარმერიას.

– საძინებელი ოთახი თქვენს რეგიონში შედის და ქურდობაც ზუსტად საძინებელ ოთახში მოხდა, – გავაპროტესტე მე.

– დიახ, მაგრამ დაზუსტება სჭირდება. ეს ქურდი საძინებელ ოთახში ხომ არ გადაფრინდა? ხომ ეზოდან შევიდა? ეზო კი ჟანდარმერიას ეკუთვნის... ეს საქმე არ ახალია, ძველია... განხილვის პროცესშია... ვნახოთ, სახლს რომელ რეგიონს მიაკუთვნებენ და ჩვენც იმის მიხედვით ვიმოქმედებთ.

სახლში დავბრუნდით. მარჯვენა მეზობელმა, იმ მოხუცმა, ისევ ფანჯრიდან გადმოგვძახა:

– ღმერთმა გიშველოთ და გადმოგხედოთ... თქვენს სახლში ისევ ქურდი შესულა..

– ჰოო, შევიდა, შევიდა...

– აი, მაგ სახლში ვერავინ ჩერდება. ამიტომაა ქირა ასე იაფი. სახლის პატრონი თვითონ ვერ ცხოვრობს და ვერც დამქირავებელს პოულობს. სახლის დანგრევასა და ორი მეტრით შიგნით გადაწევას აპირებდა. აი, მაშინ კი ეგ სახლი პოლიციის დაქვემდებარებაში შევიდოდა, მაგრამ შემდეგ თქვენ გამოჩნდით და მოგაქირავათ.

ახლა მოხუცის ცოლმა გააგრძელა:

– თქვენი ბრალი არ არის, პატრონის ბრალია. სახლს როცა აშენებენ, წყალიო,

ელექტრობაო, ბუნებრივი გაზიო, როგორი ხედი ექნებაო, ყველაფერს ითვალისწინებენ და იმას კი არ არკვევენ, თუ რომელ რეგიონში შევა... განა შეიძლებოდა ზუსტად საზღვარზე სახლის აშენება?

ერთი წლის ქირა წინასწარ გადახდილი დაგვირჩა და სახლიდანაც ვერ გავალთ. სახლში შევედით. გაკოჭილი ქურდი შევხსენით, გავათავისუფლეთ. ქურდმა შემოუარა მაგიდას და ჩვენ წინ ჩამოჯდა. ერთადაც კი ვივახშმეთ. შემდეგ კი, დროებით გემშვიდობებით, მაგრამ ღამით მოვალო, დაგვიბარა.

ახლა 4-5 ქურდი ჩვენი სახლის მუდმივი სტუმარია. უბანშიც მათ ყველა იცნობს. ის კი არა, მათთან ვთანამშრომლობთ კიდეც. სხვა, უცხო ქურდები არ შემოგვეჩვიონო, ჩვენს სახლს ერთობლივად ვიცავთ. ვნახოთ, რა იქნება?! ამ ჩვენი კონტრაქტის ამოწურვამდე სახლში ექვსი ქურდი, ორიც ჩვენ – ანუ სულ რვა სული ვცხოვრობთ. ალბათ, ჩვენს სახლს რომელიმე რეგიონს მიაკუთვნებენ და მაშინ ამ ქურდებს, თუ ვიპოვით, ჩვენი რაიონის პოლიციის განყოფილებაში ვუჩივლებთ. მაგრამ ერთმანეთს ისე შევეჩვიეთ, რომ ჩივილი სირცხვილიც კი იქნება. სახლის კომუნალურ გადასახადებს, გარკვეულ ხარჯებსაც კი ისინი იხდიან.

თურქულიდან თარგმნეს
ნანა კაჭარავამ
და
მარიამ ყველაშვილმა

ცემის გარეშე ვერ ვჩერდები

ავტობუსი გადაჭედილი იყო. ერთ-ერთი მგზავრის გარეგნობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შეცდომით ჩამჯდარიყო ამ ტრანსპორტში. მისი ადგილი ავტობუსში კი არა, მხოლოდ სასწრაფო დახმარების მანქანაში შეიძლებოდა ყოფილიყო. კაცს მარცხენა მკლავი მხარზე ბინტით ჰქონდა მიბმული, თავი შეხვეული, ცალი თვალი ჩალურჯებული და დასიებული ჰქონდა, მეორე კი – ჩასისხლიანებული. იგი ხელჯოხზე დაყრდნობილი ცდილობდა, რომ ხალხმრავალ ავტობუსში ადგილი ეპოვა. კაცი, საათის წიკწიკივით, გამუდმებით კვნესოდა:

– ააააჰ, უუჰ, ოოჰ... ვაი...

მისი გარეგნობა ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომ ავტობუსის ერთი კაი დამუხრუჭება და შესაძლოა, მთლად დაშლილიყო, ხელ-ფეხი დასცვივნოდა. ერთ-ერთ მგზავრს შეეცოდა და ადგილი დაუთმო, კაცი კვნესით დაჯდა და მგზავრს, რომელმაც ადგილი დაუთმო, უთხრა:

– ღმერთმა დაგლოცოს!

გვერდით მდგარმა მამაკაცმა კაცი იცნო:

– გამარჯობა, ბატონო სელმან...

– ააჰ... უუჰ... გამარჯობა, ბატონო შერაფედინ... ააჰ... უუჰ... ვაი, გავთავდი კაცი.

– რა მოგივიდა? რა დაგემართა?

– ეეეჰ... ოოჰ... ვაი, არ მკითხო, უკვე სამი თვეა, რაც ამ დღეში ვარ.

– უი, უი... გამოჯანმრთელებას გისურვებთ, ბატონო სელმან... ავად ხართ? რა გაწუხებთ?

– ეეეჰ... ესეც ავადმყოფობად ითვლება... ესეც ერთგვარი ავადმყოფობაა... ოოჰ... გავთავდი კაცი.

– ვახ, ვახ... რას ამბობს ექიმი? დიაგნოზი დაგისვათ?

– ააჰ... უუჰ... ძმაო, ეს არ არის ექიმის საქმე, ექიმს არაფერი შეუძლია... ვაი... მტერსაც კი არ ვუსურვებ ამას... ააჰ, უუჰ... ისე მტკივა ყველაფერი, ლამის ყველა ნაწილი მომძვრეს, თეძოს ვერ ვამოძრავებ... უუჰ... ააჰ... ვაი...

– ბატონო სელმან, ექიმთან წაუსვლელობა არ ივარგებს, სხვა თუ არაფერი, საავადმყოფოში მაინც მიდით.

– ბატონო შერაფედინ, საავადმყოფოში არაფერი მესაქმება. შესაძლოა, საგიჟეთი კი მჭირდებოდეს... ვაი... ააჰ... ეს უფრო გადამდები ავადმყოფობაა...

ბატონმა შერაფედინმა ფრთხილად დაიხია უკან.

– თუ ასეა, მაშინ ქუჩაში საერთოდ არ უნდა გამოსულიყავით.

– უუფ... სახლში გაჩერება განა შესაძლებელია? სათქმელად ადვილია, აი, შეგეყაროს ეს ავადმყოფობა და ქუჩაში ნუ გახვალ, ვნახოთ ერთი, როგორია... მე ეს დაავადება ჩემი ვაჟისაგან გადამედო.

– ისიც ავადაა?

– არ მკითხო, თანაც, როგორ... მისი საქმე ჩემზე უარესადაა, ქრონიკული დაავადება სჭირს. ააჰ... გეტყვით, ჩემო ბატონო, როგორ შემეყარა ეს დაავადება... ნება მიბოძეთ, გიამბოთ. ჩვენმა ბიჭმა ვერაფრით დაამთავრა ლიცეუმი, მე-9 კლასში ორი წელი ისწავლა, მეათეში გადავიდა, მეათეშიც ორი წელი ჩარჩა, ბურთის გამო. ااااჰ.. ვაი... ვეუბნებოდი, შვილო, დაანებე ამ ფეხბურთს თავი...

– როგორ დავანებო, მამა? როგორ შემიძლია მივატოვო, მამა?

– მომავალი დაგენგრა... მომავალს თუ არ ჩივი, მთელი ცხოვრება დაგენგრევა.

მატჩის დღე დადგება თუ არა, საღამოს სახლში ბრძოლაგამოვლილი ბრუნდება. საბედნიეროდ, მარცხენა ფეხი მოიტეხა და ბურთს ვეღარ თამაშობს. ფეხის მოტეხვაზეც თანახმა ვარ, გესმის, ადამიანო? ااااჰ... უუჰ... ფეხი რომ არ მოეტეხა და კიდევ ეთამაშა, ერთ დღეს შვილს ნამდვილად მომიკლავდნენ. თამაში თუ არ შეუძლია, მატჩზე წაუსვლელად მაინც ვერ ძლებს. თამაში თუ ანკარაშია, ანკარაში მიდის, იზმირშია და იზმირში მიდის. წასვლას ვინ ჩივის, ყოველი მატჩის შემდეგ ლოგინად არის ჩავარდნილი, ხმა უწყდება. ვეკითხები:

– შვილო, ხმა რატომ გაქვს წასული?

– ყვირილისგან, მამა.

– თუ ასეა, ნუ ყვირი, შვილო,

– ადვილი სათქმელია, მოდი და ნუ იყვირებ.

მატჩიდან ხან თავგახეთქილი მოდის, ხან ცხვირგატეხილი, ხან კი – თვალდასიებული. ვეკითხები:

– შვილო, რა გჭირს, რა დაგემართა?

– მატჩზე ვიჩხუბეთ.

– კარგი, როცა თამაშობ, კიდევ გასაგებია, ყურებისას შეიძლება ჩხუბი?

– რა თქმა უნდა, შეიძლება.

– კარგი, აღარ იჩხუბო.

– ადვილი სათქმელია, მოდი და ნუ იჩხუბებ.

ეს რა ხდება? რაც არ უნდა ვუთხრა, მპასუხობს: „არ შემიძლია, სათქმელად იოლია... მოდი და ნუ იზამ“. ერთხელაც შვილი პოლიციის განყოფილებიდან გამოვიხსენით. მატჩზე უჩხუბიათ და პოლიციაში მოხვდნენ. ორ-სამჯერ საავადმყოფოდანაც კი გამოვიყვანეთ.

ვევედრები და ვეხვეწები:

– შვილო, საბოლოოდ შენ ამ საქმეს შეეწირები!

– ვიცი, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ ვჩერდები. შორიდან სათქმელად ადვილია. მოდი და თავი შეიკავე, როგორია?

იმდენად დავინტერესდი, რომ ერთ დღეს ვთხოვე: „ერთი, მეც წამიყვანე ამ მატჩზე“. შვილთან ერთად თამაშზე წავედი. ფეხბურთის მატჩი დაიწყო. მე არც ერთი გუნდის გულშემატკივარი არა ვარ, სულ არ მანაღვლებს, ვინ გაიმარჯვებს. მოთამაშეებზე უფრო მეტად მაყურებლებს ვაკვირდები და ვაშაყირებ. შემდეგ, ბატონო ჩემო, გოლი

გაიტანეს „გაზჰანეს“ კარში, მაგრამ რა გოლი!.. ჩემო ბატონო, მსაჯმა აშკარად, თვალსა და ხელს შუა, გოლი არ ჩათვალა. მე არაფრით არ შემიძლია უსამართლობის ატანა, დავიწყე ყვირილი: "უუ, უუ... მსაჯს სათვალე მიეცით!!!" სხვებიც ჩემსავით ყვირიან. ამ დღეში რომ ვართ, იქიდან ერთ-ერთმა გულშემატკივარმა დაიძახა:

– მსაჯი მართალია, ეს გოლი არ ყოფილა.

სწორედაც რომ გოლი იყო, მსაჯი უსამართლოდ იქცევა.

„მან აშკარად ქრთამი აიღო მეორე გუნდისგან“, – ვთქვი მე. მაშინ იმ კაცმა მომაძახა, შე ვირისშვილო, განა გოლი იყოო?..

– შენს სიტყვებს უკანვე გიბრუნებ, ვირისშვილი მამაშენია.

რადგანაც მატჩზე პირველად ვარ, წესი და რიგი არ ვიცი. თურმე ვიღაცა რომ ვირს გიწოდებს, ამ სიტყვის უკან დაბრუნება არ შეიძლება. როგორც კი ეს ვთქვი, იმ კაცმა ცხვირში მუშტი მითავაზა და ძირს გამაგორა. საბედნიეროდ, სხვები ჩაერივნენ და გაგვაშველეს, თორემ ის კაცი უარესად მცემდა. როდესაც მუშტის დარტყმის მერე გავიშხლართე და ცხვირიდან სისხლი წამსკდა, მეგონა, ჩემი ვაჟი დასახმარებლად მოირბენდა. მაგრამ სადაა...

მე მას ვეძახი, ის კი მეუბნება: „მოიცა, მამა, მოიცა... გოლი გააქვთ!“

ცხვირსახოცი ცხვირში შევიტენე და ავდექი. ამჯერად იმ გუნდის მიმართ გამიჩნდა სიყვარულის გრძნობა, რომელსაც გოლი არ ჩაუთვალეს. ჩემო ბატონო, როდესაც ამ გუნდის რომელიმე მოთამაშე ბურთს დაეუფლება, მე თავს ვერ ვიკავებ, თითქოს ბურთი მე მქონოდეს. ფეხს ისეთი მონდომებით ვიქნევ, თითქოს ბურთს მე ვურტყამდე. მერე, გონს როცა მოვდივარ, საკუთარ თავს ვეუბნები: „კაცო, გიჟი ხომ არა ვარ?“. ფეხის გაჩერებას ვცდილობ. მერე ისევ თავს კონტროლს ვეღარ ვუწევ და ისე ვიქნევ ჰაერში ფეხს, თითქოს ბურთს მე ვურტყამდე, თანაც ისეთი სიძლიერით, მართლა რომ დავარტყა, ბურთი კარის ბადეს გახევს, თანამგზავრივით ჰაერში დატრიალდება და, ასე მგონია, მთვარემდე მიაღწევს.

ასეთი აღელვებული ბურთს რომ ვურტყამ და ფეხს ვიქნევ, თურმე ჩემ წინ მჯდომი კაცისთვის არ მიკრავს წიხლი? იმ კაცს ბოდიში მოვუხადე. მან კი მიპასუხა:

– არა უშავს, მატჩზე ყველაფერი ხდება. ბოდიშობანას თავი დაანებე, უყურე, გოლი გააქვთ.

ეს რომ მითხრა, უცებ უკნიდან ისეთი წიხლი მომხვდა, რომ თვალებიდან ნაპერწკლები მაყრევინა. ეჰ... მივხვდი, რომ იქ ერთმანეთისათვის წიხლის კვრაც არ იყო სირცხვილი... რადგან იქ ყველა ყოველგვარი განზრახვის გარეშე ურტყამს ერთმანეთს წიხლს, არც გიცნობს და არც შენი მტერია. აღელვებულია, აჟიტირებულია და ბურთის მაგივრად შენ გირტყამს. საოცრება ხდება, ბატონო შერაფედინ... ბურთი შენგან ერთი კილომეტრის სიშორეზეა, შენ კი აქედან ბურთს წიხლს კრავ.

ჩვენ დავიწყეთ ერთმანეთის წიხლისკვრა. ისინი მე მირტყამენ წიხლს, მე – იმათ, თუმცა არავის გულში ცუდი განზრახვა არა აქვს. იმ დროს აჟიტირებული კაცი წიხლისკვრისაგან ტკივილსაც კი ვერ გრძნობს. ამის შემდეგ, ჩემო ბატონო, ჩვენს კარში გოლი გავიდა. უსინდისო მსაჯმა ეს გოლი ჩათვალა, ამ უსამართლობას ვეღარ გავუძელი და საშინელი ხმით მოვრთე ღრიალი:

– ვედროოოო! შე, ვედროოო!!! ვედრო!!! მეხაშეეე!

თავს ვეღარ ვიკავებ. ხელ-ფეხი მიკანკალებს, ამ დროს გაზიანი სასმელების გამყიდველი მომიახლოვდა. ვტაცე ამ გაზიანი სასმელების ბოთლებს ხელი და მსაჯისკენ ვისროლე. კიდევ კარგი, ჩემ გვერდით მარტო გაზიანი სასმელების ბოთლები აღმოჩნდა და სხვა არაფერი. ბომბი რომ ყოფილიყო, ალბათ, მსაჯს ბომბსაც ვესროდი.

აირ-დაირია ყველაფერი. გოლი იყო თუ არა, ამ გარჩევაში ატყდა ერთი ამბავი. მაყურებლები ერთმანეთს დავერიეთ. ყველამ ვიღაცა დაიმარტოხელა, მე იმ სიჩქარეში ათი წლის ბავშვი ფეხქვეშ გამიგდია და

ვახრჩობდი. არაფრის გამო შეიძლებოდა მკვლელად ვქცეულიყავი. საბედნიეროდ, ბავშვმა მითხრა, ბიძია, მე თქვენი გუნდის გულშემატკივარი ვარო, და ხელიდან დამიძვრა. როგორც კი ბავშვს ხელი გავუშვი, ვიღაც მოხეულმა ტიპმა ფეხქვეშ გამიგდო... მირტყა და რა მირტყა. ჩემს შვილს საშველად ვეძახი, მაგრამ სადაა ბიჭი... ის მოედანზე გადამხტარა და მსაჯს უსწორდება. „პოლიცია!“ – ვყვირი მე. პოლიციელებიც ერთმანეთს დარევიან. ზოგიერთი მოთამაშეებს ურტყამს, ზოგი კი მაყურებელს. კაცს, რომელმაც ფეხქვეშ გამიგდო, ვეკითხები:

– ძმაო, შენ რომელი გუნდის გულშემატკივარი ხარ? ვაითუ, ორივენი ერთი და იმავე გუნდის გულშემატკივრები ვართ და ტყუილად მირტყამ?

კიდევ კარგი, ვკითხე, ორივე ერთი და იმავე გუნდის გულშემატკივრები ვყოფილვართ, თუმცა ის კაცი დაუნდობელი გამოდგა. ახლა მე მოწინააღმდეგე გუნდის გულშემიტკივარი სად ვიპოვოო, და მუშტი მხეთქა. საშინელი ტკივილით წამოვხტი, გავიქეცი და გადავრჩი. მაყურებლებიდან აღარავინ იყო დარჩენილი, რომ სცემოდა და საცოდავი სიბრაზისაგან ტრიბუნის სკამებს ღრღნიდა.

როგორც იქნა, სიტუაცია ჩაცხრა, მატჩი დაიწყო. ჩვენი გუნდის გულშემატკივრებმა გუნდის შეგულიანება დავიწყეთ:

„ვაშაااა!!! გაუმარჯოს ჩვენს გუნდს!

ვაშა!!! გაუმარჯოს ჩვენს გუნდს...“

მე უკვე ყვირილისგან ხმა ჩამიწყდა, სუნთქვა შემეკრა. იქ ვიღაცას ხელში თუნუქი ეჭირა და მეც ავტეხე რახუნი. ნამდვილი აურზაური მერე ატყდა. მოედანზე ორი ფეხბურთელი ერთმანეთს შეეჯახა. აბა, ახლა ამის მოთმენა შეიძლება? რომც გინდოდეს, ვერ გაჩერდები და ჩვენც ისევ ერთმანეთს დავერიეთ. ვიღაცამ ხელი ბარძაყში მტაცა და ჰაერში დამატრიალა. მახსოვს, რომ ჰაერში ამაფრიალა, იმის მერე კი აღარაფერი მახსოვს. ძმაო, თვალები საავადმყოფოში გავახილე.

შერაფედინ ბეიმ დაასკვნა:

– ამიტომ ხართ ამ დღეში...

– ამას აღარ დავჯერდი... მომდევნო კვირას ჩვენს გუნდს სხვა გუნდთან ჰქონდა თამაში. განა შემეძლო გაჩერება? შორიდან სათქმელად ადვილია. მოდი, აბა, და გაჩერდი, რომ დაგაბან, მაინც ვერ გაჩერდები... უუჰ... ვაი... უუჰ, ყველაფერი მტკივა.

სელმან ბეის გადაბინტული ხელიდან პარკი გაუვარდა, როდესაც პარკის ასაღებად დაიხარა, თქვა:

– ესეც ჩემი თუნუქი, როცა ყვირილისაგან ხმა მიწყდება, თუნუქს ვაბრახუნებ.

ავტობუსი გაჩერდა. გადაბინტული კაცი კვნესით წამოდგა.

– კარგად ბრძანდებოდეთ, ბატონო შერაფედინ.

– ახლა საით? ექიმთან?

– არა, გენაცვალე, მატჩზე... ااااჰ... ოოოჰ... უუჰ... ვაი...

თურქულიდან თარგმნეს
ნანა კაჭარავამ
და
ნიკოლოზ ოვსიანიკოვმა

სომხური ლიტერატურა

სუსანა ჰარუთუნიანი
(დაიბ. 1963 წ.)

თანამედროვე სომეხი მწერალი სუსანა ჰარუთუნიანი სოფელ კარჭაღბიურში დაიბადა. დაამთავრა ერევნის ხ. აბოვიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიური ფაკულტეტი. მისი პირველი მოთხრობა, „როცა ზღაპარი ვიყავი“, 1974 წელს გამოქვეყნდა გაზეთში „ნორჩი პიონერი“. იგი არის ათზე მეტი კრებულის ავტორი. მისმა ნაწარმოებებმა სხვადასხვა დროს მოიპოვეს მრავალი ლიტერატურული ჯილდო სომხეთში: კრებული „ყვავები ნოემდე“ 2016 წელს დაჯილდოვდა სომხეთის პრეზიდენტის პრემიით. სუსანა ჰარუთუნიანის ნამუშევრები ნათარგმნია მსოფლიოს მრავალ ენაზე, გამოქვეყნებულია სხვადასხვა რუსულენოვან, ასევე, ინგლისურენოვან გაზეთებში, ვებსაიტებსა და ჟურნალებში. 2019 წელს რომანი „ყვავები ნოემდე“ ითარგმნა ინგლისურად, გამოიცა ლონდონში, თარგმნის პროცესშია რომანის სერბული, არაბული, ფრანგული, გერმანული და თურქული ვერსიები. მისი პიესა „ჰარმონია“ ითარგმნა სპარსულ ენაზე და დაიდგა ირანის ისლამურ რესპუბლიკაში 2000-იან წლებში.

აქ ღმერთს გაუვლია

ევროპელები რომ მოვიდნენ გოგონას სანახავად, ჯერ გულუბრყვილოები იყვნენ, რადგან მძღოლს მათთვის ჯერაც არ ეთქვა: „როგორც კი მიხვალთ, დაწურულ მაწონს შეჭამთ, დაწურული მაწონი კი ძალიან გემრიელი რამეა. აქაურები დაწურულ მაწონს ვარდის მურაბით მიირთმევენ, ეგ კი განსაკუთრებით გემრიელია. როდის მივალთ? რამდენიმე წუთში, გზატკეცილის დამთავრებისა და მარჯვნივ შეხვევისთანავე. გზატკეცილი რომ დამთავრდება და მარჯვნივ შევუხვევთ, პირველ მოსახვევში შევალთ, რომელსაც თხუთმეტ წუთში გადავლახავთ, რის შემდეგაც... არა, სოფელი არ გამოჩნდება, მაგრამ... მოუახლოვდება გამოჩენას. როგორც კი პირველ მოსახვევს გადავლახავთ, მოვუხვევთ მარცხნივ და შევალთ მეორე მოსახვევში, რომელიც ორჯერ აღემატება პირველს, ასე რომ, დაახლოებით ოცდაათ წუთში გადავლახავთ. და ბოლოს, სოფელი... უფრო მოგვიახლოვდება. მეორე მოსახვევს რომ გადავლახავთ და პირდაპირ წავალთ, აღმართის პირას მივალთ, რომლის გადალახვის შემდეგ... რა თქმა უნდა, უპირობოდ, სოფელი შეუდარებლად მოგვიახლოვდება. დაახლოებით... თუ ციცაბოს გადავლახავთ... თუ გადავლახავთ... დაახლოებით მთის ძირში აღმოვჩნდებით. გგონიათ, რომ სოფელი ბოლოს და ბოლოს გამოჩნდება, რადგან გასაქცევი არსად აქვს. რა თქმა უნდა, სწორად გგონიათ. მაგრამ დაახლოებით... თუ ციცაბო აღმართს გადავლახავთ, იმ გზაზე აღმოვჩნდებით, საიდანაც სამი კილომეტრის ფეხით გავლის შემდეგ კლდის ფერდობზე ამოვალთ, რომელზე ცოცვისას... ღირს, ღირს ამ ტანჯვის ატანა... უგემრიელესი, ძალიან გემრიელი რამეა გაწურული მაწონი ვარდის მურაბით“.

ასე რომ, ევროპელები გოგოს სანახავად რომ მივიდნენ, ჯერ კიდევ გულუბრყვილოები იყვნენ, მძღოლს ბევრი არაფერი ჰქონდა ნათქვამი და დიდად არც აპირებდა თქმას. ჯერჯერობით მღეროდა: „სადაც მე

ვარ, ღმერთის გარდა არავინაა“. მანქანა ქვებზე ხტოდა. ზოგჯერ მძღოლი მკვეთრად ამუხრუჭებდა. უკანა სკამები წინისკენ მოხტოდა, წინა ადგილებს კუჭებს ახლიდნენ... შვიდი დღის წინ ნაჭამს ინელებდნენ. შუა სიმღერისას მძღოლი ერთხელ შემობრუნდა და წინასწარ გააფრთხილა: „თუ გაღებინებთ, მაშინვე მითხარით, კისერზე ნუ დამარწყევთ“. ახალმოსულებმა ეს ხუმრობად მიიღეს, გულიანად გაიცინეს და ეგონათ, რომ, როგორც კი მანქანა გზატკეცილიდან გადაუხვევდა, მისულები იქნებოდნენ. ერთ-ერთი მათგანი მკერდზე გამუდმებით ისწორებდა ფოტოაპარატს, რომლითაც ატირებული კლდეებისა და მზისგან დაბზარული მთების გადაღებას იმედოვნებდა, რათა ტექნოკრატი თანამემამულეები ბუნების ინსტინქტებით გაეოცებინა. მაგრამ როდესაც ამერიკული წარმოების მსხვილბორბლებიანმა მანქანამ გზატკეცილიდან მარჯვნივ გადაუხვია, ეშმაკის კლანჭებივით ბასრ კლდეებში ორი კილომეტრი იარა, ბორბლები გაცვდა და ნაკუწებად იქცა და აღმოჩნდა, რომ ხალხს უნდა წაეყვანა მანქანა და არა მანქანას ხალხი... ჯერ გულუბრყვილოები იყვნენ! და როცა უკმაყოფილოდ გადმოვიდნენ მანქანიდან, გადახედეს ირგვლივ გაშლილ ქვის სამყაროს, ციცაბო დაღმავალ ფერდობს, გაკვირვებით და შიშით დაუსტვინეს. სტვენისას გაოფლიანდნენ, მზისგან დაიწვნენ და, რადგან სხვა გზა არ ჰქონდათ, ეშმაკის ბრჭყალებივით ბასრ ქვებზე ძალისძალად, ბოტასისა და შარვლის ფხრეწა-გლეჯით მანქანის მიწოლა დაიწყეს... ჯერ გულუბრყვილოები იყვნენ, რადგან ფიქრობდნენ, რომ რთული ფერდობზე ასვლა იყო და მიაღწევდნენ ადგილს, რადგან უფრო მაღალი და ციცაბო მთის წარმოდგენაც კი შეუძლებელი იყო. მაგრამ... იყო, უფრო ციცაბო მთა იყო, უბრალოდ, ამის წარმოდგენა მართლაც შეუძლებელი იყო. და როცა ევროპელები მოვიდნენ გოგონას სანახავად, ქვებთან ბრძოლით დაქანცულები, დაფლეთილი ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით, სასოწარკვეთილებისგან პატრიოტული სიმღერების ღიღინით, ერთმანეთის გამხნევებითა და კვნესით, მანქანის მიწოლით, ქვისა და მტვრის ფურთხებით – ისევ გულუბრყვილოები იყვნენ... ხოლო როცა ნახეს, რომ წვალებით დაძლეული ციცაბოს ბოლოს კიდევ ერთი წარმოუდგენლად კლდოვანი კანიონი იწყება, ეშმაკის ბრჭყალებზე უფრო შავი და მყარი ვულკანური კლდეებით, რომლის შუაში წრისებრად ბრჭყვიალებს ოქროს მადნის ძარღვი, ერთ-ერთ მათგანს გინება და ტირილი წასკდა, მანქანას ხელი უშვა და თავში ცემა დაიწყო. მანქანა უკან-უკან წავიდა, დანარჩენები თან გაიყოლა. დანარჩენები პანიკაში ჩაცვივდნენ და წივილ-კივილი მორთეს, ფეხებს მიწაზე მიახოხებდნენ, ტერფებს და ქუსლებს იყვლეფდნენ, დაძაბულობისგან გაწითლებული სახეებით ერთმანეთს უცხო ენაზე უყვიროდნენ და მანქანას ძლივს იჭერდნენ... ამ დროსაც კი ზარდაცემული ევროპელები ჯერაც გულუბრყვილოები იყვნენ. მძღოლი სიბრალულით უყურებდა მათ, რაიმე კარგის თქმა უნდოდა, დამშვიდება, ახალმოსულთა ფეხების მიმართ – ქვების, თავის მიმართ კი მზის სისასტიკის შერბილება. „აქ ცა ისე ახლოსაა, – თქვა მან, – რომ, როცა ანგელოზები ტირიან, მსხვილი წვეთებით წვიმს, მაგრამ ეს ხდება ოქტომბერში, როდესაც მწვერვალები უკვე ყინულითაა დაფარული და ოცნებები ცისკენ მიმავალ ბილიკებს ვერ პოულობენ“.

როდესაც ევროპელები, ბოლოს და ბოლოს, ჯოჯოხეთიდან გამოქცეული დევნილებივით, დაგლეჯილი ტანსაცმლით, გასისხლიანებულები, მზითა და მწარე ჰაერით დანაყრებულები, მწვერვალის ორმოში დავანებულ სოფელში აღმოჩნდნენ... კვლავაც გულუბრყვილოები იყვნენ, რადგან ვერ მიხვდნენ, რომ მიაღწიეს, რადგან აღარ ჰქონდათ იმის იმედი, რომ ასეთი ადგილი არსებობდა. ადგილი, სადაც ბოლოს და ბოლოს შესაძლებელია მიღწევა. და როცა ასე მშივრები, ოფლიანები, ლანძღვა-გინებით მიდიოდნენ... ჯერ კიდევ გულუბრყვილოები იყვნენ, რადგან, როცა სხეულის თრევა-თრევით ქვების პირველ გროვას ჩაუარეს, გალავნის უკან სარეველას გლეჯაში გართული მოხუცები წელში გასწორდნენ, ერთმა მათგანმა მიწიანი ხელები მუცელზე შეიწ-

მინდა, მწველი მზის შუქისგან მარჯვენა თვალი მოჭუტა, მარცხენა თვალით შეათვალიერა უცნობები და ეჭვით იკითხა:

– ამჯერად ვინ არიან ახალმოსულები?

– ევროპელები, – უპასუხა მეორემ და, მათი დაგლეჯილი ტანსაცმლის, კისერზე ჩამოკიდებული ფოტოაპარატების, ოფლში გაღვრილი ზურგებისა და დაღლილობისგან დასუსტებული ფეხების შემხედვარეს, გაეღიმა.

– და სად არის ევროპა?

– ოჰ, ჩვენგან ათასობით კილომეტრის დაშორებით.

– უჰ, უჰ, – სინანულით თქვა პირველმა მოხუცმა, რომელიც ლობიოს კრეფდა, – როგორი გარეუბანი ყოფილა.

როცა გოგონას საყიდლად მოვიდნენ, ევროპელები გულუბრყვილოები იყვნენ, მაგრამ ყველამ იცოდა, რომ მან ერთხელ უკვე გაყიდა თავისი სხეული, როცა თექვსმეტი წლის იყო. პირველი მყიდველები მამამ ერევნიდან ჩამოიყვანა. უფრო სწორად, მამამ მეორე მყიდველები მოიყვანა. პირველები ვერტმფრენით ჩამოფრინდნენ... აგვისტო იყო, მზეს მთები უკვამლოდ და უცეცხლოდ დაეწვა, მწვერვალები კი ტკივილის მნახველი სულივით გაფითრებულიყვნენ.

პატარა და დიდი ქვები რომ არ დაბზარულიყო, ხავსი გადაეფარებინათ და ხავსის სველი ფესვის ქვეშ ქვის შეტრუსული კანი დრტვინავდა... ჩვეულებრივი ზაფხული და ვერტმფრენი მგზავრებთან ერთად დნებოდა და კლდეებზე ეღვენთებოდა. აი, მეორეებს კი ერევანში მამა პირადად დახვდა და სოფელში ჩამოიყვანა, მთებში ამოიყვანა თავისი კოჭლი ვირით, რომელსაც თვეების წინ მგლები დადევნებოდნენ, მაგრამ მხოლოდ უკანა მარჯვენა ჩლიქი დაეკბინათ და მოეგლიჯათ. ახალმოსულები სათითაოდ სხდებოდნენ კოჭლ ვირზე, ერთმანეთის პატივისცემით, წუწუნისა და კვნესის პრიორიტეტს ხნიერებს უთმობდნენ, მთების სიმაღლით და ღვთიურ სამყაროსთან სიახლოვით ტანჯულნი და აღტაცებულნი. ისინი დაიტანჯნენ, დაიღალნენ და გაოფლიანდნენ, მაგრამ არ წუწუნებდნენ. და თქვეს: „ამ სიმაღლეზე ზეციურთა შესვლა უფრო შესაძლებელია, ვიდრე მიწიერთა“, თქვეს, რომ ამიერიდან დაიკვეხნიან, რომ ბაბილონის გოდლის მშენებლობაში მონაწილეობდნენ, რადგან ღვთის კალთამდე მოაღწიეს, ზევით ავიდნენ და მის წვერში ჩაიხლართნენ. ბუნებისთვის ხოტბის შესხმით, მზეზე დახრუკვით, ასეთ უდაბურ ადგილას მცხოვრებთა მიმართ შურით, ჩამოვიდნენ სოფელში – გოგოს საყიდლად. ისინი კეთილგანწყობილი რუსები იყვნენ და შემოსვლის წამიდან წასვლამდე შეუჩერებლად უკოცნიდნენ ხელებს ქალებს: სოფელში მათ „განათლებულებს“ ეძახიან. სოფლის ბავშვები ხეებსა და ქვებს მიღმა მიმალულები აკვირდებოდნენ ახალმოსულთა მოძრაობას და მათ ხელის კოცნაზე, „ბოდიშებზე“ და „მადლობებზე“ იცინოდნენ.

მამამ მაშინვე დაკლა შემოდგომაზე დაბადებული ბატკანი, რომელიც გამუდმებით ახველებდა და შესაძლოა, სიცივესთან ერთად, ხველა ფილტვების ანთებით დასრულებულიყო. სუფრა ბაღში გაიშალა, საფრთხობელასგან არცთუ ისე შორს, სადაც მზესუმზირები ისე აზვირთულიყვნენ ზეცად, რომ ანგელოზებს მათ ირგვლივ მოფარფატე ჩიტების ჯაშუშებად მიჩნევა შეეძლოთ. მაგრამ ჩიტები რისკზე მიდიოდნენ და ხანდახან ყვავილების ყვითელ თავებზე ეშვებოდნენ, უფრო თამამები – სუფრაზეც კი. სტუმრებმა ქაფქაფა ხაშლამა მადიანად მირთვეს, ძვლები კი ხის ქვეშ შეკრებილ კატებს დაუყარეს. ნახევრად გამაძღარმა რუსმა პატარა გოგონას ლავაში გამოართვა და მამას ჰკითხა: „თქვენი გოგოებიდან რომელს ვყიდულობთ?“. მამამ ნოემზე მიუთითა, რომელიც სუფრაზე დასამატებლად წყაროსთან მწვანილს რეცხავდა.

– ეს ჯობია, – რუსმა კიდევ აიღო ლავაში და პირით ლავაში შეჭამა, თვალებით კი – გოგონა, – შენ რომ მაჩვენე, ის ქვიშაში მცხოვრები მწერივით გახუნებული და უფერულია.

– რას ამბობ? – არ დაეთანხმა მამა, – უბრალოდ, დაელოდე ღამის დადგომას... ასეთი სასწაული არ გინახავს. და, საერთოდ, არავის უნახავს.

ნოემმა ერთი თვის წინ იცოდა, რომ მოვიდოდნენ, მას გაყიდდნენ და აუცილებლად უნდა გაშიშვლებულიყო. სარკის წინ გაშიშვლებაც კი სცადა რამდენჯერმე, ორჯერ კი დედამ აიძულა ძმების და დების თანდასწრებით გაშიშვლება, რათა ეს ჩვეულებრივი რამ გამხდარიყო და სტუმრების მოსვლის დღეს გოგონას მოულოდნელად მორცხვობა და სიჯიუტე არ გამოეჩინა. მაგრამ მაინც, ახლა, როცა მყიდველები მოვიდნენ, ერიდებოდა.

ღამის თერთმეტისკენ, როცა მთის ფილტვები მწვერვალის ღრმულით ისრუტავდა მთვარეს, მერე კი ჰაერთან ერთად უკან უშვებდა, მის წასაყვანად დედა მოვიდა.

– მრცხვენია, – დაიწუწუნა ნოემმა.

– უსინდისო ხარ, – უსაყვედურა დედამ, – მამაშენი ფოსტასთან ათენებდა და აღამებდა, სანამ წერილები არ გააგზავნა, ფული დახარჯა, ბატკანი დაკლა... რისი გრცხვენია? რამდენჯერ გაშიშვლდი შენი ძმების წინაშე, რა არის სასირცხვილო?

– ჩემი ძმები ჩემზე ათი წლით უმცროსები არიან და ბანაობისას მე ვხედავ მათ შიშვლებს. ესენი კი... მთელი ჯგუფი – და ყველანი მოხუცები არიან, მამაჩემის ჩათვლით.

ნოემი ტახტის კიდეზე ტირილით მიწვა.

– მე ფული არ მჭირდება.

– არც მე, – დაიწყო დედამ დარწმუნება, – მაგრამ აქ ფულზე კი არა, დიდ, ძალიან დიდ ფულზეა ლაპარაკი... ამით ეკლესიის აშენებაც კი შეიძლება. რა არის სასირცხვილო? ვთქვათ, ექიმთან მიხვედი, ვთქვათ, გული გტკივა ან ფეხი გაქვს მოტეხილი, არ უნდა უჩვენო, არ უნდა მისცე საშუალება, რომ გიმკურნალონ? მაგრამ არა უშავს, – საწყლად ჩამოჯდა ტახტის კიდეზე და ამოიოხრა, – თუ არ გინდა, არაა საჭირო. მამაშენს მუხლი სტკივა, დაე, სტკიოდეს. ასაკთან ერთად ყველას ცარცივით ურბილდება ძვლები, ორმოცდაათი წელი ჯანსაღად იცხოვრა, დაე, ცოტაც იავადმყოფოს... არიან ადამიანები, რომლებიც ასე ავადმყოფები იბადებიან, მაშ, მათ რაღა თქვან?... ფაშისტები ხომ არ ვართ, რომ დაგტანჯოთ... აბა, რა... თუ არ გინდა... თუმცა რა არის სასირცხვილო? სიბერეში კაცები ანგელოზებივით უსქესოები ხდებიან. მამაშენი კი... ბოლოს და ბოლოს, შენ მისი სისხლი და ხორცი ხარ. შენ ხომ არ გრცხვენია შენი ხელების, ფეხების, თვალების ან გულის? კარგი იქნებოდა, რომ დასთანხმებოდი. ქალაქში საცხოვრებლად წავიდოდით, ქალაქში ყველაფერი ხალხისთვისაა, ცხოვრება ავტომატიზებულია. თორემ, აბა, ეს ცხოვრებაა? მაგრამ არა უშავს, არ არის საჭირო, – წაიბურტყუნა აღელვებულმა, – ასი წელია, ამ მთის წვერზე ვცხოვრობთ, ისევ ვიცხოვრებთ...

რუსები კართან იდგნენ, უსმენდნენ მთის სუნთქვასთან ერთად ქვების ჩაგორებას, ხარბად ყნოსავდნენ ჰაერისა და ცის სუნს და ელოდნენ. როცა გამოვარდა და გაიქცა, მაშინ შესძახეს...

– უფალო ღმერთო! – ამოიოხრა ერთ-ერთმა ბაღისკენ გაქცეული გოგონას დანახვისას, – ნამდვილი სასწაულია, ნამდვილი მზეთუნახავი.

– ხორცშესხმული მთვარე, – დაამატა მეორემ მგრძნობიარედ.

– რას გეუბნებოდით? – ამაყად თქვა მამამ, – არ გჯეროდათ. მთვარე რა არის?.. ბევრის აზრით, ხელოვნურია – მოწყობილობა, რომლითაც უცხოპლანეტელები დედამიწას აკონტროლებენ, ეს კი ბუნებრივია, ღმერთის შექმნილი. ნოემი მზესუმზირების მწკრივისკენ გაიქცა და საფრთხობელასთან გაჩერდა. ქალი-საფრთხობელა ამაყად და მაღლა იდგა და მისი ჩალისფერი თმა ეკლებივით ჩასობოდა ზეცას თვალებში. სამმეტრიანი კაბა, რომელიც გავლილი წლების ნაკუწებისგან იყო შეკერილი, ნაკეცებად ეცემოდა და ფიცრის სიმაღლეს ფარავდა. ხელები არ ჰქონდა, რადგან ის ხელებიანზე უფრო საფრთხობელა იყო და მისი გაჩეჩილი თმა-ჩალები სავსებით საკმარისი იყო ჩიტების გულგასახეთქად. საფრთხობელას ყელზე ჟანგიანი ლითონის ვედრო ეკიდა, რომელიც ახლა ნოემს თავზე ედგა. ბავშვები დარწმუნებულები იყვნენ, რომ ვარ-

სკვლავთცვენის დღეებში ვარსკვლავები ამ ვედროში ცვივა, მაგრამ დედა, როგორც წესი, თვეში ერთხელ იქიდან ჩიტის ბუდეებიდან ჩამოცვენილ სკინტლს ცლიდა. გოგონა ორივე ხელით ჩამოეკიდა საფრთხობელას კალთას, რომელზეც ქარს, ზეცაში შესვლამდე, იმდენჯერ შეეწმინდა ფეხი, რომ ნაჭერი ჭუჭყისგან გახევებულიყო.

– გაცივდები, სახლში შემოდი, – გასძახა მამამ. ნოემმა საფრთხობელას კალთა ჩამოაძრო. ტილო ჩამოცურდა. გოგონამ აიღო, შემოიხვია და მდელოს გავლით სახლისკენ წავიდა. ოთახში მონუსხული კაცების ჯგუფი იჯდა, რომელსაც ნოემის შესვლისთანავე თვალები გაუბრწყინდა. ყველაზე უფროსი, რომელიც ზღაპრიდან გამოქცეულ კეთილ ჯადოქარს ჰგავდა, ცისფერი თვალებით, ნიკაპზე თხის წვერით, ნოემს მიუახლოვდა.

– შეგიძლია, სადმე დაწვე? ვთქვათ, დივანზე ან მაგიდაზე... სადაც გინდა.

– შეუძლია, შეუძლია, – ნოემის ნაცვლად მამამ უპასუხა.

– გთხოვთ, გადით, – თქვა მეორემ, – თქვენ აქ აღარაფერი გესაქმებათ, დანარჩენი ჩვენი საქმეა.

მამა ოთახიდან გამოვიდა, ერთ-ერთმა კაცმა კარი ჩაკეტა, ხელი რომ არავის შეეშალა. შეშინებული ნოემი ტახტზე დაწვა. კაცები მის ირგვლივ შეიკრიბნენ. ერთმა მათგანმა შუქი ჩააქრო.

– მაპატიე, – თქვა ნოემისკენ დახრილმა მოხუცმა, – შენი სხეულის განსაკუთრებულობიდან გამომდინარე, სიბნელეში მოგვიწევს ჩვენი სამუშაოს შესრულება. და ფრთხილად აიღო მისი მკერდიდან ქსოვილი. რომელიღაცამ ფრთხილად აამოძრავა მისი ფეხის თითები, მეორემ მიკროსკოპით დაუწყო გამოკვლევა: ჯერ მკერდი, მერე ფეხი, მერე მკლავი... ერთმა ბარძაყზე უპწკინა, სხვამ იდაყვთან ნემსით ხაზი გაავლო.

– შვილო, გთხოვ, ფეხები მოკეცო... ჩვენი საქმისთვის მოუხერხებლად წევხარ... ყველაფერი უნდა დავინახოთ და ყველაფერში პირადად დავრწმუნდეთ... გესმის, შვილო, ჩემი ასაკის კაცისთვის შეუფერებელია შენი ასაკის ქალის შეხება, მაგრამ უნდა გაგსინჯო, ეს ჩემი პროფესიაა. ახლა მედიცინისა და ქიმიის დახმარებით ნებისმიერი ეფექტის შექმნა შესაძლებელია, უზარმაზარ ფულს ვხარჯავთ შენს შესაძენად, ყველაფერი უნდა შევამოწმოთ, – მოხუცმა ფარანი აანთო, შუქი გოგონას სახეზე მიანათა, თმა გვერდით გადაუწია, თითით კისერზე პატარა ადგილი დაუსრისა და სველი ბამბით დაუზილა. გოგონას კისრისთვის თვალი არ მოუშორებია, ნოემის მხარზე დახრილი, რამდენიმე წუთი სახეზე ასუნთქავდა, მერე ისევ წაუსვა სველი ბამბა, ისევ მოუსვენრად მიასუნთქა გოგონას სახეზე და კმაყოფილმა და გამარჯვებულმა ჩურჩულით ჩაილაპარაკა: „კარგია, შესანიშნავია“.

ყველა სათითაოდ მიუახლოვდა, ინტერესით უყურებდნენ კისერზე, სახეზე. მოუსვენრად სუნთქავდნენ, უნდობლად. თითოეულმა მათგანმა თავის მხრივ ისევ წაუსვა სველი ბამბა, მარჯვნივ თუ მარცხნივ... მოიცადეს, მიკროსკოპი აიღეს და ყველა უჯრედს სათითაოდ დააკვირდნენ და იმავე დასკვნამდე მივიდნენ: კარგია, შესანიშნავია. შუქი აანთეს. ორი მეცნიერი მიუახლოვდა, ერთმა ნოემს მკლავზე მოჰკიდა ხელი, მეორემ თქვა: „ნუ გეშინია, არ გეტკინება“ და შპრიცი არტერიაში ჩაასო. – სიყალბის ნასახიც არაა – გამოაცხადა ოთახიდან გამოსულმა ცისფერთვალება მოხუცმა, – ყველაფერი რიგზეა, ბუნებრივია...

– ვიცი, – მიუგო ფანჯარასთან მდგომმა მამამ, რომელიც სიგარეტს ეწეოდა, – აქაური ექიმი ამბობს, რომ მისი სხეულის სამოცდაათი პროცენტი ფოსფორია, ამიტომაც ანათებს ასე სიბნელეში.

– შესაძლებელია, – თქვა მოხუცმა, – მაგრამ სასწაული რომ არის, ეგ ფაქტია. ბაღში, ყვითელი მზესუმზირის ქვეშ მსხდომნი, სვამდნენ ველური ვაშლის ახალგამოხდილ ღვინოს, რომელიც ბოლომდე არ დადუღებულიყო. იდაყვქვეშ ქაღალდებ-ბეჭედამოდებული ადვოკატი, სასმელიდან ჰაერის ბუშტების ამოსაყვანად, ჭიქას თითს უკაკუნებდა და რბილი ხმით ლაპარაკობდა:

– შვილო, – ნოემს ხელი მოჰკიდა, – მიუხედავად იმისა, თუ რას ფიქრობენ შენი მშობლები, სანამ ხელს მოაწერ, ყველაფერი უნდა იცოდე. მინდა გითხრა ყველაზე მნიშვნელოვანი დეტალები, რაც უნდა იცოდე, სანამ გაგყიდიან... სომეხი ქრისტიანები ვართ, სიკვდილის შემდეგ მიწაში უნდა დავიმარხოთ და სამოთხეში ან ჯოჯოხეთში უნდა მოვხვდეთ, სხვა გზა არ გვაქვს. ამ ვაჭრობის სისრულეში მოყვანის მერე, უნდა იცოდე, რომ კარგავ ამ შესაძლებლობას. არ გექნება საფლავი უძველესი სომხური აკვნის ფორმის ქვით, შაბათობით ნათესავების დანთებული საკმევლის სუნი არ მოგივა, სიკვდილის შემდეგ შენი ყველა ნათესავი და ნაცნობი სოფლის სასაფლაოზე იქნება, შენ კი იქ არ იქნები. სიკვდილის შემდეგ შენი სხეული მეცნიერებას მიეკუთვნება. მეცნიერებამ უნდა შეგისწავლოს, რათა გაიგოს, თუ რა მიზეზით ასხივებს მთვარისებრ სინათლეს ზოგიერთი შენნაირი ადამიანი, დანარჩენები კი მოკლებულნი არიან ამას. შესწავლაში ვგულისხმობთ, რომ სიკვდილის შემდეგ არ დაიმარხები, რომ მოუწევთ შენი სხეულის დამტვრევა, ნაწილებად დაყოფა, დაშლა, დანაწევრება, ადუღება, ქიმიურ-სითბური დამუშავება... უნდა გაწამონ, შვილო, იმის დასადგენად, თუ რატომ არ ჰგავხარ სხვებს. – თანახმა ხარ, შვილო? – იკითხა მან, – უნდა ვთქვა, რომ გარიგების გაფორმების შემთხვევაში, სახელმწიფო თანხის ნაწილს დაუყოვნებლივ გასცემს, მეორეს კი შენი გარდაცვალების შემდეგ მიიღებენ შენი ახლობლები. ასე ვთქვათ, ნედლეულის ჩაბარებისთანავე. დაფიქრდი, შვილო, თანახმა ხარ? ყველა დაძაბულ მოლოდინში იყო. მზესუმზირებთან და საფრთხობელასთან უკვე შეკრებილიყვნენ და-ძმები, ორი მეზობელი, ხის ქვეშ დაყრილი ხაშლამის რამდენიმე ძვალზე მოსული კატები.

– ფსიქოლოგიური კვლევითაც შეიძლება შოკისმომგვრელი შედეგის მიღება. კარგი იქნებოდა, ამ საკითხზეც გვემსჯელა, – სანამ ნოემი ფიქრობდა, ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა შესთავაზა ცისფერთვალება მოხუცს.

– არ გირჩევთ, – მთელი ტანით მისკენ შებრუნდა ერევნიდან მოწვეული ადვოკატი, – სომეხი ქალები ბოლომდე ღმერთსაც არ უხსნიან სულს... თქვენთვის ეს ზედმეტი ხარჯი იქნება... დროისა და ფულის ფლანგვა.

– მე არც კი დავთანხმდები, – ცოლს ხელიდან დაჭრილი ხილის თეფში გამოართვა და მაგიდის ცენტრში დადგა ოჯახის მამამ, – ყველაფრის მიუხედავად, ჩემს სულს მხოლოდ ღმერთის ხელი მიეკარება, ადამიანები ზედმეტად უმნიშვნელონი არიან ამისთვის.

მეცნიერთა ჯგუფი დილით ადრე წავიდა, მამლის ყივილამდე, მაგრამ მთების ცივ ნისლში უკვე გამქრალიყვნენ ვარსკვლავები. მადლობა გადაიხადეს ყველაფრისთვის: სტუმართმოყვარეობისთვის, სიკეთისთვის, გარიგებისთვის.

– ძალიან მოგვეწონე, ძალიან დაგვაინტერესე, – ნოემს ხელი ჩამოართვა მოხუცმა მეცნიერმა, – მომავალ შეხვედრამდე, მოუთმენლად ველით... შენს სიკვდილს, – იხუმრა.

– ჩვენც, – გაეცინა მამას.

ევროპელები რომ მოვიდნენ, ჯერ კიდევ გულუბრყვილოები იყვნენ, რადგან არ იცოდნენ, რომ მათზე ადრე რუსები იყვნენ მოსულები. ევროპელებზე ადრე მოსული რუსები თურქების შემდეგ მოვიდნენ. სპარსელებმა, რომლებიც წინ უსწრებდნენ თურქებს, იცოდნენ, რომ მათზე ადრე, მაგრამ სელჩუკების შემდეგ მოვიდნენ თათარ-მონღოლები და ისინი მოჰყვნენ არაბებს, რომლებსაც წინ უსწრებდნენ... თითქოს ბერძნებს – ესენი ერთდროულად მოვიდნენ ფარაონებთან ერთად, მათ წინ. და შემდეგ რომაელები, რომლებიც მოჰყვნენ ეგვიპტელ ფარაონებს, რომლებიც წინ უსწრებდნენ ბიზანტიელებს, რომელთა წინ მოვიდნენ ასურელები, რომლებსაც მოჰყვნენ... ხურიტები. უფრო ადრე კი აქ გაიარა ნოემ და გაჩერდა, რადგან აქ ღმერთს გაევლო... და ის ერთადერთი იყო ამ ჩამონათვალში, ვინც წაღების ნაცვლად დატოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერასდროს, ვერასოდეს იქნებო-

და ცნობილი, რომ აქ ღმერთს გაუვლია. და არ გამოიწევდნენ აქეთ ევროპელები, მათზე ადრე – რუსები, რომლებიც თურქებს მოჰყვნენ, რომლებიც რუსებზე ადრე მოსულიყვნენ, ოღონდ სპარსელების შემდეგ, რომლებიც არაბებს მოჰყვნენ, ხოლო უკანასკნელებს წინ უსწრებდნენ... თითქოს, ბერძნები. ესენი ფარაონებთან ერთად მოვიდნენ, მათ წინ და მათ შემდეგ – რომაელები, რომლებიც მოჰყვნენ ეგვიპტელ ფარაონებს, რომლებიც წინ უსწრებდნენ ბიზანტიელებს, რომელთა წინ მოვიდნენ ასურელები, რომლებიც მოჰყვნენ... სელჩუკები კი... ოჰ, სელჩუკები, მათ დღემდე არ სჩვევიათ დაგვიანება და აქ იყვნენ უფრო ადრე, ვიდრე თათრები, მაგრამ უფრო გვიან, ვიდრე ეგვიპტელი ფარაონები, რომლებიც, თავის მხრივ...

სომხურიდან თარგმნა
ასია დარბინიანმა

სპარსული ლიტერატურა

ფარიბა ვაფი
(დაიბ. 1963 წ.)

თანამედროვე ირანელი მწერალი ქალი ფარიბა ვაფი თავრიზში დაიბადა. ამჟამად თეირანში ცხოვრობს. ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროზაიკოსია თავის სამშობლოში, ბოლო ხანებში კი პოპულარობა მოიპოვა უცხოეთშიც.

ფარიბა ვაფი რამდენიმე რომანისა და ნოველების კრებულის ავტორია. მისი წიგნები ირანში მრავალი ლიტერატურული პრემიით აღინიშნა. 2017 წელს კი ერთ-ერთი რომანის („თარლან“) გერმანულენოვანმა თარგმანმა ფრანკფურტის ლიტერატურულ ფესტივალზე ლიტპრომის პრემია დაიმსახურა.

ფარიბა ვაფის წიგნები მრავალ ენაზეა თარგმნილი, მათ შორის, ქართულად.

ჩემი ჩიტი

(ნაწყვეტები რომანიდან)

I

აქ კომუნისტური ჩინეთია. ჩინეთში არ ვყოფილვარ, მაგრამ მგონია, რომ ჩვენს უბანს უნდა ჰგავდეს. არა, სინამდვილეში აქაურობა ჰგავს ჩინეთს, ადამიანებითაა სავსე.

ამბობენ, რომ ჩინეთის ქუჩებში ერთ ცხოველსაც ვერ მოჰკრავ თვალს. საითაც უნდა გაიხედო, მხოლოდ ადამიანებს დაინახავ. თუ ამას გავითვალისწინებთ, აქაურობა ჩინეთზე ცოტა უკეთესია, რადგან ჩვენ ერთი უზნეო კატა გვყავს, რომელიც აივნის მოაჯირზე ჯდება ხოლმე და მესამე სართულის მეზობელსაც, წესით, თუთიყუში უნდა ჰყავდეს. ჩვენს ქუჩაზე ფრინველების მაღაზიაც არის.

ამ სახლში რომ გადმოვედით, გადაწყვეტილი მქონდა, რომ აქაურობა მომწონებოდა. ეს გადაწყვეტილება რომ არა, შეიძლება, ეს არასდროს მომხდარიყო. საშინელი ხმაური იყო და პირველივე დღეს, თითქოს, იმისთვის, რომ უკეთ გავცნობოდით გარემოს, ბატონმა ჰაშემიმ თავისი თოთხმეტი წლის ქალიშვილი გაწკეპლა და სალანძღავი სიტყვები, რომლებიც რამდენიმე ენის ნაზავი იყო, ჩვენს უკანა ეზოში დაყრილი კენჭებივით ამოანთხია.

დედა ამბობს, თქვენი უბანი განჯინას ჰგავს, ყველაფრის პოვნა შეიძლებაო. მართალია. ჩვენი ქუჩა ნამდვილი წყალობაა, რამდენიმე პურის საცხობი და ასობით მაღაზია. თავიდან ვერ ვწყვეტდი, რომელ მათგანში მევაჭრა, რომ სხვები არ გამენაწყენებინა. ბოსტნეულისა და ხილის დახლები იმდენია, ყველას ეყოფა.

მაგრამ ტროტუარები სერიოზულ ზიანს აყენებს ჩემს სიყვარულს. ისეთი ვიწროა, რომ ადამიანის მხარდამხარ ვერ გაივლი, ან წინ უნდა წახვიდე, ან უკან დარჩე. ან სწრაფად გავლა მოგიწევს, ან გზის დათმობა. თუ დაბლა დაიხედავ, ლაქებს დაინახავ. ტროტუარების ზედაპირი წყლის, ნერწყვის, ცხიმის ან დამპალი მწვანილის ლაქებითაა დაფარული. დანარჩენი კი ფსიქოლოგიის სტუდენტების საქმეა, რომლებსაც უყვართ, გაიგონ, რა ხდება ადამიანების წარმოსახვაში.

მაღლა იყურები და ფიქრობ, რომ ამ ხედს ფასდაკლებითაც ვერავის მიჰყიდი, სულ რომ ბევრ რამეზე დახუჭონ თვალი. გაჭვარტლული აივნები, თითქოს დაურეცხავად დაფენილი სარეცხის ხედით. დაბალმაღალი კორპუსები ერთმანეთთან ძალიან ახლოს დგას. ყველა ქუჩაზე რამდენიმე დაუმთავრებელი შენობაა, რკინის ძელების,

ცემენტის ტომრების, ურიკებისა და მიწით დატვირთული მანქანების ფარდაგით.

ყველგან ძველ სახლებს ანგრევენ და ახალ კორპუსებს აშენებენ. ნახევრად დანგრეული სახლების ეზოებში ვარდისა და იასამნის ბუჩქები იმდენად არის მტვრით და მიწით ამოგანგლული, რომ პოეტების მუზადაც კი ვეღარ იქცევა. ადგილ-ადგილ ძველი სახლების უკან ახალი სახლები ჩნდება, პატარა აივნებით და ორნამენტიანი რკინის კარებით. აქაურობა ჯაფარ აშეყის[1] ჰგავს, რომელსაც მზის სათვალე უკეთია და თმას კარგად იყენებს, მაგრამ ყოველთვის დახეული ფეხსაცმელი აცვია.

ქუჩის ბოლოს რომ პარკია, პირველივე კვირაში აღმოვაჩინე. ამ პარკში ადამიანები ხეებზე უხვად არიან. ადგილობრივი მოხუცები სკამებზე ჩამწკრივებულან, თითქოს, გამოფენაა და სპეციალურად გამოსვეს უფანჯრო ვიტრინაში.

როდესაც პარკში მივდივართ, უფრო სწორად, იმ სამკუთხა სივრცეში, ჩვენს ქუჩაზე რომ არის, ბავშვები პარკის ბოლოს საქანელებისა და სასრიალოსკენ გარბიან. იქაურობა ხმაურითა და ბევრი მტვრით ჯოჯოხეთის ერთ პატარა კუთხეს ჰგავს.

მე და ამირი დავხეტიალებთ და ერთმანეთის მომავალს ვეძებთ. მე ყოველთვის ყველაზე სიმპათიურ მოხუცებს ვირჩევ. არ მინდა, მელოტი და ბრუციანი მოხუცი დავანახო და ვუთხრა, ეს არის შენი მომავალი-მეთქი.

ჩემი ბერიკაცი ისეთი მოხრილი არ არის, რომ ხეების კენწეროებს ვერ ხედავდეს. მიუხედავად იმისა, რომ მკლავებში ღონე აღარ აქვს, მის გამოხედვაში, სქელშუშიანი სათვალის მიღმაც კი, ინტერესისა და ცნობისმოყვარეობის ნაპერწკალი ჩანს. მაგრამ ამირი იმ მოხუც ქალზე მანიშნებს, ქაღალდის ძველ, დაჭმუჭნილ კოლოფს რომ ჰგავს და მეუბნება, ასეთი იქნები ოცი წლის შემდეგო.

გზაჯვარედინამდე რომ მივდივარ, ანუ ჩვენი ქუჩის შემდეგ პირველ გზაჯვარედინამდე, ვფიქრობ, აქაურობა უფრო ინდოეთია-მეთქი, ქვეყანა, რომელიც სავსეა სხვადასხვა სურნელით, ადამიანების ცხვირებს რომ ავსებს და ყოველ ჩასუნთქვაზე იცვლება. სუნები ერთმანეთში ირევა და რამდენიმე წამით მათ ერთმანეთისგან ვეღარ ვასხვავებ. მაწვნის მაღაზიას გავცდი და შაჰინს ვეძახი. ახლა ვხვდები, რომ ძლიერი სუნისგან ცხვირის ნესტოები მიკანკალებს. ამ წუთას ადუღებული რძისა და შიგნეულობისგან მომზადებული კერძის სუნის ერთმანეთისგან გარჩევა, ჩემთვის გულისა და კუჭის ტკივილს შორის განსხვავების პოვნას ემსგავსება.

აქაურობა, გინდა ჩინეთი იყოს და გინდა ინდოეთი, ადამიანებითაა სავსე. უმეტესად ბავშვები არიან. იმდენი ბავშვია! ამირი ამბობს, ნარკომანები უფრო მეტნი არიანო. სადილის შემდეგ ქუჩა მალევე ივსება ადამიანებით. კიბეები და მანქანების გასაჩერებელი ადგილებიც გადავსებულია. სადარბაზოში განცხადება გაუკრავთ და ძვირფას მოქალაქეებს სთხოვენ, რომ შესვენების საათებში ბავშვების ეზოში გაშვებისგან თავი შეიკავონ. კორპუსის თავმჯდომარე ამბობს, ყოველთვე ახალ ქაღალდს ვაკრავ და იმწამსვე ხევენო. იცინის, თვითონ სამი ბავშვი ჰყავს.

.....

ჩვენი ბინის ფართობი ორმოცდაათი კვადრატული მეტრია, ქალაქის ზედა ნაწილში მდებარე მომცრო სახლის ბაღის ზომისაა. ამიტომ მეუბნება ამირი, ამდენჯერ ნუ იმეორებ, ჩემი სახლი, ჩემი სახლიო.

ეს მეცხრე ბინაა, რომელშიც გადმოვედით და ისეთი შეგრძნება გვაქვს, როგორიც წინა შემთხვევებში არ გვქონია. ამირს არათუ ამაზე საუბრის, არამედ ამ განცდისაც კი რცხვენია.

მე კი მინდა, რომ ჩვენს სახლზე ვილაპარაკო, ბინაზე, რომელიც არცერთი მფლობელისგან არ გვაქვს ნაქირავები. სახლის მეპატრონე ეშმაკი არ არის, მაგრამ მასავით შეუძლია ადამიანის სულის დასაკუთრება.

[1] განასახიერებს ისეთ ადამიანს, რომელიც გარეგნულად კარგად და მოწესრიგებულად გამოიყურება, მაგრამ დაკვირვების შემდეგ მალევე ნათელი ხდება, თუ რამდენი პრობლემა აქვს რეალურად.

ახლა თავისუფლად შეგვიძლია, ჩვენი ნივთები ისე გადაავადგილოთ, რომ კედელზე მირტყმის არ შეგვეშინდეს. ბავშვებს შეუძლიათ, ხმამაღლა ილაპარაკონ, ითამაშონ, იყვირონ და ირბინონ კიდეც. მეც შემიძლია, რომ უკიდურესად ღარიბული ცხოვრებისთვის დამახასიათებელი, ბავშვების გაჩუმების, ჩვევა სამუდამოდ დავივიწყო.

თავისუფლებას ვგრძნობ და ამაზე ვლაპარაკობ, მაგრამ ამირი უფლებას არ მაძლევს, ეს მნიშვნელოვანი სიტყვა ასეთ პატარა და უმნიშვნელო განცდებთან მიმართებით გამოვიყენო. თავისუფლებას საერთაშორისო დონეზე და ისტორიულ ჭრილში აქვს მნიშვნელობა, მაგრამ უშნო, ორმოცდაათ კვადრატულ მეტრიან სახლში, ერთ ხმაურიან უბანში, მესამე სამყაროს ერთ-ერთ ქვეყანაში... აჰ, როგორ შემიძლია ასეთი უგუნური ვიყო?!

სანამ ამირი სახლშია, უფლება არ მაქვს, უჭკუო ვიყო. ამიტომ ვითმენ, სანამ სახლიდან გავა.

უკანა ეზოს ულბოს[1] სურნელი ავსებს. ზემოთა სართულის მეზობელს მწვანილის დასაქუცმაცებელი მანქანა აქვს, რომლითაც კილოობით მწვანილს ჭრის. რამდენიმე კვირა დამჭირდა, რომ ამ სუნს შევგუებოდი. სახლის ფარდები ჩემზე ადრე მიეჩვივნენ, ქსოვილის სურნელის ნაცვლად ულბოს სუნი ასდით.

სამზარეულოში სკამზე ვჯდები და ცარიელ ეზოს გავყურებ, რომელიც სინამდვილეში არასოდეს არის ცარიელი და სუნებით, ხმებითა და კოლოებითაა სავსე. კედლები ცემენტის არის და სამზარეულოს შუშის კარის ზემოთ სამი ერთნაირი ფანჯარაა. საწყენია, რომ ცა შორსაა. კისერი ძალიან უნდა დაიგრძელო, რომ მისი ერთი ნაგლეჯი დაინახო. ბევრი რამ გავაკეთე იმისათვის, რომ ეს უკანა ეზო გამელამაზებინა. პატარა ტენტი დავკიდე, მინის კარის თავზე კაშკაშა სანათი დავამაგრე, რამდენიმე ქოთანი დავდგი და ბავშვებმა კედლებზე ათასი ხარახურა ჩამოკიდეს.

უნდა ავდგე და შუქი ავანთო. სახლში სინათლე არასწორად ნაწილდება, სამზარეულოში უკვე დაღამდა, შემოსასვლელში საღამოა და საძინებელში – დღე. შადის და შაჰინს ვეძახი. სად გაქრნენ? პირველ კვირებში განცდილი უცხოობისა და ცემა-ტყეპის შემდეგ, ახლა უკვე სახლში აღარ ჩერდებიან. მათ წასვლასთან ერთად თითქოს ყველა ხმა გაქრა. იშვიათად ხდება, რომ საღამოს ამ დროს სახლში ხმები არ ისმოდეს. ეს ის მარტო ყოფნა არ არის, ყოველდღე რომ ვნატრობ ხოლმე, უფრო სრულ სიმარტოვეს ჰგავს. თითქოს ყველამ მიგატოვა და წავიდა.

ფეხს ფეხზე ვიდებ და უკანა ეზოს ცემენტის კედელს ვაშტერდები, ახლოს რომ დგას. ვერ ვწყვეტ ფიქრს კედლის გაგრძელებასა და ფანჯრებზე, საიდანაც მხოლოდ საჭმლის სუნი შემოდის. რა ხეირის მომტანია კედლის ყურება? ჯობს, სკამი მოვაბრუნო. ზოგჯერ სკამის ოდნავ შეტრიალებით შეიძლება ადამიანმა თავი უკეთ იგრძნოს.

ზუსტად ამ დროს ხმა მესმის. ამ სახლს წინა სახლებისგან ის განასხვავებს, რომ კედლები სიცივესა და ნესტს არ ატარებს, მხოლოდ ხმებს. ამ სახლის არცერთი კედელი, სინამდვილეში, კედელი არ არის, მხოლოდ გაჯის ფენაა, რომელიც სხვების ცხოვრების ხმებს ინახავს, რათა საჭირო დროს გააჟღეროს. აქ კედელზე ყურის მიდება საჭირო არ არის. მოგუდული და დაბალი ხმებიც კი შორიდანვე გესმის.

მაგრამ ეს ხმა ამქვეყნიურს არ ჰგავს, თითქოს სხვა სამყაროდან ისმის, ცის იმ ძალიან შორეული ნაფლეთიდან. გულის ფეთქვის ხმას ჰგავს. ჩანაწერი არ არის, ცოცხალ ხმას ჰგავს. დაფის ხმაა, ვიღაც დაფზე უკრავს. ეს კორპუსი და დაფი? ხმა უფრო ძლიერდება, ყველაფერზე ხმამაღალი ხდება.

ფეხზე წამოვხტი და სკამი მოვისროლე. უკანა ეზოში სულიერი არ ჭაჭანებს. კედლები უკან დაწეულან. დაფის ხმა მეოთხე სართულის ფანჯრიდან ისმის. ხელებს და მკლავებს ვამოძრავებ და ვტრიალებ, თან მეოთხე სართულის ფანჯარას ვუყურებ, რომელიც უკვე აღარ ჰგავს სხვა ფანჯრებს.

თვალებს ვხუჭავ და საკუთარ გულის

[1] ულბო – იგივე შამბალილა (ბოტ.).

ხმას ვაყურადებ. როდესაც თვალებს ვახელ, შადისა და შაჰინს ვხედავ, რომლებიც სამზარეულოს შუაში დგანან და პირდაღებულები მიყურებენ.

.....

ამირი ამბობს, სახლი უნდა გავყიდოო.

არ მიყვარს წინადადებები, რომლებსაც შესავალი არ უძღვის წინ. ყოველთვის შემზადება მჭირდება. არ შემიძლია წინასწარ მოუმზადებლად რამის გაკეთება. ამის გამო ყოველთვის ოდნავ უკან ვრჩები. ქორწილსა და პანაშვიდზეც ვიგვიანებ. დედა მეუბნება, ქორწილის შემდეგ ვიღას სჭირდება ინით შეღებვაო. ამირი ამბობს, ვისაც ნიშნების შემჩნევა არ უნდა, მოვლენების გადამუშავება ერთბაშად მოუწევსო. ახლა მე მაქვს გადამუშავების პრობლემა. ამირის სიტყვებს ვერ ვიგებ.

რაც ამ სახლში გადმოვედით, პირველად ამბობს ამ სიტყვებს. გაყიდვა ამ სახლიდან გადასვლას ნიშნავს, მაგრამ ეს ბინა ახლახან ვიყიდეთ, ჯერ ერთი წელიც არ გასულა.

ყველა ავტოსადგომზეა შეკრებილი. კაცი, რომელიც შემდეგ კორპუსის თავმჯდომარე გახდება, ერთმანეთის გაცნობის მიზნით, ყველას სთხოვს, თქვან, ბინის მეპატრონეები არიან თუ მდგმურები. როცა ჩემი ჯერი მოდის, ვამბობ, რომ მეპატრონე ვარ და მიკვირს, რა ტკბილია ამის თქმა. მაღლა ავდივარ და სიტყვას იმ შოკოლადის ნატეხივით ვაგემოვნებ, რომლის კაკაოც პირს ერთბაშად გივსებს. მეპატრონე. ღმერთო ჩემო, მეპატრონე ვარ, მეპატრონე.

ეს სიტყვა თავს დიდ ადამიანად მაგრძნობინებს. უსუსური აღარ ვარ. უსახლკარო აღარ ვარ. ეს კედლები ჩვენია, ეს კიბეებიც, აბაზანა და საპირფარეშოც. ამ ერთი სიტყვის მაგია დიდხანს რჩება ჩემთან. ვერ ვიჯერებ, რომ ერთმა სიტყვამ შეიძლება ადამიანს ეს შეგრძნება გაუჩინოს. არც კი ვიცოდი, რომ მეპატრონეები ასეთ სიამეს განიცდიან.

– გესმის, რას გეუბნები? სახლს ვყიდი. ფული მჭირდება. ამ დღეებში სააგენტოდან მოვლენ დასათვალიერებლად.

ასაკის მატების ერთ-ერთი უპირატესობა ის არის, რომ უცებ აღარ ვფეთქდები. ამის ნაცვლად, რამდენიმე წამის განმავლობაში შესაძლო ქმედებებიდან ერთ-ერთს ვირჩევ. ფეხზე წამოდგომა და ყვირილი არ არის საჭირო. შემიძლია, ვიჯდე და სახლი ისე დავიცვა.

– სახლს არ გაყიდი.

ჩემი ხმა მომწონს, არ კანკალებს, მტკიცეა და მშვიდი.

.....

მე მივდივარ. ის მიდის. ჩვენ მივდივართ. წასვლა არის ერთადერთი ზმნა, რომელსაც ამირი მუდმივად იმეორებს.

ჯანდაბა ასეთ იღბალს! ერთ ადგილზე ცხოვრების გემო ჯერ არც კი გაგვიგია, რომ ის უკვე მიდის. შაჰლა ამბობს:

– ამირის სპილოს ისევ ინდოეთი მოაგონდა[1].

მე ვეუბნები, რომ სპილო არ არის, მარტორქაა. მარტორქები ყოველთვის მარტო დადიან. ნეტავ, მეც მყოლოდა სპილო, რომელიც ინდოეთზე ან რომელიმე ახლომდებარე ადგილზე იოცნებებდა.

ამირი მომავლისკენ მიდის, მომავალი უყვარს, წარსული არ მოსწონს, განსაკუთრებით, ასეთი გოგოური წარსული, რომელშიც არც კედლებზე ხტომის, არც ველოსპედის ტარების და არც უბანში ფეხბურთის თამაშის ისტორიები არ არის. წარსული, სავსე ჩურჩულითა და სახლობანას თამაშით. წარსული, რომელიც ბნელ სარდაფებსა და ფარდულებში სრულდება. ამირი მზად არ არის, რომ ჩემთან ერთად თუნდაც ერთი ნაბიჯით დაბრუნდეს უკან.

არც მე მიყვარს წარსული, თუმცა, სამწუხაროდ, მას ვუყვარვარ. ზოგჯერ ეს წარსული მხეცივით ჩამომეკიდება ხოლმე ზურგზე და დაბლა ჩამოსვლაზე არც კი ფიქრობს. ვფიქრობდი, რომ ამირზე დაქორწინების შემდეგ მის მიწაზე ჩამოგდებას

[1] სპარსული გამოთქმა, რომელსაც იყენებენ მაშინ, როდესაც ადამიანს საკუთარი წარსულიდან რომელიმე ეპიზოდი ახსენდება და იმ დროში დაბრუნების სურვილი უჩნდება.

შევძლებდი. მინდოდა, ქალწულობის დაკარგვასავით ადვილად დამეხსნა თავი მისი სიავისაგან.

ზუსტად ამიტომ იყო, რომ ერთ ღამეს, როცა გამბედაობამ და ქალწულებრივმა გულწრფელობამ გაიმარჯვა, ამირს ზურგზე მომჯდარ მხეცზე მოვუყევი. თავს იმ კუზიანად ვგრძნობდი, რომელსაც თავისი კუზის საიდუმლოს გამხელა სურს. ამირმა ბუტბუტი შემაწყვეტინა. ვინმე მყვარებია მის გამოჩენამდე? კითხვაზე პასუხი მიიღო და ბედნიერი კაცივით მშვიდად გაიშხლართა. მაგრამ მე ჩემი სათქმელი არ დამისრულებია. თქმას ვაპირებდი, როდესაც ძილმორეულმა ამირმა პირზე ხელი დამადო და გამაჩუმა.

– მნიშვნელობა არ აქვს, გყავდა თუ არა სხვები და არც იმას, თუ რა გააკეთეს მათ. მხოლოდ შენ ხარ მნიშვნელოვანი და დღეიდან სამუდამოდ ჩემი იქნები.

მისი ეს ჟესტი მომხიბვლელი იყო, მაგრამ ამ მოსიყვარულე ტონს მიღმა უხალისობაც იგრძნობოდა. მივხვდი, რომ ის ჩემთან ერთად არსად წამოვიდოდა. გავშრი და ჩემსა და ამირს შორის სივრცე სიმარტოვისა და იმედგაცრუების განცდამ აავსო. დიდ დროს უნდა გაევლო, რომ ერთმანეთი მშვიდად გაგვეშვა და თითოეულ ჩვენგანს ზმნა „წასვლა“ მხოლოდ საკუთარ თავთან მიმართებით გამოგვეყენებინა.

II

დედა დაუმშვიდობებლად წავიდა სახლიდან. შეიძლება, ისე ცუდად იყო, რომ დაავიწყდა დამშვიდობება, ან ახსოვდა, მაგრამ განგებ მოიქცა უყურადღებოდ. ზუსტად კართან მართკუთხა ფორმის სარკე კიდია და მასში დავინახე ამირის შეურაცხყოფილი მზერის ანარეკლი. მას დედაჩემი არ უყვარს და ასეთ მომენტებში სძულს კიდეც. დედა ამას ხვდება. ვიცი, ჩვენი სახლიდან ისე მიდის, რომ ეს ყველაფერი იცის.

ამ საღამოს დედა ერთი საათის განმავლობაში ათჯერ მაინც გავიდა საპირფარეშოში და იტირა.

– წვნიანში ქაშქი[1] არ უნდა გაგერია, წნევა ამეწია.

შემამცივნაო, და მოსასხამი მხრებზე მოიხვია:

– სახლში რომ ვიყო, პიტნის ჩაის დავაყენებდი, შეიძლება შემცივდა.

უსიტყვოდ გავედი სამზარეულოში და მერე ისევ ოთახში დავბრუნდი, მაგრამ სინამდვილეში პიტნასა და მის მაღალ წნევაზე ვფიქრობდი. არაფერი მითქვამს. ზუსტად მაშინ ჩემს დუმილზე დავფიქრდი. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ნათხოვარი ტანსაცმელი მეცვა და ერთბაშად გავაცნობიერე ეს.

გამახსენდა, რომ ჩემს დუმილს თავისი ისტორია აქვს და ამის გამო რამდენჯერმე შემაქეს კიდეც.

შვიდი-რვა წლის ვიყავი, როცა მივხვდი, რომ ეს ყველა ბავშვს არ აქვს. დუმილი ჩემს პირველ საკუთრებად ითვლებოდა. ერთ დღეს მამაჩემმა სარდაფში ჩამიყვანა და მკითხა:

– გუშინ დეიდა მაჰბუბთან ერთად სად წახვედი?

დავმუნჯდი, მაგრამ არა იმიტომ, რომ ჭკვიანი ვიყავი, უბრალოდ, შემეშინდა. ინსტინქტმა მიკარნახა, რომ იმ კითხვაზე პასუხს, რომელსაც ადამიანს ბნელ სარდაფში უსვამენ, უბედურება მოაქვს. მამამ დაეჭვებულმა შემომხედა.

ცბიერ და მზაკვარ პატარა გოგოს საერთოდ არ ვგავდი და რადგან არც თავად იყო ის ადამიანი, რომელიც უცებ არ ნებდება, ძალიან მალე იმედი გადაეწურა და სარდაფიდან გარეთ გავიდა. საჩუქარმა, რომელიც ერთი საათის შემდეგ დედაჩემის ალერსიანი ტონის სახით მივიღე, უბრალო და ლაჩრული საქციელი – ენაზე კბილის დაჭერა, მრავალმნიშვნელოვან და ბრძნულ დუმილად აქცია.

მომდევნო წლებში რამდენჯერმე დავიმსახურე ქება ოჯახის წევრი ქალებისგან ჩემი ჩაკეტილობისა და საიდუმლოების შენახვის უნარის გამო. მალევე მივხვდი, რომ საგულდაგულოდ ჩაკეტილ და საიდუმლოებით სავსე სკივრს ვემსგავსებოდი.

ჯერ დეიდა მაჰბუბმა თქვა და მერე სხვებმაც გაიმეორეს, რომ, თუ საიდუმლოს

[1] გამომშრალი მაწონი ან დო.

ფარდა აეხდებოდა და რამე გამჟღავნდებოდა, ყველა მაჰინისკენ დაიწყებდა ყურებას. მე კი ყველა საეჭვო მზერისგან დაცული ვიყავი.

მამაჩემის სიკვდილის შემდეგ დუმილი დავარღვიე და თან ყვირილით. ჩემი მუდმივი როლის წინააღმდეგ ამბოხი მოვაწყვე. მინდოდა, ადამიანებს და მთელ ქვეყანას ყველაფერი გაეგოთ. არავის, მათ შორის, არც დედის, დანაშაულში თანამონაწილეობას აღარ ვაპირებდი და ამიტომ ავყვირდი. მამაჩემი მარტო მოკვდა და ბავშვს დაემსგავსა. ეს მტანჯავდა. დედაჩემმა ყვირილზე ყვირილითვე მიპასუხა. შაჰლამ და მაჰინმა დედას დაუჭირეს მხარი. მითხრეს, რომ გავგიჟდი და ჯობს, ენა ჩავიგდო, მაგრამ მე ისევ ვყვიროდი. მამაჩემი ბავშვივით მოკვდა, თავი ოდნავ ჩამოუვარდა ლეიბიდან და ასე გარდაიცვალა. მაჰინი იძულებული გახდა, ჩემთვის სახე დაეკოცნა და ხვეწნამუდარით სარდაფს მოვეშორებინე. მამასთან ისე ახლოს არასდროს ვყოფილვარ, როგორც მისი სიკვდილის დღეს.

შაჰლა მეუბნებოდა:

– თუ გაიხსენებ, როგორი მჩაგვრელი და მოძალადე იყო, მოგეშვება.

მაგრამ მე მაინც ვყვიროდი, თუ მოძალადე იყო, ისეთი სიკვდილი რატომ არ ერგო, როგორითაც მოძალადეები კვდებიანმეთქი. დედაც ყვიროდა. ყვირილში გატარებულმა იმ დილამ ყველა იმედი წამართვა. მივხვდი, რომ მე და დედაჩემი არასოდეს ვეტყოდით ერთმანეთს ჩვენს სიმართლეს.

მამას სახლიდან ამირთან რომ გადავედი საცხოვრებლად, საიდუმლოებით სავსე სკივრის როლი დავკარგე. ჩემი დუმილი ამირს მოთმინებას აკარგვინებდა. უნდოდა, მისთვის მომეყოლა, რა ხდებოდა მთელი დღის განმავლობაში, უბანში მომხდარ ამბებზე მელაპარაკა, ასევე, შაჰლასა და მაჰინზეც. ახალ ცხოვრებაში საიდუმლოების ადგილი აღარ იყო. საიდუმლო ჩვენს შორის დისტანციას აჩენდა და ეჭვებს აღვივებდა. თუ რამე საჭირო დროზე გვიან გაირკვეოდა, ჩხუბი გარანტირებული იყო. ამირს უნდოდა, რომ ყველაფერი გამჭვირვალე ყოფილიყო. ჩემი სიჩუმე მას აშინებდა. თანდათან ბევრ ლაპარაკს მივეჩვიე, ისეთ დროსაც კი, როცა ეს საჭირო არ იყო. წლების მერე ვისწავლე, რომ ზოგჯერ საუბარი დუმილზე უკეთესი სამალავია.

მაგრამ, მიუხედავად მრავალწლიანი მცდელობისა, ჩემი შინაგანი დიალოგები სრულად არასოდეს გამიმჟღავნებია. ისევ ჩუმ, უთქმელ ადამიანად მთვლიან. დედა მეუბნება:

– სულ იმ ცხონებულს დაემსგავსე, ადამიანს ორ სიტყვასაც კი არ ეტყოდა.

ორივეს ერთდროულად გვახსენდება, რომ მამა ბოლო დღეებში ლაპარაკობდა, თანაც, საკმაოდ ბევრს. დედა იხსენებს:

– ჯამში ორ სიტყვას.

ამ საღამოს დედასთვის პიტნის ჩაი არ დავაყენე, არც მაშინ, როცა თქვა, ღმერთო, წნევა ამეწიაო.

არ მითქვამს, შეგიძლია, წამალი დალიო-მეთქი. შაჰლა ამას ეტყოდა. დაკავებული ვიყავი. მაცივრის კარი სუფთა იყო, მაგრამ მე მაინც ჩვარი გადავუსვი და მერე გაზქურას მივადექი ძველი ლაქების მოსაშორებლად. მაშინვე ვიცოდი, რომ რამე უნდა მეთქვა, თუნდაც უადგილო და სულელური.

ცხელ ამინდში რომ მოტკეცილი შალის ტანსაცმელი გეცვას, ისე მტანჯავდა ჩემი დუმილი. მინდოდა, ტანიდან მომეშორებინა. დედა ტიროდა და ისე იცვამდა ფეხსაცმელს, მე კი ისევ არ შემეძლო იმ როლის შესრულება, რომელიც თავად ვიტვირთე. იქვე, კართან გავჩერდი. იქნებ ყველაფერმა თავისი ბუნებრივი ფორმა მიიღოს, მათ შორის, დედისა და ქალიშვილის ერთმანეთთან დამშვიდობებამაც. სამყაროს ეს ძველი წესი მალამოსავით მჭირდებოდა ტკივილის დასაამებლად, მაგრამ დედა კიბეზე გაუჩინარდა და უკან არც მოუხედავს.

.....

დედა არ ტირის, როცა რამე სტკივა. თუ ტელეფონი ბევრჯერ რეკავს, ან ტელევიზორი ძალიან ხმამაღლაა ჩართული, მაშინ ეტირება. მაშინაც ტირის, როცა სცივა და რამდენიმე მოსასხამში გახვეულსაც აკანკალებს, ან როცა ოფისიდან დაბრუნებული შაჰლა პირდაპირ თავის ოთახში შედის. საპირფარეშოში რომ მიდის, თითქოს ცისტი-

ტი ჰქონდეს, ისე ქვითინებს. დედა ძილშიც ტირის.

მისი ტირილი სიბერესთან არაა დაკავშირებული. როცა მამას სტუმრები მოჰყავდა და მას ვახშმის გაკეთებას ავალებდა, დედას ქვითინის ხმა სარდაფამდეც აღწევდა, ოთახებშიც ისმოდა და ეზოშიც. ამ დროს მამა აუცილებლად რამეს ისროდა, რომ კედელს მოხვედროდა და ტირილის ხმა შეწყვეტილიყო.

მაგრამ ხმა არასოდეს გაჩუმებულა. მამამ ჯერ ფირსაკრავი გაყიდა, მერე რადიო იყიდა და ხმას აუწია, მაგრამ ტირილი მაინც არ შეწყვეტილა. დედას ეს ხმა თან სდევდა, თითქოს თავისით მომუშავე ელექტრომოწყობილობას დაატარებდა.

როცა მამა მიდიოდა, ტირილის ხმა იკლებდა. ჩვენი ყურები ყურებს აღარ ჰგავდა, ხორცის უბრალოდ რბილი ნაჭრები იყო, რომლებიც თავზე გვერდებიდან გვქონდა მიბმული და ზუსტი ფუნქცია არ გააჩნდათ.

მას შემდეგ, რაც მამა სახლში დაჯდა, დედამ ტირილს მოუმატა, თითქოს ახლა ამას უკვე განზრახ აკეთებდა. ეს ტირილის ხმას აღარ ჰგავდა. სიძულვილი, ზიზღი და ტკივილი იყო. სხეულში ელექტროდენივით დაგივლიდა და მაშინვე სისხლს გაგიყინავდა. ისეთი დაჟინებული ხმა იყო, რომ მისი გადაფარვა არც მამას ყვირილს, არც აუზში წყლის ჩხრიალს, არც წვენის ჭიქების ერთმანეთზე მიჭახუნებას და არც დეიდა მაჰბუბის სიცილს არ შეეძლო.

მამამ სარდაფს შეაფარა თავი და სიცოცხლის ბოლომდე იქ დარჩა. დედას ტირილმა კედლებში, კარებსა და ჩვენს სხეულებში გაიარა და ჩვენსავე სიზმრებში გაგრძელდა.

.....

პრობლემა ის იყო, რომ მამას ჯანმრთელი გული ჰქონდა, მაგრამ ფეხებს ვერ ადგამდა, ტვინი სწორ ბრძანებას არ აძლევდა. მეტყველება უჭირდა და გონება გაფანტული ჰქონდა. ამ არეულობაში კი მისი გული იმ მეთაურს ჰგავდა, ომის დასრულების შემდეგაც რომ არ ტოვებს ბრძოლის ველს და ამაოდ ყვირის.

როცა პირველად დაიკარგა, იმის გამო, რომ, რაც პირველად ხდება, ყველაფერი კარგია, მამაც რამდენიმე დღით ძვირფასი გახდა. მისი დაკარგვის ამბავი ყველას მოვუყევით და თავად მან ყველაზე მეტი იცინა, მაგრამ, როდესაც მეორედ მოხდა იგივე, სიცილის თავი აღარავის ჰქონდა. მასზე უფრო მოხუცმა კაცმა მოიყვანა სახლის კარამდე და განმკიცხავი ტონის თანხლებით ჩაგვაბარა. შარვალი სველი ჰქონდა და, როგორც იმ კაცმა გვითხრა, გზაზე ეგდო.

მომდევნო შემთხვევებშიც გზაზე გასვლის სურვილმა გამოიყვანა ნახევრად ბნელი სარდაფიდან. შაჰლამ ფურცელზე სახლის მისამართი დაწერა და მამას კოსტიუმის ჯიბეში ჩაუდო. მამამ შაჰლას ნამდვილი ჯენტლმენივით გადაუხადა მადლობა.

მერე გვითხრა, ის ჯოხი მომეცითო. თავის ხელჯოხს გულისხმობდა. კართან მისული უკან მობრუნდა და თქვა, იმის წაღება დამავიწყდა, ორი შუშა რომ აქვს და თვალებზე იკეთებენო. მაჰინმა სათვალე მიაწოდა. მამას ლაპარაკი თავსატეხს ჰგავდა და ყველა ჩვენგანს უყვარდა დანარჩენებზე ადრე მისი გამოცნობა, მაგრამ ძალიან მალე ეს ჩვევაც მოძველდა და მისი ცხოვრების ბოლო დღეების თავსატეხები აღარასოდეს ამოხსნილა.

.....

დეიდა მაჰბუბს შვილი არ ჰყავდა. ზოგჯერ მის ცხოვრებაში ბავშვის ყოლის საჭიროება ჩნდებოდა და დედას სთხოვდა, რომ ერთ-ერთი ჩვენგანი დროებით მისთვის ეთხოვებინა. შაჰლა ძალიან დიდი იყო და ბავშვი აღარ ეთქმოდა. შეიძლება, ადრე ის ასრულებდა დეიდა მაჰბუბის შვილის როლს. მაჰინი ძალიან უზნეო და ჯიუტი იყო. მე დანარჩენებზე მეტად ვერგებოდი ამ როლს.

დეიდა მაჰბუბს, პირველ რიგში, აბანოში მივყავდი. ძლიერ ფეხებს შორის მომიქცევდა და თავს ისე მბანდა, თითქოს შიგნით რბილი არაფერი იყო. ამას მთელი ძალით აკეთებდა. ტანსაცმელს მიცვლიდა და მეუბნებოდა, დედაშენი ფეთხუმიაო. რამდენიმე საათში ისე ვიცვლებოდი, რომ აღარ ვიცოდი, ამ ახალ „მეს“ რა უნდა გაე-

კეთებინა. დეიდასაც ეს უნდოდა, რომ ძველი ჩვევები ჩამომერეცხა და თავისი წესებით გავეზარდე. მასწავლიდა, როგორ მეჭამა, ჭამის შემდეგ როგორ გადამეხადა მადლობა ისე, რომ ჩემი ხმა გაეგოთ, როგორ დამებანა საპირფარეშოში შესვლის შემდეგ, რომ სუნი არ ამსვლოდა.

ჩემთვის სწავლებას რომ დაასრულებდა, დეიდა მაჰბუბი ნებას მრთავდა, მაგიდიდან რამდენიმე შოკოლადი ამეღო. მეუბნებოდა, აქ თავი, როგორც საკუთარ სახლში, ისე იგრძენიო.

ეს მეც მინდოდა, მაგრამ არ გამომდიოდა, იქ ჩემი სახლი არ იყო. ბიძია ყადირი, მოხუცი კარისკაცივით, ნახევრად გახელილი თვალებით მუდამ ფხიზლად იყო. დღედაღამ ყალიონს ეწეოდა და მას მხოლოდ მაშინ იღებდა პირიდან, როდესაც დეიდა მაჰბუბის სიტყვები უნდა დაემოწმებინა, ან ჩემთვის თვალი ჩაეკრა, რაც სულაც არ იყო მამობრივი საქციელი. თითქოს პირიდან ყალიონის გამოღების გარეშე ვერ გააკეთებდა ამ ყველაფერს.

ბიძია ყადირი არ იყო ერთადერთი ადამიანი, რომელიც დეიდა მაჰბუბს მონასავით ემორჩილებოდა, სხვაც ბევრი იყო ისეთი, ვინც დეიდას სიტყვებზე სულელივით იღიმებოდა და თავს უმიზეზოდ აქნევდა.

დეიდამ ბევრი რამ იცოდა, მათ შორის, წამლების კეთება, მკითხაობა, შელოცვა და ჯადოქრობა. ამავე დროს, სიცილი და ცეკვაც გამოსდიოდა. მეზობლები მის სანახავად მოდიოდნენ. მასთან დედაჩემიც კი რამდენიმე საათით აჩუმებდა თავის ტირილის მანქანას და ახალგაზრდად და მხიარულად გამოიყურებოდა. დეიდა ისე აშინებდა ბიძია ყადირს, მისი ერთი მზერა საკმარისი იყო საიმისოდ, რომ მას საკუთარი წარმომავლობა დაევიწყებინა და თავი ინდოელად გამოეცხადებინა. დეიდა აიძულებდა, რომ პირში მუდმივად ყალიონი ჰქონოდა გაჩრილი და ბიძია მისი სიტყვების დასამოწმებლადაც კი არ სწევდა თავს მაღლა.

დეიდა მაჰბუბს შეეძლო, სადაც უნდოდა, იქ წასულიყო. დედა ასე ვერ მოიქცეოდა და ამის გამო ყოველთვის შურდა მაჰბუბის. დეიდასა და მამას მოგზაურობიდან დაბრუნება ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდებოდა. მამა თან გზის მთელ მტვერს ჩამოიყოლებდა ხოლმე, მერე შუა ოთახში ჩამოიფერთხავდა და გვეუბნებოდა, რომ მისთვის მკერდზე წყალი შეგვესხა და ხელებსა და ფეხებზე მასაჟი გაგვეკეთებინა. სახლი ოფლის სუნით ივსებოდა. დედას მანქანისთვის განკუთვნილი ჩვრები და, ასევე, ჭურჭელი უნდა დაერეცხა, საიდანაც თითქოს ძაღლებს ეჭამათ.

დეიდა მაჰბუბს თან ისეთი რამეები ჩამოჰქონდა, სუნამოსა და უცნობი სამყაროს სურნელი რომ ასდიოდა. დეიდა მაჰბუბი გულუხვი და უშიშარი იყო. დედა ამბობდა, მაჰბუბი მამაცია, კედლებს ახტებოდა, უბნის ბიჭები მას ემორჩილებოდნენ, ჩემსავით ნეხვი არასდროს ყოფილაო.

როდესაც დეიდა მაჰბუბთან ერთად პირველად წავედი კინოში, ერთდროულად ორი ფილმი ვნახე, ერთს მთელი სახით ვუყურე და მეორეს – ნახევრით. ვერცერთი მათგანიდან ბევრი ვერაფერი გავიგე. როცა დედას და შაჰლას მოვუყევი, შაჰლამ ის ფილმი გამოიცნო, რომელსაც მთელი სახით ვუყურე და დედამ – მეორე, ის, რომელსაც ნახევრად ვუყურებდი. იმ საღამოს დეიდა მაჰბუბმა პირველად დამაბრუნა სახლში.

– ჭორიკნები არ მიყვარს.

ხელი დამადო ბრტყელ მკერდზე და მითხრა:

– ქალმა უნდა ისწავლოს, რომ ყველაფერი აქ შეინახოს. გაიგე?

ეს უკვე მესმოდა.

სპარსულიდან თარგმნა
ანი ლაზვიაშვილმა

ყოლამრეზა რაფიი
(დაიბ.1968 წ.)

ირანში, ბოინ-მიანდაშთში დაბადებული, წარმოშობით ქართველი, მწერალი და პოეტი ყოლამრეზა რაფიი არის ისპაჰანის უნივერსიტეტის გეომორფოლოგიის მაგისტრი. ცხოვრობს ქ. ყუმში, სადაც წლების მანძილზე ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას. 2018-2021 წლებში სპარსულ ენაზე გამოქვეყნებული აქვს 2 პროზაული და 4 პოეტური კრებული. მასვე ეკუთვნის სამი გამოუქვეყნებელი პოემა („სად ვიყავით“, „აწყა ჯერაც“, „მარჭაკლობა“) და ლირიკული ლექსები ქართული ენის ფერეიდნულ დიალექტზე.

ყ.რაფიის პროზაული ნაწარმოები „რა სარგებელი ვნახე მამაჩემის შეიხობიდან“ ჭეშმარიტი რწმენის თემას ეხება. ავტორი ზომიერი ირონიით ემიჯნება რწმენისადმი დოგმატურ და ფანატიკურ მიდგომას, რაც კარგად ჩანს წარმოდგენილ ნაწარმოებში. ტექსტში ჩართულია ციტატები ყურანიდან და სხვადასხვა რელიგიური ტრაქტატიდან, ასევე არაკები საადის „გოლესთანიდან“.

რა სარგებელი ვნახე მამაჩემის შეიხობიდან?

(ამონარიდები)

შესავლის მაგიერ

მას შეიხს უწოდებდნენ, ჩემში კი შეიხის ვაჟიშვილს ხედავდნენ. თუმცა უნდა ითქვას, რომ იგი, ანუ მამაჩემი, სულაც არ ჰგავდა იმ შეიხებს, რომლებიც ყუმიდან ჩამოდიოდნენ ჩვენს ქალაქში ხალხის დასამოძღვრად. მას არ გააჩნდა შეიხებისათვის დამახასიათებელი არცერთი თვისება და მეც მიკვირდა, თუ რატომ იყო ის შეიხი, ანდა რანაირი შეიხი იყო, რომელიც არცერთ შეიხს არ ჰგავდა.

ფეხბურთისაგან მოკვეთა მამაჩემის შეიხობის გამო

კიდევ ერთი რამ მერგო მამაჩემის შეიხობის წყალობით: როგორც კი ფეხბურთის თამაშისას დამინახავდნენ, ეგრევე იწყებოდა ჩემი გაკიცხვა და დატუქსვა.

ჩემი ქალაქის მცხოვრებნი შეიხის შვილის ბურთაობას საძრახის და მამამისის მდგომარეობისა და მისი პიროვნებისათვის შეუფერებელ საქმიანობად მიიჩნევდნენ.

თითქოს ამ თამაშში ჩემი მონაწილეობა მათში აღვივებდა პროტესტთან ნარევი გაკვირვების გრძნობას და ჩემკენ მომართავდა მათი რჩევა-დარიგებების ნიაღვარს, რათა მიმეტოვებინა ეს უკეთური საქმე და წესიერი საქმისაკენ მექნა პირი.

თუ დაცვაში ვერ ვივარგებდი და ამის გამო მეტოქე ჩვენს კარში გოლს გაიტანდა, ეს შეიხის შვილობას და ამ საქმეში, ანუ ფეხბურთში, ჩემს უვარგისობას ბრალდებოდა.

და თუკი ჩემი სათანადო ქმედების შედეგად ჩვენი გუნდი გოლს გაიტანდა, მაინც მკიცხავდნენ ასეთი სიტყვებით: შეხედეთ ამ შეიხის ბიჭს, მასში ფეხბურთელობა სჭარბობს შეიხის შვილობას!

ასე თუ ისე, მე ვიყავი ბრალდებული და დამნაშავე, რადგანაც ფეხს ვდგამდი სპორტულ მოედანზე და ჩემს თანატოლებს ვგავდი.

იმ დღეებში ბევრს, თუმცა უშედეგოდ ვიჭყლეტდი ტვინს, რათა მომეძებნა შეიხის

შვილობისა და ფეხბურთის თამაშის ურთიერთდაპირისპირებისა და შეუთავსებლობის მიზეზი, მაგრამ მოგვიანებით, როცა ცოტა წამოვიზარდე და ზონარგაყრილი ჩახჩურის ნაცვლად ქამრიანი შარვალი ჩავიცვი; როცა გარდაიცვალა მოხუცი მეწაღე, რომელიც ფეხის ზომას მიღებდა ჩემთვის ფეხსაცმლის შესაკერად, რაც იმას ნიშნავდა, რომ ამიერიდან უკვე პირდაპირ მაღაზიაში შემეძლო ბუცების შეძენა; როცა სკოლის გამო აღარ მაიძულებდნენ თავის გადაპარსვას და როცა ფეხები ისე მომიმძლავრდა, რომ შემეძლო ძლიერი დარტყმით გამეგზავნა ბურთი მეტოქის კარში, აი, მაშინღა ცოტათი მივხვდი, რომ ამ დაპირისპირების მიზეზი ჩვენს მიწაწყალზე ფეხბურთის დიდი ბრიტანეთიდან, კერძოდ ინგლისიდან შემოსვლა იყო, მაშინ, როდესაც ისლამს არაბეთის ნახევარკუნძულიდან და მცირე აზიიდან ვეზიარეთ. ანუ ფეხბურთის ინგლისური წარმომავლობა შეიძლებოდა ყოფილიყო მისდამი ზიზღის მიზეზი.

ფეხბურთი არც მამაჩემს ეხატებოდა გულზე. ეს კი გამოიწვია ფეხბურთის თამაშის დროის დამთხვევამ სამხრისა და საღამოს ნამაზის[1] დროსთან, რომელიც იმართებოდა ჩვენი ქალაქის იმამჯომეს[2] გარეშე დარჩენილ მეჩეთში. აქედან გამომდინარე, თუ ერთში მივიღებდი მონაწილეობას, მეორე გვერდზე მრჩებოდა. მაგრამ არც მე ვიყავი ის ადამიანი, რომელსაც საკუთარი მამის შეგონებანი არ ემახსოვრებოდა და არ ისარგებლებდა შეიხის ბიჭობით. კერძოდ, ეს შეგონებებიც გამოვიყენე და ჩემი რელიგიური ცოდნაც – ვიცოდი, რომ ნამაზი სავალდებულოა, თხუთმეტი წლის რომ შესრულდები. მე კი ჯერ არ ვიყავი ამ ასაკისა და ფეხბურთის თამაშს ჩემთვის არასავალდებულო ნამაზზე წინ ვაყენებდი. ღვთის კურთხევას სწორედ ამაში ვხედავდი და შევაბიჯებდი ხოლმე სტადიონზე, ორი საათის შემდეგ კი ჩემთვის არასავალდებულო და გამოტოვებულ ლოცვას სახლში აღვასრულებდი.

ფეხბურთისადმი მამაჩემის უარყოფით დამოკიდებულებას სხვა მიზეზიც ჰქონდა – იყო სხვა მიზეზიც, რომელიც მამაჩემს ფეხბურთისადმი უარყოფითად განაწყობდა – მისთვის მიუღებელი იყო ამ თამაშის არსი და საფუძველი. იგი მიიჩნევდა, რომ სულაც არ არის საჭირო, ოცზე მეტმა კაცმა ერთ ბურთს სდიოს და ოფლი ღვაროს. აჯობებს, თუკი მოჭარბებულ ენერგიას ისეთ საქმეში დაწვავენ, საიდანაც რაიმე სარგებელს მიიღებენ. უნდა ითქვას, რომ შრომისადმი მამაჩემის მისწრაფებასთან ახლოსაც არ მოდიოდა სხვა რაიმესადმი ინტერესი.

აღარაფერს გეტყვით „კანადა დრაის“[3], „კოკა კოლას“ და „პეპსის“ მოხმარების დაუშვებლობაზე, რომლებსაც თავდაპირველად ალკოჰოლური სასმელების რიგში აყენებდა და ერთი ხანი ეზიზღებოდა, მაგრამ შემდგომ ისინი წყალივით ჰალალი, ნებადართული და გემრიელი გახდნენ. ამ აკრძალვა-ზიზღის მიზეზიც მათი ნაირ-ნაირ ფერებსა და გემოებში გამოხატული ებრაული ძირები იყო.

არც რადიოს მიუღებლობაზე გეტყვით რამეს, ტელევიზიაზე რომ არაფერი ვთქვა, რომლის სახელიც მხოლოდ გაგებული მქონდა და არასოდეს მენახა. ისე, ფეხბურთის მოყვარული ზოგიერთი ახალგაზრდის ხელში კი შემიმჩნევია პატარა რადიომიმღები, რითაც ფეხბურთის რეპორტაჟებს უსმენდნენ, მაგრამ, რადგანაც ჩემთვის რადიო დაუშვებელი იყო, აკრძალული მქონდა ფეხბურთის გადაცემისა და სხვა ნებისმიერი ხმის მოსმენა, რაც ამ გარყვნილების დანადგარიდან გამოდიოდა, და თუ მაინც ყურს დავუგდებდი მას, ეს საქმეს მხოლოდ დაზარალებდა.

სპარსულიდან თარგმნა
ნიკოლოზ ნახუცრიშვილმა

[1] ნამაზი – ლოცვა.
[2] იმამჯომე – მთავარი საპარასკევო ლოცვის წამყვანი სასულიერო პირი ირანში.
[3] Canada dry – ერთ დროს ირანში გავრცელებული ამერიკული უალკოჰოლო სასმელი.

მოჟგან ბაბამარანდი
(დაიბ. 1976 წ.)

მოჟგან ბაბამარანდი, ირანელი საბავშვო და საყმაწვილო მწერალი, თეირანში დაიბადა და განათლება სპარსული ლიტერატურისა და დრამატურგიის დარგში მიიღო. ბაბამარანდის წიგნები არაერთი ლიტერატურული ფესტივალისა და კონკურსის გამარჯვებულია.

სკოლის პირველი დღე

დღეს სკოლის პირველი დღეა. ადრე ვიღვიძებ. მახსენდება:

სკოლაში მივდივარ, სკოლაში მივდივარ,
წიგნები სავსე მაქვს ზღაპრებით.
სკოლაში მივდივარ, სკოლაში მივდივარ,
ჯიბე კი – ფსტითა და კაკლებით...[1]

თვალს არც კი ვახელ, ისე ვაპარებ ხელს საწოლის თავისკენ – ჩემი „სახუმარო წიგნაკის“ ადგილსამყოფელი უნდა მოვსინჯო. რამდენიმე წაკითხვაზე ვიზეპირებ. წუთით იმაზე ვფიქრობ, ასეთი მონდომებით გაკვეთილებს რომ ვსწავლობდე, ახლა მარტო სკოლის კი არა, ოსთანისა და, ვინ იცის, რესპუბლიკის საუკეთესო მოსწავლეც ვყოფილიყავი. გუშინ მე და ფარბოდმა სარკის წინაც კარგად წავივარჯიშეთ. დედა ამბობდა: „მადლობა ღმერთს, ჩემს წვალებას უქმად არ ჩაუვლია. ორივე ქალ-ვაჟი ტაკიმასხარად გამოვზარდე. სხვა თუ ვერაფერი მოახერხეს, ევროპის რომელიმე დიდ ცირკში მაინც იშოვიან ადგილს“.

ფარბოდი მეუბნება:

– მთელ წელიწადს შეეშვი, პირველ დღეს მიხედე! მაგარია! რაც გინდა, ილაპარაკე! რამდენიც გინდა, იცინე!

ვეუბნები:

– აზრი არა აქვს. შუა გზაში საწვავი გამოგველევა, თანაც, გაკვეთილებსაც ჩამოვრჩებით. მით უფრო, რომ ეს მასწავლებლებიც ჩასაფრებულები არიან...

თან იმას ვფიქრობ, რომ კიდევ უარესი დედაჩემის ბუზღუნია. აღარაფერს ვამბობ მამაჩემზე, რომელმაც, გარდა იმისა, რომ განუწყვეტლივ ბურდღუნებს, დედასავით მათემატიკის სწავლება დაიწყო.

– რატომ არაა ჩემი ტანსაცმელი გაუთოებული?.. რატომ არ არის საუზმეზე ნაღები?.. ახალი პური რატომ არ გვაქვს?.. ქათამი რატომ გაძვირდა?.. მაგიდის გადასაფარებელი რამ დაგრიხა?.. ჩემს ბავშვობაში დილაობით ტელევიზორში საბავშვო გადაცემებს რატომ არ უშვებდნენ?..

არ მინდა სუფრასთან დაჯდომა. ნეტავი მამაჩემი ჩვეულებრივზე უფრო ადრე წავიდოდეს! ნეტავი სახლიდან არასდროს ერთ დროს არ გავდიოდეთ! ნეტავი ისევ მივლინებაში გაუშვებდნენ! ნეტავი ღამით ჩვენი დაძინების მერე დაბრუნდებოდეს. პოლიტიკურ განხილვებს არ გავიგონებდეთ!

მისი დასკვნა მუდამ ერთია: რომ ჩვენ უღირსები ვართ. თვითონ წმინდა სისხლის ოჯახიდანაა და სოფლურ საქმეებთან არაფერი აკავშირებს. ვერ გაუგია, ჩვენ, ასეთი უღირსები, ვის დავემსგავსეთ?! და ჯიქურ მისჩერებია დედას. საცოდავი დედაჩემი კი თავჩაქინდრული ზის. მთელი ამ წლების

[1] სპარსული საბავშვო სიმღერა.

განმავლობაში ერთადერთხელ უთხრა, შენ ხომ მამაჩემის მოსწავლე იყავიო.

საწოლზე ვჯდები. შარშანდელ დღიურს ვშლი.

„დღეს შემოდგომის მშვენიერი დღეა. დედამ და მამამ იჩხუბეს. გარეთ რომ გამოვედი, ჩუმად ავტირდი, მაგრამ არავის დავუნახივარ. სკოლაში არ მაგვიანდებოდა. ჩემ წინ წყვილი მიდიოდა, ერთი ქოლგის ქვეშ. მხრებით ერთმანეთს ეხებოდნენ. დროდადრო გოგონა შემობრუნდებოდა ხოლმე და რაღაცას ამბობდა. მისი სიცილი მესმოდა. ფეხსაცმლის თასმა გაეხსნა. შეჩერდა. ვერ ვიჯერებდი. ეს გოგონა ხელოვნების სკოლაში ჩემთან ერთად დადიოდა. კაცი მამამისი იყო. ნუთუ შეიძლება, რომ ადამიანი ქუჩაში მამის მხარდამხარ ერთი ქოლგის ქვეშ მიდიოდეს?“

დღიურს ვფურცლავ: „ისევ ვნახე ეს გოგო. დილით მამასთან ერთად სასენდვიჩეში შევიდა. გამოვშტერდი. მამამისმა სენდვიჩი უყიდა. ლამის რქები ამომსვლოდა. მამაჩემი რომ ყოფილიყო, მოჰყვებოდა სოსისისა და ძეხვის საზიანო გავლენაზე ლაპარაკს. არადა, თუ სტუმრად ვიყავით, ყბაგამოტენილი ილუკმებოდა. დედაჩემმაც კი უთხრა ერთხელ, მართალია, არ ვარგა, მაგრამ ერთი-ორჯერ რა უშავსო?! მამამ კი უპასუხა, დაიკარგე, ერთი, შენი ნათესავებიანადო!“

დღიურს სხვა ადგილას ვშლი: „დღეს ძალიან ციოდა. ფარბოდი სახლში არ იყო. იძულებული გავხდი, პურზე მე წავსულიყავი. ის გოგო და მამამისი დავინახე. დედაც ახლდათ. საყიდლებზე ერთად წამოსულიყვნენ. მამამისმა ორივეს სუფლეს ნაყინი უყიდა. სამივეს ნავაჭრით სავსე პარკები ეჭირა. ფეხსაცმელების ვიტრინასთან გაჩერდნენ. მეც შევჩერდი, მაგრამ ისე, რომ ვერ დავენახე. ფეხსაცმლის ყიდვას აპირებდნენ და მამამისი იმ ფეხსაცმელზე ლაპარაკობდა“.

დღიურს ვფურცლავ. ვკითხულობ: „დღეს ოთხშაბათია. ოთხშაბათობით ხელოვნების სკოლაში ჩვეულებრივზე დიდხანს ვრჩებით. დასვენების ზარია. ამ დროს ყველანი რაღაცას ვჭამთ, სადილის მსგავსს. ჩვენი ჯგუფი იმ გოგოს ჯგუფთან ახლოს ზის. მისი სახელი ჯერაც არ ვიცი. არ ვიცი, რატომ, მაგრამ მე, რომელსაც ყველასთან ადვილად შემიძლია დაახლოება, მასთან ვერ მივდივარ და ვერ ვუმეგობრდები. ყველანი მის მოტანილ საჭმელს აქებენ. ამბობს:

– გუშინ დედა დაკავებული იყო და სადილი ვერ მოამზადა. ეს საჭმელი მამამ გააკეთა. მე მარტო კარტოფილი გავთალე.

ფრჩხილებში მიწერილი მაქვს: „ჩვენ მამაჩვენის სიახლოვეს საერთოდ არ ვჭაჭანებთ. ესენი სამზარეულოში ერთად როგორ ტრიალებენ?“

„ერთი მეგობარი ეკითხება:

– მართლა, შენი სახელი რას ნიშნავს? ძალიან ლამაზი სახელია, ოღონდ ცოტა ძნელი. ბებიაჩემი ვერაფრით ვერ გამოთქვამს.

– საჩელი თურქული სიტყვაა, ჩვენ თურქები ვართ. გრუზათმიან გოგოს ნიშნავს. მამაჩემს ჩემი და დედას თმები მოსწონს“.

ისევ ფრჩხილებში მიწერია: „ნუთუ შეიძლება, რომ მამას შვილის თმა მოსწონდეს?“

„მისი მეგობარი ამბობს:

– მე ერთხელ ამათთან სახლში ვიყავი, მართლაც გრუზა თმა აქვს. ბავშვებო, არ დამიჯერებთ: დედამისს ეძინა. ჩვენ კი რაღაცის საყიდლად გვინდოდა წასვლა. თმა მამა დაუწნა.

მთელი ბავშვები იმ გოგოს აშტერდებიან. იცინის:

– ვა, მერე რა? რა გიკვირთ? მამა დედაჩემსაც ვარცხნის და უწნავს თმას.

ხელს თავსაფრის ქვეშ ვიყოფ. მამაჩემმა, საერთოდ, იცის, თმა მოკლე მაქვს თუ გრძელი? ისიც კი არ იცის, რომელ კლასში ვარ. იმის წინააღმდეგი კი იყო, ხელოვნება რომ მესწავლა. მეუბნებოდა, რადგან მე ვამბობ, მათემატიკა და ფიზიკა უნდა ისწავლო, რომ ინჟინერი გახდეო. მაგრამ მე გავჯიუტდი და საქმე ერთი ალიყურით დამთავრდა. სულ ვერ ხვდება, რომ გავიზარდეთ“.

ერთ-ერთ ბოლო ფურცელზე მიწერია: „ბავშვების ნამუშევრების გამოფენა გაიმართა. კონკურსიც გამოცხადდა. საჩელიმ პირველი ადგილი აიღო, მე – მეორე. მამამისი დავინახე, სკოლაში მოვიდა. ერთმანეთს ხელი გაუწოდეს და გადაკოცნეს. ყვავილებიც მოუტანა.

საღამოს მეც ვუამბე მამას ამბავი. მიპასუხა:

– ვერ ხედავ, საინფორმაციოს ვუყურებ?!“

.....

დედა მეძახის:

– დაგეძინა? თუ მამაშენის წასვლას ელოდები? წავიდა უკვე. სკოლაში პირველ დღეს თუ დაიგვიანებ, მთელი წელი დაგვიანებული ივლი.

გამოვდივარ. სააბაზანოში ფარბოდი გაჩხერილა. ვეუბნები:

– გამოდი. ჩქარა, დამაგვიანდა!

– რა ვქნა, მამა ამწუთას გამოვიდა.

ფაციფუცით ვსაუზმობთ. დედა ყურანის ქვეშ გვატარებს.[1] თვალს ხუჭავს და ამბობს:

– ღმერთო, ამ ჩემს შვილებს ჭკუა მიეცი წლის დასაწყისში!

ჩვენ ვიცინით და ერთხმად ვპასუხობთ:

– ვწუხვართ, ვწუხვართ!

ლამის გავრბივართ. ნახევარი გზა საერთო გვაქვს. წითელი შუქნიშანი ინთება. ის-ისაა, მანქანებს შორის ვაპირებ გაძრომას, რომ უცბად ხელს მტაცებს:

– როგორ გაგვიმართლა! შეხედე, სწორედ ის ტიპია, ვისი კარიკატურის დახატვაც გთხოვე. სწორედ ისაა, ლაპარაკში რომ ვაჯავრებ და ვიცინით ხოლმე! – და მანქანაში მჯდომ კაცზე მითითებს. ვუყურებ. ადგილზე ვშეშდები. მეუბნება:

– ამისი ლაპარაკი ნამდვილი ბომბია. ერთ კილომეტრში მიხვდები, სადაურიცაა!

საჩელი გვხედავს. მამამისს რაღაცას ეუბნება. მანქანიდან ჩამოდის. მამამისიც მოჰყვება. ჩვენკენ მოდის. გვესალმება. მამამისს გვაცნობს. მამამისი ფარბოდს მიშტერებია. საჩელი გვეუბნება:

– თუ არ ვიჩქარებთ, დაგვაგვიანდება. ახლა დავბრუნდით მოგზაურობიდან და მამამ ტაქსი გამოიძახა. მოდით, თქვენც ჩასხედით.

ჩემთვის ვფიქრობ: „მამასთან ერთად მოგზაურობა? ბოლოს რომ ვიყავით ყველანი ერთად, დედამაც კი ინანა“.

ვეუბნები:

– არა, გმადლობთ, არ შეგაწუხებთ.

მერე, საჩელის მიბაძვით, მათ ფარბოდს ვაცნობ და ღმერთს ვევედრები, ვერ მიხვდნენ, რომ მხოლოდ ახლა ვისწავლე, როგორ უნდა გაცნობა.

მესმის:

– რა შეწუხება?! საჩელის მეგობრები ჩემთვის ისეთივე ძვირფასები არიან, როგორიც თვითონ საჩელია. დაბრძანდით, თორემ უფრო დავიგვიანებთ.

ფარბოდს ფერი არ ადევს. მათი სკოლა უფრო ახლოსაა. საჩელის მამა ფულს იხდის და ფარბოდთან ერთად მანქანიდან ჩადის. მესმის, როგორ ამბობს ფარბოდი:

– მადლობას გიხდით, მასწავლებელო!

... მამამისის კილო ყურში მიდგას. ნეტავი მამაჩემიც ყველა ყ-ს ნაცვლად გ-ს ამბობდეს, ყველა გ-ს მაგივრად კი – ყ-ს... ოღონდ ცოტა კეთილი იყოს.

---

[1] ხალხური ტრადიციული რიტუალი საქმის წარმატებით შესასრულებლად.

პოეტი ქალბატონი და მამაცი ბატონი ბეთჰოვენი

დედა და მამა ამირი გარეთ გავიდნენ. ვიცი, რომ გაბუტულები არიან. სულმთლად გაბუტულები კი არა, – მამა ცოტას ელაპარაკება და დედა მძიმე-მძიმედ პასუხობს. მე და ბეჰნამი სახლში ვართ. სავარძელში ვზივარ და ვითომ წიგნს ვკითხულობ. ეს გვერდი ასჯერ წავიკითხე და ვერაფერი გავიგე. მთელი ყურადღება ბეჰნამისკენ მაქვს. ის სხვა სავარძელში ზის, ტელევიზორის პირდაპირ. ძალიან მინდა ვუთხრა, იცი, რა? არაფერი სერიოზული არ მომხდარა-მეთქი. თანაც, მამას და დედას შორის თუ რამე მოხდება, მე და შენ მაინც ერთმანეთის და-ძმა ვიქნებით-მეთქი. იქნებ იმ და-ძმაზე უკეთესი და-ძმაც კი, რომლებსაც ერთი დედა ჰყავთ. ფილმს უყურებს. ომზე. მაგრამ სულ იცინის.

ასეთ დღეებში დოინჯშემოყრილი ვდგები მის წინ და ვეუბნები:

– მამას თავისი წარსული აქვს და ეს მისი საქმეა. ჩვენ მხოლოდ მაშინ შეგვიძლია გაბუტვა, როცა თვითონ ვიჩხუბებთ. დედას და მამას პრობლემები ჩვენ სულაც არ გვეხება. შენ რა, მამას ადვოკატი ხარ?

მერე თვალებში ვუყურებ:

– ამსიგრძე ხარ და მაინც ვერაფერს ხვდები?

***

ტელევიზორის წინ ვზივარ. მთელი ყურადღება ამ ნებიერა ქალბატონი ბეჰნაზისკენ მაქვს, რომ დამჯდარა და წიგნს კითხულობს. თან განუწყვეტლივ სამაჯურს აწვალებს. მაჯაზე ატრიალებს. ხელს ზემოთ სწევს, უყურებს და ისევ ატრიალებს. ეს სამაჯური მამამ გაუკეთა, მაშინვე ხელზე წამოიცვა და მამას აკოცა, გატუტუცებულმა ნებიერამ.

ასე არ შეიძლება. ერთ დღესაც ავდგები და ძალიანაც სერიოზულად ვეტყვი:

– რადგანაც დედაშენი მამა ამირის ცოლია, შენ რა, ასე უნდა გატუტუცდე?

დედაჩემი მართალს ამბობს, შენც მამასავით ხარ, მგრძნობიარე და პოეტი. დედა მიყვებოდა, როგორც კი მათ შორის რაღაც მოხდებოდა, მამა თავის ოთახში ჩაიკეტებოდა და ლექსებს კითხულობდა. ზუსტად შენსავით – შენს ოთახში რომ შეიკეტები და იასამანს, ჰერანს, ფანჯრებს, ვარსკვლავებს და სიოს ეუბნები ლექსებს. გახსოვს, მამას რომ დაუწერე, შენი მზისფერი თმები მთელ ღამეებს მინათებენო? ვითომ რამდენი თმა აქვს მამას, მზესავით რომ იყოს? მზის სხივებივით რომ გაიშალოს?! მეცინება. გახსოვს, ერთხელაც მე რომ დამიწერე ლექსი, მამას გაგრძელება ხარო?! მამა რა, ფრანია, რომ მე მისი კუდი ვიყო? ისევ მეცინება. და იცი, რა? გულზე მალამოდ დამედო, მამამ ლეილას შემთხვევით ფახრი რომ დაუძახა. ბოლოს და ბოლოს, დედაჩემსაც ხომ აქვს მამას ცხოვრებაში ადგილი? მერე რა, რომ წლების წინ დაშორდნენ ერთმანეთს, სანამ მამა დედაშენს გაიცნობდა?! ეს შენც უნდა შეიგნო და დადაშენმა ლეილამაც.

***

ვიცი, რომ ახლა მანქანაში სხედან. მამამ გვითხრა, დეიდა ნარგიზთან მივდივართო. დედას აღარაფერი უთქვამს. მოემზადა. მაგრამ ეს მიზეზი იყო, რომ მარტონი ყოფილიყვნენ. მამა ვითომ საჭეს მართავს, დედა კი ფანჯარაში იყურება, თუმცა მთელი ყურადღება მამასკენ აქვს. პარასკევ დღეს, ამ დროს, საღამოს ხუთ საათზე, ქუჩები ცარიელია. იქნებ დედას ჰგონია, რომ ადამიანები თავ-თავიანთ სახლებში მშვიდად სხედან და მხიარულად და ბედნიერად არიან. მაგრამ მეც ვიცი და მანაც, რომ ცხოვრებაში ყველას აქვს პრობლემა და საიდუმლო. ჩვენს ოჯახშიც ასე არაა?! მამა ერთხელ ბეჰნამის დედაზე დაქორწინდა, რომელთანაც ხშირად ჩხუბობდა, და ერთხელაც – ჩემს დედაზე.

***

ბევრი წელი გავიდა, რაც მამას დედა ფახრის სახელი არ უხსენებია. დღეს კი

„ლეილა“ უნდა ეთქვა და „ფახრი“ თქვა. დედა ლეილა გაფითრდა. მამას შეხედა. ასეთი მზერა აქამდე არ მინახავს. სამზარეულოში გავიდა. მინდოდა მეთქვა, მერე რა?! შენ არ ამბობდი, სანამ ამირი გვეყოლება, პრობლემები არ გვექნებაო?! ჰოდა, ყველანი ხომ ჯანმრთელად ვართ. მინდოდა მეკითხა, აბა, ახლა როგორ ბრძანდები-მეთქი?

დროდადრო მამას დედა ფახრის პროფესიულ წარმატებებზე ვუყვები, ის კი მხოლოდ გამომხედავს ხოლმე. დედა ლეილა ამბობს: „ღმერთს ყველა უყვარს...“ ასეთ დროს ვბრაზდები. რადგან მინდა, რომ მეჩხუბოს და მითხრას, მასზე რატომ გვიყვებიო. ერთ დღეს კი მამამ მითხრა:

– კარგი, მაგრამ მერე რა? მასზე ამდენს რატომ მელაპარაკები?

მერე კი გავიგონე, დედა ლეილამ უთხრა, ამირ, ნუ ეჩხუბებიო. მამამ ჰკითხა:

– შენ არ ბრაზდები?

– არა. ესენი, ორივენი, შენი ნაგლეჯები არიან. განსაკუთრებით ბეჰნამი გგავს ძალიან.

იმ დღეს ძალიან გამიკვირდა, რომ დედა ფახრის აქამდე ჩემი და მამას მსგავსება არ შეუმჩნევია.

***

დღეს იმ ამბის მერე დედამ მამას შეხედა. მწარე მზერა იყო. როცა რამე ხდება ხოლმე, მამა მანამ უყურებს დედას, სანამ არ გააცინებს. ან ფურცელზე საყიდლების სიას ჩამოწერს და ბოლოს მიაწერს ხოლმე, ისეთი რა დავაშავე, რომ გამებუტეო? მერე სიას დედას აწვდის. ამ ხუმრობას დედა ყოველ ჯერზე ისე იღებს, თითქოს პირველია, იცინის და რიგდებიან.

მაგრამ ამჯერად სხვანაირად მოხდა. მამა დაჯდა. გაიცინა. ისე, აღელვების დროს როგორც იცინის. იქ ვეღარ გავჩერდი. ჩემს ოთახში გავედი. ბეჰნამის კარის ჭრიალიც გავიგონე. მათი ჩურჩული კი არ მესმოდა. მამამ ტელევიზორი ჩართო. დედა სადილამდე სამზარეულოდან არ გამოსულა.

***

ყველანი სუფრასთან ვსხედვართ. დედა საჭმელს ციცქნის. თვალები ცოტათი ჩასწითლებია. მამას მთელი ყურადღება მისკენ აქვს. ისე, რომ ქათმის ხორცის გადაღება დავიწყებია და ცარიელ ბრინჯს ღეჭავს. არც ბეჰნამი ჭამს. მადა არც მე მაქვს. იმ ამბის მერე მამას ისე გაუფუჭდა გუნება, რომ ვეღარც მე გავუძელი და ჩემს ოთახში შევედი. მანაც ტელევიზორი ჩართო. მაღალ ხმაზე. დარწმუნებული ვიყავი, რომ დედა ლეილაც იმავეს აკეთებდა, რასაც დედა ფახრი – ანუ სადილად ტკბილ ფლავს ამზადებდა – ბლომად ფორთოხლის ცედრით. მოშუადღევდა. დედამ მოგვიკაკუნა:

– სადილი მზადაა!

გავიგონე, როგორ დაიძახა:

– ამირ, ამირ, ვერ ხედავ, რომ სუფრა გაშლილია? სადილს არ აპირებ?

სადილად ბაყალა ფოლუ იყო, ქათამთან ერთად. მამას საყვარელი კერძი.

***

ვიცი, რატომაცაა დედა უგუნებოდ. ჰგონია, რომ მამას ჯერაც დედა ფახრი უყვარს. მაგრამ ასე არაა. მართალია, მამამ ცხოვრების რაღაც ნაწილი მასთან ერთად გაატარა, მაგრამ მისი სახელის ხსენება სიყვარულის დასტურად არ გამოდგება. მაგალითად, გუშინწინ ყველანი სუფრასთან ვისხედით და ვვახშმობდით. დედას უნდოდა, მამას გახუმრებოდა და ეთქვა, ამირ-აყა, ერთი, სამარილე მომაწოდეო. არადა, უთხრა, როსტომ-აყა, სამარილე მომაწოდეო. როსტომ-აყა ჩვენი უბნის ბაყალია. ყველას გაგვეცინა. ესე იგი, რა, დედას როსტომ-აყა უყვარს?..

ნეტავი მამა დედას დაელაპარაკებოდეს.

***

არ მესმის, ესენი რატომ არასდროს ჩხუბობენ. ყველაფერი ერთი პატარა შელაპარაკებით, ერთი გაცინებით, ერთი გადახედვით ან ერთი მინაწერით რატომ უნდა გვარდებოდეს? ხანდახან მინდა, რომ დედა

ლეილას თბილად მოვექცე, ისე ტკბილად მელაპარაკება. დედა ფახრი კი სულ მიყვირის. ერთადერთი, რაც კარგი აქვს – ჯიბის ფულს ბლომად მაძლევს. ბეჰნაზს ჯიბის ფული მუდამ ცოტა აქვს. თანაც, გამუდმებით ესმის, რომ ყველაფერში ზომიერებაა საჭირო. იმისი უფლებაც არა აქვს, რომ თქვას, ეს არა მაქვს, ან ის მიყიდეთო. დედა ეუბნება:

– მამაშენი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ჩვენ კარგი ცხოვრება გვქონდეს. მთავარი ის არის, რომ ცდილობს.

მისი აზრით, მამასი ყველაფერი უკეთესია, ვიდრე სხვისი. ცხვირიც კი, არწივს რომ მიუგავს.

***

მე შესარიგებლად ნაბიჯსაც არ ვდგამ. მოხდეს, რაც მოსახდენია! დედამისი იშვიათად ურეკავს? იშვიათად ელაპარაკება? ერთად იშვიათად დადიან საყიდლებზე? საერთოდაც, აქ რატომ რეკავს? არა, რატომ, მისი დედაა, შვილის ამბის გაგება უნდა. დედაჩემი მისთვის ბევრს წვალობს, ზუსტად ისე უყვარს, როგორც მე. ხანდახან ჩემზე მეტადაც კი. საუკეთესო ლუკმა მისია. მისთვის ყველაფერს ჩემზე ადრე ყიდულობენ. აზრს პირველად მას ეკითხებიან. დედაც გაუთავებლად ეფერება. კი, მეც მიყვარს. ის კი მასხრად მიგდებს, მათემატიკა რომ არ მესმის, ჰო, უყურე ახლა ტელევიზორს და უაზროდ იცინე. აბა, შენ იცი, წუთით არ მოცდე!

***

პოეტო ქალბატონო! შენ ხომ მომავალი სოჰრაბ ზეფერთი და მალახ-აშ-შოარა-იე ბაჰარი ხარ![1] შენი მკითხველების ცოდვა მკლავს! გახსოვს, იმ დღეს რომ თქვი, დიდი პოეტი უნდა გავხდეო? მეც სულელურად მოვიქეცი და ვთქვი, მუსიკის სწავლა მინდამეთქი. შენ მითხარი, ჩემი ლექსისთვის მუსიკა დამიწერეო. ახლა გეუბნები, მაგრად მივქარავ, ამას თუ გავაკეთებ. შენთვის მუსიკის დაწერა რაში მჭირდება?! მაგრამ დარწმუნებული იყავი, შენი წიგნები კარგად გაიყიდება. ოღონდ წასაკითხად კი არა, ღუმლის დასანთებად. ერთი შეხედე, წიგნს რა გულმოდგინედ კითხულობს. ვითომდა, ნამდვილი პროფესორი ვარო. ნეტავი დედაჩემი დარეკავდეს და მომიკითხავდეს, რომ შენ და დედაშენს გული გაგისკდეთ! შენ გგონია, ვერ ვხედავ, როგორ იბოღმები, დედა რომ მირეკავს? ან როცა ჩემთვის რაღაცებს ყიდულობს? ჩემი ჯიბის ფულიც ხომ გშურს – შენ ფულს ერთი ადამიანი გაძლევს, მე კი – ორი. მით უმეტეს, რომ მამა ბევრი ჯიბის ფულის წინააღმდეგია. თუმცა დედა ლეილა ყოველთვის ჩემს მხარეს იჭერს. არ მინდა, რომ ვახსენო. მაგრამ არ გამომდის. ზოგჯერ დედა ფახრისაც კი დედა ლეილას ვეძახი... ვიცი, რომ ღამღამობით ჩემთან შემოდის და საბანს მისწორებს. ჰო, როგორც ბებია ამბობს, მამას დედაშენი რომ არ შეერთო, სხვა ვინმეს მაინც შეერთავდა. ეს კი საუკეთესო არჩევანია. ღმერთს ვფიცავ, მე რომ მის ადგილას ვიყო, ჩემისთანა ბავშვს ვერ ავიტანდი. მაგრამ არ ვიცი, რატომ გამიხარდა, მამამ რომ ფახრი დაუძახა. უცნაურია, მე ხომ მისი წყენინება არ მინდა. ნეტავი დრო უკან დაბრუნდებოდეს და მამა დედას ფახრის არ დაუძახებდეს!

***

– ე-ე! სავარძელი რატომ მოძრაობს? ჭაღი საქანელასავით რატომ ქანაობს? ბეჰნაზ, ბეჰნაზ, მიწისძვრაა!

– ბეჰნამ, ბეჰნამ, სარდაფში გავიქცეთ. სახლი რატომ ქანქარებს? ღმერთო ჩემო, მეშინია! ბეჰნამ, ამსიგრძე რომ ხარ, მიშველე!

– არა, არა, ეგ შუშისაა! კარის ჩარჩოში უნდა ჩავდგეთ! დერეფნიდან რა ხმაური

[1] *ზეფერთი – უბადრუკი, დაფხავებული; მალახ – კალია.* ორივე შემთხვევაში დის პოეტური ნიჭის მიმართ ირონიული დამოკიდებულებაა მინიშნებული მე-20 საუკუნის ძალიან ცნობილი ირანელი პოეტების სოჰრაბ სეფეჰრისა და მალექ აშ-შოარა-იე ბაჰარის სახელების დამახინჯების გზით.

ისმის?! მოდი, ჩვენც ქვემოთ ჩავიდეთ. ო-ო, კარს რატომ აღებ? ასე, საშინაო შარვლით და უთავსაფროდ? მოიცა, თავსაფარი სად გაქვს? რამ გაგაშეშა? ბეჰნაზ, ბეჰნაზ, ასე რატომ ხარ?! ღმერთო, კედელი გაიბზარა. ჭურჭელი ჩამოცვივდა და დაიმსხვრა. ბეჰნაზ, გაიქეცი. გასაღები სადაა? გასაღები... აი, ვიპოვე. წამო, წავედით! რატომ არ მოდიხარ?

ბეჰნამმა ხელი ჩამავლო. კიბეებზე მიმათრევს. შიშით ფეხებს ვერ ვადგამ. გული ამოვარდნაზე მაქვს. ბეჰნამი მეხმარება. მეხმარება კი არა, ლამის ხელში ავყავარ... ჩამოვედით. გასასვლელთან, კიბეზე მსვამს. მთელი მეზობლები აქ არიან. ბეჰნამი ჩემ წინ იცუცქება. გაოფლილია. მუხლები მიცახცახებს. მისი ხმა მესმის: „დამშვიდდი, დამთავრდა!“ მინდა ვუთხრა, რომ მშვიდად ვარ... მაგრამ ენა არ მემორჩილება. ბეჰნამი ჩემს ხელებს იღებს. როგორ გამყინვია!

იმაზე ვფიქრობ, ახლა დედა და მამა სად არიან! ბეჰნამი ჯდება. ხელს მხვევს. ვეუბნები: „დედა და მამა...“ საკუთარი ხმა ძლივს მესმის.

***

მანქანა ირყევა. ამირი მანქანას ქუჩის განაპირას აჩერებს. სხვა მანქანები ასიგნალებენ. ერთი მეორეს ეჯახება. ორივე მძღოლი გადმოდის. ერთიანად გაფითრებულან. მაგრამ არც ჩხუბობენ და არც განზე ექაჩებიან ერთმანეთს. მიწისძვრაზე ლაპარაკობენ.

– ამირ, ბეჰნამი და ბეჰნაზი მარტონი არიან.

თაფლისფერი თვალები ცრემლით ევსება.

ვეუბნები:

– დავბრუნდეთ!

– მეც ვწუხვარ. დავბრუნდეთ, მაგრამ ჯერ დამშვიდდი.

– ჩემი ბავშვები...

– ბავშვებთან მივდივართ.

მიწა ისევ ირყევა.

– ამირ, ამირ! ბეჰნამი, ბეჰნაზი, ბეჰნამი, ბეჰნაზი... – საკუთარ ხმას თვითონაც ველარ ვცნობ.

– კარგი, კარგი, – და მანქანას ძრავს.

– არა, – ვეუბნები, – იქამდე ვერ მოვიცდი. სანამ არ დავრეკავ, არ დაძრა.

ხელები მიკანკალებს, ნომერს ვერ ვკრეფ. ხელს თვალებზე იფარებს და მეუბნება:

– კარგი, შიშით და ნერვიულობით ვერაფერს გავხდებით!

***

ბეჰნამი ზემოთ აპირებს ასვლას. დგება. შარვლის ტოტზე ვეკიდები, თავს მისკენ ვწევ, არ წახვიდე-მეთქი.

– ტელეფონის აღება მინდა.

თვალებით, წარბებით ვევედრები, არამეთქი.

მეუბნება:

– ნუ გეშინია, მიწისძვრა აღარ იქნება.

ხელს არ ვუშვებ.

– გამიშვი, წავიდე! დედა და მამა ნერვიულობენ.

მაინც არ ვეშვები. გვერდით მიჯდება. მთელი მეზობლები ოჯახებით არიან. მხოლოდ ჩვენ ვართ მარტონი. მეზობელი გვეკითხება:

– თქვენი დედ-მამა ზემოთ დარჩა?

ბეჰნამი ბრაზდება, მეზობლების ცნობისმოყვარეობა არ სიამოვნებს. მკვახედ პასუხობს:

– სახლში არ არიან.

ფეხმოკეცილი ჯდება და ხელს მკიდებს:

– ცოტა ხანს წყნარად იჯექი, უცბად ავალ და დავბრუნდები.

ძლივს ვეკითხები:

– მიწისძვრა კიდევ რომ მოხდეს, რა იქნება?

– მეც მეშინია. რომც მოხდეს, ერთი კაცის სიკვდილი ჯობს ორისას.

ვდგები და ვამბობ:

– ან ერთად წავიდეთ, ან სულ ნუ წახვალ!

ვერც ვიჯერებ, რომ ენა მებმის.

– არა!

მტკიცე „არაა“, მამას ზოგიერთ „არას“ ჰგავს. ცდილობს, მშვიდად იყოს. იცინის. მამასავით. მეუბნება:

– მიწისძვრა აღარ გამეორდება, მე კი წამში დავბრუნდები.

.....

ორ-ორ საფეხურს ვახტები. შენობაში არავინაა. ბინის კარს ვაღებ. მარტო ვარ. მეშინია, მიწისძვრა არ განმეორდეს. უკაბელო ტელეფონს ვიღებ. გასვლას ვაპირებ. მაგრამ ბეჰნაზს ისეთი გაყინული ხელები ჰქონდა. კარგი იქნება, თაფლს თუ წავუღებ. სამზარეულოს კარადას ვაღებ. ვარდის ფურცლების სუნი მცემს. დედა ლეილა დოში ყრის ხოლმე, ამბობს, ათბობსო. ფურცლებთან ერთად თაფლის ქილას, ჭიქას და კოვზსაც ვიღებ. მაცივრიდან ცივი წყლის ბოთლიც გამომაქვს. ყველაფერს პაკეტში ვალაგებ და ქვევით ჩავდივარ. ბეჰნაზი კიბეზე მხვდება. ხელებით რიკულებს ჩასჭიდებია. ნელ-ნელა ზევით მოიწევს. ხელს ვკიდებ და ქვემოთ ჩავდივართ. ტელეფონი რეკავს. დედა ლეილაა. დარწმუნებული ვარ, მაშინვე მკითხავს, ბეჰნაზი როგორაოო. ვეუბნები, გამარჯობა-მეთქი და მინდა ვუთხრა, რომ ბეჰნაზი კარგადაა, რომ არ უნდა ინერვიულოს. სალამზე არ მპასუხობს, მეკითხება:

– ბეჰნამ, საყვარელო, კარგად ხარ? ხომ არ შეშინდი? დარწმუნებული ვარ, ყოჩაღად ხარ.

– კარგად ვარ, ბეჰნაზიც კარგადაა.

მეუბნება:

– შენ რადგან ხარ, ვიცი, კარგად იქნება.

ყურმილს მამა ართმევს:

– ბეჰნამ, ჩემო ბიჭო, კარგად ხარ? ბეჰნაზი როგორაა? – იცინის. ნერვიულად. – ხომ არ შეშინდით?

არა-მეთქი, ვეუბნები.

ბეჰნაზი ყურმილს იღებს:

– მამა, სულ არ... – მიყურებს და ამბობს: – გაწყდა...

ბეჰნაზს ჭიქაში თაფლს ვუდებ და ზედ წყალს ვასხამ. ვურევ. მერე დაფშვნილ ვარდის ფურცელს ვამატებ. ბეჰნაზი იცინის. ჯერაც ძალიან გაფითრებულია. მეუბნება:

მიწა რომ იძრა, შენი ხელიდან
თაფლი ვიგემე ვარდის ფურცლებით...
და რომლის გემო... რომლის გემოც კი...

მეცინება:

– გეყოფა! საცაა, მამა... ისინი მოვლენ, პოეტო ქალბატონო!

– ვიცი, მამაცო ბატონო ბეთჰოვენ!

ჭიქას ცლის, ისევ ავსებს თაფლით და წყლით და კარგად ურევს. ვარდის ფურცელსაც აყრის. მე მიწვდის:

– გასინჯე, მზის გემო აქვს!

მეზობელი ქალი ჩუმად, ისე, რომ ჩვენ ვერ გავიგონოთ, ამბობს:

– რა კარგი და-ძმაა.

ჭიქას ვართმევ და ვსვამ. ტკბილზე ტკბილია.

მეზობელ ქალს ქმარი ეუბნება:

– არ ვიცი, ამათმა მშობლებმა ისეთი რა ქნეს, ჩვენ რომ ვერ ვქენით!

მამას მანქანა შემოსასვლელთან ჩერდება. ორივენი გადმოდიან. მამა დედას ხელს ჰკიდებს და წყლის არხს აბიჯებენ. ჩვენთან მოდიან. ტელეფონი რეკავს. ბეჰნაზი ყურმილს მამას აძლევს. მამა ეკრანს უყურებს და მეუბნება:

– შენთანაა, – და მე მაწვდის.

ხელს დედა ლეილას ხელს უფრო მაგრად სჭიდებს. დედა უყურებს და იღიმება. ბეჰნაზი ჭიქაში თაფლს და წყალს ურევს.

– ორივემ დალიეთ, ნახევარი – დედას, ნახევარი – მამას!

სპარსულიდან თარგმნა
მზია ბურჯანაძემ

სარჩევი

არაბული ლიტერატურა

ატ-ტაიბ სალიჰი, ვად ჰამიდის პალმის ხე.

თარგმნეს ნინო სურმავამ და თაკო ბეროძემ.....9

მაჰმუდ დარვიში, ლექსები.

თარგმნა ნინო დოლიძემ 18

თურქული ლიტერატურა

აბდულჰაკ ჰამიდ თარჰანი, შთაგონების ადგილი.

თარგმნა ასმათ ჯაფარიძემ.....29

რეშათ ნური გუნთექინი, ერთი ყლუპი წყალი.

თარგმნეს ნანა კაჭარავამ და გვანცა ღარიბაშვილმა 33

საბაჰათინ ალი, მთვრალი. თარგმნა ნატო ხარშილაძემ 37

აზიზ ნესინი, სახლი საზღვარზე.

თარგმნეს ნანა კაჭარავამ და მარიამ ყველაშვილმა.....40

აზიზ ნესინი, ცემის გარეშე ვერ ვჩერდები.

თარგმნეს ნანა კაჭარავამ და ნიკოლოზ ოვსიანიკოვმა.....44

სომხური ლიტერატურა

სუსანა ჰარუთუნიანი, აქ ღმერთს გაუვლია.

თარგმნა ასია დარბინიანმა.....51

სპარსული ლიტერატურა

ფარიბა ვაფი, ჩემი ჩიტი (ნაწყვეტები რომანიდან).

თარგმნა ანი ლაზვიაშვილმა 61

ყოლამრეზა რაფიი, რა სარგებელი ვნახე მამაჩემის შეიხობიდან?

თარგმნა ნიკოლოზ ნახუცრიშვილმა.....69

მოჟგან ბაბამარანდი, სკოლის პირველი დღე.

პოეტი ქალბატონი და ბატონი ბეთჰოვენი.

თარგმნა მზია ბურჯანაძემ 71

ყდაზე: XIII საუკუნის სპარსელი პოეტის საადი შირაზელის აკლდამა, ირანი.

ტირაჟი 40

რედაქტორი
593464565; E-mail: mzivditi@yahoo.com
სწავლული მდივანი
599160619; E-mail: nanio02@yahoo.com

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი, 0186, ა. ჰოლიტაოვსაიას №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

9 772346 841003